

შიდსით გარდაცვლილთა დღე A2



ისრაელ-პალესტინის მოლაპარაკებები იწყება A3



მე ცისფერი ვარ და მძულს... A5

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 22 მაისი, 2006 წელი. №111 (1263)

ფასი 50 თეთრი

## ამბები

### ჩინელების დანაპირები

ჩინეთში დელეგაციამ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მწარმოებელი ქარხანა მოინახულა, რომლის ხელმძღვანელობასთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები რეგიონის მოსახლეობისათვის ტექნიკის შეღავათიან ფასებში მიწოდებაზე.

A2

## სამართალი

### ყველაზე გახმაურებული სასამართლო პროცესი

ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი სასამართლო პროცესი დასასრულს მიუახლოვდა. ჩრდილოეთ ოსეთის უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ ერთადერთი ცოცხლად გადარჩენილი ბესლანელი ტერორისტის, ნურფაშა კულაევის (რომლის სასამართლო პროცესიც ვლადიკავკაზში მიმდინარეობს) განაჩენის წაკითხვა დაიწყო.

A4

## რევიუ

### ეროვნული მემკვიდრეობის კლუბი

2005 წლის ზაფხულში ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივით განხორციელდა პროექტი „ნუ დაივიწყებ წარსულს

A8

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 22/05 | 23/05 |
|---|---|---|
| თბილისი | 27 | 28 |
| ტყიბული | 26 | 25 |
| სოხუმი | 27 | 26 |
| დმანისი | 21 | 22 |
| გორი | 24 | 23 |
| ონი | 22 | 21 |
| ზუგდიდი | 30 | 28 |
| ახმეტა | 27 | 28 |
| გაგრა | 26 | 26 |
| სამტრედია | 29 | 27 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8010 |
| ევრო | 2.3001 |
| ბირჟანქა სტერლ. | 3.3798 |
| რუბლი | 0.0667 |



| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| რევიუ | A 5 |
| თვალსაზრისი | A 6 |
| ტენდერი | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |



# საქართველოს სახე სუამის უკრაინული სამიტის ინტერიერში

კობა ლიკლიკაძე
კიევიდან სპეციალურად „24 საათისათვის"

*უკრაინის დედაქალაქში სანახაობების ნამდვილი კვირეულია. 21 მაისს ევროპის დღე აღინიშნა კიევის მაიდანზე, სადაც წელიწადნახევრის წინ „ნარინჯისფერი რევოლუცია" იშვა. 22-23 მაისს კი კიევში რეგიონული გაერთიანება სუამის სამიტი დაიწყებს მუშაობას. წინასწარი შეფასებებით, გრანდიოზულ იმედებს ამ სამიტზე არავინ ამყარებს, გარდა საქართველოსი, რომელიც კიევის ბორისპოლის აეროდრომიდან ღვინით ხვდება სამიტის მონაწილეებს.*

გაგრძელება A3 გვერდზე



# პრემია, სახელად „აკა მორჩილაძე"

საპატიო „საბა" ანა კალანდაძეს გადასცეს

ია ვეკუა

გაივლის წლები და საპატიო „საბას" მიღების მოლოდინში წითელ ხალიჩაზე მიმავალი მოხუცი აკა მორჩილაძე კიდევ ერთხელ გაიხსენებს იმ დღეს, როდესაც საუკეთესო რომანის შექმნისთვის მესამედ მიიღო ეს ჯილდო... მორჩილაძის მიერ „საბას" მესამედ მოპოვებას იქვე, პრემიის გადაცემის ცერემონიალზევე მოჰყვა ექსპრომტად შეთხზული ხუმრობა - ბარემ პრემიას აკა მორჩილაძე დავარქვათო, თუმცა ხუმრობა მხოლოდ მისმა ავტორმა და რამდენიმე ზედმეტად ყურადღებიანმა თუ გაიგო, რადგან დამსწრეთა უმეტესობა ფიქრით იმ მომენტში გამარჯვებულთან იყო.

გაგრძელება A5 გვერდზე



*"საბას" დაჯილდოების ცერემონიალზე.*

# GRDC-მა ულტრათანამედროვე კინოსტუდიის პრეზენტაცია გამართა

მამუკა ხაზარაძე დამწყები კინემატოგრაფებისათვის უფასო კინოსკოლას აკეთებს

**B**

*"საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების კომპანიამ" (GRDC) ულტრათანამედროვე კინოსტუდიის პრეზენტაცია გამართა. ახალი კინოსტუდია თანამედროვე აპარატურითაა აღჭურვილი, რაც იმის პირობებს ქმნის, რომ საქართველოში ევროპული დონის ფილმების გადაღება სტარტს აიღებს.*



# ნულოვანი ტოლერანტობა პოლიციის თავნებობას

რატომ არის მნიშვნელოვანი გაერო-ს კომიტეტის დასკვნა

ანა დოლიძე
„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარე

გუშინ, ღამის 2 საათზე, ახლობელმა დამირეკა. მისი ბიძა დღის 3 საათზე პოლიციის სანიშნეებით გამორჩეულმა ხუთმა მამაკაცმა სამუშაო ადგილიდან წაიყვანა ისე, რომ არც მიზეზი უთქვამთ და არც ის, თუ სად მიჰყავდათ. წინასწარი დაკავების იზოლატორებში და პოლიციის განყოფილებებში მთელი დღის ამაოდ ძებნის შემდეგ, „სანდრო გირგვლიანის წესით" გატაცებულად ჩათვალეს და დახმარებისათვის დამიკავშირდნენ. ამ ხნის განმავლობაში არავინ დაკავშირებიათ. არც ადგილსამყოფელი უცნობებია და არც გამოსასყიდი მოუთხოვია ვინმეს. როგორც გავარკვიეთ, შინაგან საქმეთა სამინისტროში დაკავებულთა შორის ეს პირი არ ირიცხებოდა. ის იყო პატრულს შევატყობინეთ გატაცების ფაქტის შესახებ, რომ მასთან ერთად უგზოუკვლოდ გამქრალის ნათესავებმა შეგვატყობინეს - ფინანსურ პოლიციაში იყო წაყვანილი დაკითხვაზე. ეს მოხდა ღამის 3 საათზე 10 საათის განმავლობაში პანიკური ძებნის შემდეგ.

იმიტომ არ გადამიწყვეტია ეს ამბავი დამეწერა, რომ ეს გამონაკლისი შემთხვევაა, არც იმიტომ, რომ ჩემს ახლობელს შეემთხვა, არც იმიტომ, რომ ყველაზე მწვავე შემთხვევაა. უბრალოდ, ეს ჩემთვის ყველაზე უახლესი მაგალითია იმ პრობლემის, რომელიც საქართველოს დემოკრატიულ სახელმწიფოდ ქცევისათვის ყველაზე სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს.

ეს პრობლემა სამართლდამცავი ორგანოების უკონტროლობა და თვითნებობაა.

რობაქიძე, გულუა, ვაზაგაშვილი, თელია, კიზირია და ბევრი სხვა ადამიანი იქცა პოლიციის მხრიდან კანონის დარღვევის მსხვერპლი. სანდრო გირგვლიანის სახელი ხომ უკვე თითქმის ყველა ბავშვმა იცის. პოლიციის თვითნებობასა და დანაშუალებრივ ქმედებებზე არაერთი პრესკონფერენცია, აქცია, შეხვედრა თუ გადაცემა გამართულა, სადაც სამოქალაქო სექტორის მხრიდან ისმოდა პოლიციის ქმედებებზე კონტროლის გამკაცრების მოთხოვნა.

გაგრძელება A6 გვერდზე

# ცალანის საქმე

*სახალხო დამცველის აპარატი რევაზ ცალანის ცემის ფაქტს სწავლობს. საუბარია საქართველოში უკრაინის პრეზიდენტის ვიზიტისას მომხდარ ინციდენტზე, რომლის დროსაც, შსს-ს სპეცრაზმის წევრებმა რევაზ ცალანი სასტიკად სცემეს.*
*სახალხო დამცველის წარმომადგენლები შეხვდნენ და ახსნა-განმარტებები ჩამოართვეს დაზარალებულს, მის ახლობლებსა და ადგილობრივ სამართალდამცველებს.*

რევაზ ცალანის ახსნა-განმარტებების თანახმად, 2005 წლის 10 აგვისტოს, დაახლოებით ღამის 12 საათზე, რევაზ ცალანი თავისი კუთვნილი მანქანით დაბა მესტიიდან სოფელ ლენჯერში ბრუნდებოდა. გზაში უცნობმა მამაკაცმა მას ხელი დაუქნია და გაჩერება მოსთხოვა. ცალანის თქმით, იმ ადგილას ხშირად იკრიბებოდნენ ნასვამი ახლაგაზრდები და უსიამოვნების თავიდან აცილების მიზნით, მან მანქანა არ გააჩერა. 200-250 მეტრის გავლის შემდეგ ცალანს სროლის ხმა შემოესმა და მას გზა გადაუჭრა მანქანამ, საიდანაც ერთი პოლიციელი და სამი სამხედროფორმიანი სპეცრაზმელი გადმოვიდა. ცალანის განცხადებით, მან ბოდიში მოუხადა პოლიციელებს და იმის შესახებაც მისცა განმარტება, თუ რატომ არ გააჩერა მანქანა. მიუხედავად ამისა, სპეცრაზმელებმა ის სასტიკად სცემეს და გონებადაკარგული მესტიის რაიონული პოლიციის განყოფილებაში მიიყვანეს.

ცალანი აცხადებს, რომ იმ დროს განყოფილებაში იმყოფებოდნენ ადგილობრივი პოლიციის თანამშრომელი თემურ ჩიქოვანი, რომელიც მისი ცემის ფატსაც ესწრებოდა, პოლიციის მორიგე ბადრი მუშკუდიანი, რომელმაც ცალანი ხელბორკილით ლოგინზე დააბა და უცნობი სპეცრაზმელები. ცალანი ამბობს, რომ მას ცხვირიდან სისხლი მოსდიოდა, თუმცა, მისი თხოვნის მიუხედავად, დახმარება არ აღმოუჩინეს.

სახალხო დამცველის წარმომადგენლისთვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში მესტიის შს პოლიციის რაიონული განყოფილების თანამშრომელმა ბადრი მუშკუდიანმა განაცხადა, რომ 10 აგვისტოს, ღამით, პოლიციის განყოფილებაში მიყვანისას ცალანს დაზიანებები არ ეტყობოდა, ის ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა პოლიციის თანამშრომლებს.

გაგრძელება A4 გვერდზე

# გაუმჯობესებული მომარაგება მწირი დაფინანსებით

*თითო ბავშვის გამოსაკვებად სახელმწიფო საბავშვო ბაღებს დღიურად 1 ლარსა და 15 თეთრს უხდის, რაც დღევანდელი ფასების მიხედვით, არასაკმარისია. ამას ემატება პროდუქტების შეძენაზე გამოცხადებული ტენდერების ხარვეზებით ჩატარებაც. ხშირ შემთხვევაში ტენდერში გამარჯვებული ფირმა უარს აცხადებს ბაღის მომარაგებაზე. ამიერიდან ის ფირმები, რომლებიც სატენდერო პირობებში დაბალ ფასს დააფიქსირებენ, ხოლო გამარჯვების შემთხვევაში მომარაგებაზე უარს განაცხადებენ, საჯარიმო სანქციების გადახდა მოუწევთ.*

თამარ დვალი

2006 წლის პირველი იანვრიდან საბავშვო ბაღებზე ზრუნვა რაიონულ გამგეობებს დაევალათ. მანამდე ბაღების დაფინანსება და მათზე ზრუნვა განათლების საქალაქო სამსახურის პრეროგატივა იყო. თითოეული ბაღი ბიუჯეტიდან მისი კონკრეტული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით ფინანსდება. ახლა, როდესაც დენისა და ბუნებრივი აირის ტარიფმა მოიმატა, გაურკვეველია, თუ როგორ შეძლებენ ბაღები გადასახადების დაფარვას. რაც შეეხება კვებას, თითოეულ ბავშვზე ბიუჯეტიდან 1 ლარი და 15 თეთრია გამოყოფილი. როგორც ბაღის ხელმძღვანელები აცხადებენ, ბავშვების სრულყოფილი კვებისთვის დღეში 2 ლარი და 50 თეთრი მაინც არის საჭირო.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ბავშვების შიმშილის წინააღმდეგ

მსოფლიო მარათონი-მსვლელობა „ბავშვები შიმშილის წინააღმდეგ" თბილისშიც გაიმართა. მსგავსი მარათონი საქართველოში პირველად მოეწყო. ბავშვებთან ერთად მსვლელობაში დეპუტატები და სპორტსმენები მონაწილეობდნენ. მსვლელობა თავისუფლების მოედნიდან დაიწყო და რესპუბლიკის მოედანზე დასრულდა. ბავშვებს გამაგრილებელი სასმელები და ფუნთუშები დაურიგდათ. აღნიშნული ღონისძიება, მიზნად ისახავდა მოსახლეობის ინფორმირებას ბავშვების შიმშილთან დაკავშირებულ საკითხებზე. მარათონი სასკოლო კვების პროექტის ეგიდით მოეწყო, რომელსაც დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის მხარდასაჭერად მსოფლიო სასურსათო პროგრამა WFP (13,000 მოსწავლეზე) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად ახორციელებს. საქართველოში მარათონის სპონსორები არიან თბილისის მერია, TNT-სატრანსპორტო, ლოჯისტიკური და საფოსტო კომპანია, „ჯეოსელი", „ბრიტიშ პეტროლიუმი" და სხვა.

*ინტერპრესნიუსი*

## წყლის მილების დაქლორვით სამი ადამიანი მოიწამლა

მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისიდან*

გუშინ ქუთაისის სამხარეო კლინიკურ საავადმყოფოში ერთდროულად სამი პაციენტი მიიყვანეს ტოქსიკური მოწამვლის დიაგნოზით. ნატო ყუბანეიშვილმა და მარინე მუმლაძემ თავი შეუძლოდ დეპოს ქუჩაზე იგრძნეს, როცა ისინი წერეთლის ქუჩიდან საეკლესიო საავადმყოფოს მიმართულებით ფეხით მიდიოდნენ. ლანა ნამიჭეიშვილი კი საავადმყოფოში სამარშრუტო მიკროავტობუსიდან ალმოჩნდა, რომელიც, ასევე, წერეთლის ქუჩაზე მოძრაობდა.

**„ორი გოგონა ფეხით მიდიოდა ქუჩაში და ძლივს მიაღწიეს ერთ-ერთ სახლამდე, სადაც შველას ითხოვდნენ. საშინლად ახველებდნენ და ამბობდნენ, რომ ძლიერი ღებინების შეგრძნება ჰქონდათ,"** - ამბობენ დეპოს ქუჩის მცხოვრებნი. მათივე თქმით, მძაფრი სუნი ქუჩაში მათ რამდენიმე საათით ადრე იგრძნეს. მოგვიანებით კი აღმოაჩინეს, რომ საკუთარ ეზოებში გაშენებული მცენარეების ფოთლები ერთიანად ჩამოჭკნა.

**„ალბათ, რაღაც მომწამლავი გაზი გაუშვეს,"** - ამბობდნენ ისინი. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ მოწამვლა ქლორმა გამოიწვია, რომელიც „ქუთწყალკანალმა" დიდი რაოდენობით გაუშვა წერეთლის ქუჩაზე წყლის ახლადგაყვანილ ცენტრალურ მაგისტრალში.

**„ქლორით მოწავლა არ არის საშიში. უბრალოდ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში იწვევს ღებინების შეგრძნებას. ჩემს თანამშრომლებს ქლორთან ყოველდღიური შეხება აქვთ, მაგრამ შემდეგ ვასმევთ რძეს და პრობლემა იხსნება,"** - აცხადებს „24 საათთან" საუბარში „ქუთწყალკანალის" გენერალური დირექტორი ზვიად მანდარია.

ტოქსიკური მოწამვლის შედეგად კლინიკურ საავადმყოფოში მოხვედრილ სამ პაციენტს კი, სამედიცინო დახმარება მთელი დღის განმავლობაში უტარდებოდა.

## კახეთში ოჯახის ექიმის ინსტიტუტი ამოქმედდა

კახეთის რეგიონში მოქმედ 72 ექიმსა და ექთანს, რომლებმაც სულ ცოტა ხნის წინ დაასრულეს სასწავლო კურსი საოჯახო მედიცინაში, სერტიფიკატები თელავში თავად შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა გადასცა. როგორც მინისტრმა განაცხადა, სამედიცინო პერსონალის გადამზადება ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა. **„ევროკავშირი სიამოვნებით უჭერს მხარს საქართველოში საოჯახო მედიცინის დანერგვას, რაც ასევე გულისხმობს კახეთის რეგიონის 57 დაწესებულების რეაბილიტაცია-აღჭურვას და სამედიცინო პერსონალის გადამზადებას. მიმდინარე წლის შემოდგომაზე ფუნქციონირებას დაიწყებს პირველი 15 რეაბილიტირებული ცენტრი, რომლებიც პროფესიონალი ექიმებითა და ექთნებით იქნება დაკომპლექტებული. კახეთის მოსახლეობა მაღალკვალიფიციური მომსახურებით იქნება უზრუნველყოფილი"** - განაცხადა ლადო ჭიპაშვილმა, რომელმაც იქვე აღნიშნა, რომ სერტიფიცირებულ ოჯახის ექიმთა უმრავლესობა ქალია.

**„უჩვეულო აქ არაფერია, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჯანდაცვის მუშაკთა უმრავლესობა ქალია და მით უმეტეს ოჯახის ექიმს უნდა ჰქონდეს განსაკუთრებული მიდგომა პაციენტებთან, რომელიც ალბათ მანდილოსნებს უკეთესად შეუძლიათ,"** - ამბობს ჭიპაშვილი. მინისტრის თქმით, ამ ეტაპზე საოჯახო ექიმის ცენტრები ჯერჯერობით მხოლოდ სოფლებში იფუნქციონირებს, თუმცა უახლოეს მომავალში რეგიონის ქალაქებშიც დაინერგება. **„რადგანაც სოფლის მცხოვრებლებს ყველაზე მეტად უჭირთ ექიმებთან მისასვლელად რაიონულ ცენტრებში ჩასვლა, ამიტომ უპირველესად ამ ადამიანების დახმარება გადავწყვიტეთ. ჩვენი მიზანია საქართველოს თითოეული მოქალაქის მაღალი ხარისხის უფასო სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა. უახლოეს მომავალში კი საოჯახო ექიმის ცენტრები რაიონულ ქალაქებშიც გაიხსნება"** - აღნიშნა ლადო ჭიპაშვილმა.

კახეთში სტუმრად მყოფმა შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ევროკავშირის დაფინანსებით რეაბილიტირებული თელავის რაიონული პოლიკლინიკაც მოინახულა.

*24 საათი*

## ბრაკონიერობის რამდენიმე ფაქტი

აკრძალულ ზონაში თევზჭერის რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა. როგორც გარემოს დაცვის ინსპექციაში განაცხადეს, გუშინ, ინსპექციამ ანაკლიაში რეიდი ჩაატარა. ამოღებულია კუსტარული წესით დამზადებული რამდენიმე თევზჭერისთვის საჭირო ელექტრო ხელსაწყო, ნავები და განსაკუთრებით დიდი რაოდენობით თევზი, რომელიც შინაგან ჯარს გადაეცემა. გარემოს დაცვის ინსპექციის მიერ ანაკლიაში ჩატარებული რეიდის შედეგად, კონკრეტულ კანონდარღვევებზე 11 პირს ადმინისტრაციული სასჯელი და ჯარიმის სახით 3000 ლარის გადახდა დაეკისრა, ხოლო 7 ბრაკონიერის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, წელიწადის ამ დროს თევზჭერა იკრძალება, ელექტრო დანადგარების გამოყენება კი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით ისჯება.

*ინტერპრესნიუსი*

## გაუმჯობესებული მომარაგება მწირი დაფინანსებით

პირველი გვერდიდან



ბესო გულაშვილის ფოტო

საკვები პროდუქტებით სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია, ან კერძო პირი ამარაგებს. უმეტეს შემთხვევაში წინასწარვე იყო ცნობილი, თუ ვინ გაიმარჯვებდა ტენდერში.

**„ბაღების საკვები პროდუქტებით მომარაგებისთვის ბიუჯეტში განსაზღვრული თანხა გვაქვს ჩადებული. არის შემთხვევები, როდესაც ტენდერში მონაწილე კომპანიები დაბალ ფასს მიუთითებენ, შემდეგ კი აცხადებენ, რომ თანხა არ ყოფნით და უარს აცხადებენ ბაღების მომარაგებაზე. ახლა გვინდა ეს პროცესი გამჭვირვალე გავხადოთ. ამიერიდან სატენდერო პაკეტები მედიის წარმომადგენლებთან ერთად გაიხსნება. ასევე დავაწესებთ საჯარიმო სანქციებს. ისინი, ვინც გამარჯვების შემთხვევაში უარს განაცხადებენ მომარაგებაზე, დაჯარიმდებიან,"** - განაცახადა ვაკე-საბურთალოს გამგებელმა დავით იოსელიანმა.

საბავშვო ბაღებში მწირი დაფინანსების გამო, უკვე კარგა ხანია, რაც მშობლებს შემოწირულობების გადახდა უწევთ. საბავშვო ბაღებს თანხები არც ინვენტარისა და რემონტისთვის აქვთ გამოყოფილი. როგორც ბაღის ხელმძღვანელები აცხადებენ, რომ არა მშობელთა შემოწირულობა, ისინი ბავშვების სრულყოფილი კვების უზრუნველყოფას ვერ შეძლებდნენ. გამგეობები ამ საკითხითაც დაინტერესდნენ.

**„შესამუშავებელია მეთოდიკა, თუ რა სახით იარსებებს შემოწირულობები. შესაძლოა, იგი საერთოდაც გაუქმდეს. ამაზე გამგებლის დავალებით უკვე დავიწყეთ მუშაობა. წესით, შემოწირულობას ნებაყოფლობით უნდა იხდიდეს მშობელი. თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც მშობლებს თანხის გადახდას ავალდებულებენ. ახლო მომავალში ვაპირებთ თითოეული ბაღის ფინანსური საქმიანობა დეტალურად შევისწავლოთ,"** - განაცხადა ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებლის მოადგილემ სოციალურ საკითხებში ნანა ლაცაბიძემ.

ვაკე-საბურთალოს რაიონში სულ 34 სკოლამდელი დაწესებულებაა, რომელშიც 4 893 აღსაზრდელი ირიცხება. ტენდერი 5 სახის პროდუქტზე ცხადდება. გამარჯვებულმა პირებმა ბაღები - თევზისა და ხორცის ნაწარმით, რძის პროდუქტებით, ბაკალეათი, ხილბოსტნეულითა და პურ-ფუნთუშეულით უნდა მოამარაგონ. 25 მაისს ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობა ტენდერში გამარჯვებულ პირს გამოავლენს, რომელმაც ბაღები წლის ბოლომდე უნდა მოამარაგოს.

## ჩინელების დანაპირები

თეა თედლიაშვილი
*გორიდან*

შიდა ქართლის დელეგაცია, საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის მიხეილ ქარელის ხელმძღვანელობით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხენანის პროვინციიდან დაბრუნდა.

მიხეილ ქარელის პრესსამსახურის უფროსის ანი შერმადინის განცხადებით, დელეგაციამ ჩინეთში შიდა ქართლის რეგიონისათვის პრიორიტეტული პროექტები განიხილა სოფლის მეურნეობის, მსუბუქი მრეწველობისა და მანქანათმშენებლობის სფეროში.

ჩინეთში დელეგაციამ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მწარმოებელი ქარხანა მოინახულა, რომლის ხელმძღვანელობასთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები რეგიონის მოსახლეობისათვის ტექნიკის შეღავათიან ფასებში მიწოდებაზე. მოლაპარაკებების საგნად იქცა ასევე ქართული დელეგაციის მიერ შეთავაზებული წინადადება, რომელიც ტრაქტორების ადგილზე აწყობასა და რეალიზაციას ითვალისწინებს. დელეგაციაში, მხარის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა გარდა, „გომის" სპირტის ქარხნისა და „ოკამის" ღვინის ქარხნის წარმომადგენლებიც შედიოდნენ.

ხენანის პროვინციის მთავრობამ და ბიზნესმენებმა ქართული ღვინო დააგემოვნეს, რომელიც დელეგაციას ჩინეთში საგანგებოდ ჰქონდა წაღებული. იგეგმება ჩინელი ბიზნესმენების ჩამოსვლა საქართველოში, რათა ადგილზე შეისწავლონ ქართული ღვინის ჩინეთში ექსპორტის საკითხები. ჩინეთის დელეგაციის საპასუხო ვიზიტი შემოდგომის დასაწყისისშია დაგეგმილი.

მასპინძლებმა პირობა დადეს, რომ შიდა ქართლის რეგიონში ჩინურ ინვესტიციებს განახორციელებენ, რაც ხელს შეუწყობს ორ რეგიონს შორის ურთიერთობის განვითარებას სოფლის მეურნეობის, მსუბუქი მრეწველობისა და ტურიზმის სფეროში.

ხენანის პროვინციასა და შიდა ქართლს შორის დაიგეგმა კულტურული ღონისძიებების გაცვლითი პროგრამა. გორის სახელმწიფო აკადემიური თეატრი გასტროლებზე ხენანის პროვინციაში გაემგზავრება, შიდა ქართლს კი ხენანის თეატრი ეწვევა. ასევე დაგეგმილია ტურისტული ვიზიტები ჩინელებისათვის სტალინის სახლ-მუზეუმის მოსანახულებლად.

## შიდსით გარდაცვლილთა დღე



„გავანათოთ ბილიკი უკეთესი მომავალისაკენ" - ამ დევიზით აღინიშნება საქართველოსა და მსოფლიოში შიდსით გარდაცვლილთა ხსოვნის საერთაშორისო დღე. მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში ამ თარიღთან დაკავშირებით გუშინ შეხვედრა გაიმართა, სადაც სპეციალისტები დაავადების პროფილაქტიკის, მკურნალობისა და შიდსთან ასოცირებული პრობლემების გადაწყვეტაზე მსჯელობდნენ. შეხვედრას შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ლევან ჯუღელი, პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გიგი წერეთელი, დარგის სპეცილისტები და ის ახალგაზრდები ესწრებოდნენ, რომლებიც შიდსით გარდაცვლილთა კვირეულის აღნიშვნაში არიან ჩართულები. „მიუხედავად იმისა, რომ დღეს შიდსით გარდაცვლილებს პატივს მივაგებთ და ეს სენი ჯერჯერობით დაუმარცხებელია, უფლება არ გვაქვს ფარ-ხმალი დავყაროთ, ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ, რათა იგი დავამარცხოთ"- აღნიშნა ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ ლევან ჯუღელმა. ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის დირექტორის თენგიზ ცერცვაძის განცხადებით, საქართველო პოსტ საბჭოთა ქვეყნებში ერთადერთია სადაც, ყველა აივ-ინფიცირებულს უფასოდ მკურნალობენ. დღეისათვის საქართველოში უფასო მკურნალობა 162 ინფიცირებულს უტარდება. სპეციალისტების განცხადებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ შიდსთან საბრძოლველად ახალგაზრდობა გააქტიურდეს და დაავადების პრევენციაში თავისი როლი შეიტანონ. საქართველოში დღეისათვის ოფიციალურად 982 ინფიცირებული. მათ შორის წელს 102 გამოვლინდა. 207 კი, გარდაიცვალა, მათი უმრავლესობა მაკაცია. ექსპერტთა გათვლებით საქართველოში 2000-ზე მეტი ინფიცირებულია.

გუშინვე, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლიდან ქაშუეთის ეკლესიისაკენ ახალგაზრდებმა სანთლებით ხელში შიდსით გარდაცვლილთა ხსოვნის პატივსაცემად მსვლელობა გამართეს. ქაშუეთის ეკლესიაში კი შიდსით გარდაცვლილთა სულის მოსახსენებელი პანაშვიდი აღევლინა. მოგვიანებით, ბავშვთა ქალაქ „მზიურში" სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფის ორგანიზებით საქველმოქმედო აქცია" შიდსისა და სტიგმის წინააღმდეგ" გაიმართა. აქციის მონაწილე ახალგაზრდებმა მოქალაქეებს ინფორმაციული ბროშურები დაურიგეს. აქციაზე ხელნაკეთი ნივთების და სურათების გამოფენა-გაყიდვა მოეწყო. ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვების " ორგანიზებით კინოთეატრ „ამირანში" „აივ-ინფექცია შიდსის პრევენცია" საინფორმაციო მასალები განთავსდა. შიდსით გარდაცვლილთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, 27 მაისამდე შიდსის ცენტრში აივ-ზე უფასო გამოკვლევები ჩატარდება.

*ინტერპრესნიუსი*

## წმინდა ნიკოლოზ საკვირველთმოქმედის ხსენების დღე

მართლმადიდებელი ეკლესია დღეს წმინდა ნიკოლოზ საკვირველთმოქმედის ხსენების დღეს აღნიშნავს. ამ დღეს, წმინდა ნიკოლოზის წმინდა ნაწილები ლუკიიდან რომის ქალაქ ბარში გადაასვენეს. წმინდანი ლუკიის მხარის ქალაქ პათარში დაიბადა. იგი სიყრმეშივე ღრმად განისწავლა საღმრთო წერილით. პართიის ეპისკოპოსმა ღვთისმოშიში ყმაწვილი მედავითნედ, შემდეგ კი მღვდლად აკურთხა. წმინდა ნიკოლოზის ცხოვრება მრავალი სასწაულით აღინიშნა. იგი ღრმად მოხუცებული მიაბარეს მიწას და ადგილობრივ ტაძარში დიდხანს უხრწნელად იყო დაცული. მეთერთმეტე საუკუნეში, საბერძნეთის იმპერია თურქებმა დაარბიეს. მათ გადაწყვიტეს გაენადგურებინათ ნიკოლოზის საკვირველმოქმედი ნაწილებიც, მაგრამ შეეშალათ და სხვა საფლავი შემუსრეს. წმინდანის ნაწილების გადარჩენა იტალიის ქალაქ ბარიდან ჩასულმა მღვდელმა დროგომ და ვაჭრებმა შეძლეს. მათ მოწიწებით გადაასვენეს წმინდანის მირონმდინარე ნაწილები წმინდა სტეფანეს სასახლეში. ერთი წლის შემდეგ იქ აშენდა წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია.წმინდა ნიკოლოზი გაჭირვებულების, ოჯახის კეთილდღეობისა და ქალიშვილების მფარველი წმინდანია. **ინტერპრესნიუსი**

### მოკლედ

**ადვოკატის საჩივარი**

„ბიგ-ბენთან" მომხდარ ინციდენტში ბრალდებულ ნოშრევან ნამორაძის ადვოკატმა ეკა ბესელიამ თბილისის სააპელაციო სასამართლოში საჩივარი შეიტანა.

ეკა ბესელიას განცხადებით, იგი თბილისის საქალაქო სასამართლოს 19 მაისის იმ გადაწყვეტილების გაუქმებას მოითხოვს, რომლის საფუძველზეც, ნამორაძეს წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეეფარდა. ადვოკატის მტკიცებით, მომხდარ ინციდენტში ნოშრევან ნამორაძე თავად არის დაზარალებული, ამიტომ იგი სასამართლოს, ალტერნატივის სახით, არასაპატიმრო აღმკვეთი ღონისძიების ფორმას არ შესთავაზებს.

მისი თქმით, გაურკვეველი მიზეზების გამო, პირველი დღიდან სამართალწარმოება არასწორი გზით წავიდა და დაზარალებულისა და ბრალდებულის როლები აირია.

„ძიების პერიოდში უნდა გახდეს ცნობილი, თუ რამდენი იარაღიდან მოხდა ინციდენტის დროს გასროლა, ვინ არიან ამ საქმის მოწმეები, ყველა მათგანი უნდა დაიკითხოს, ვინაიდან „ბიგ-ბენთან" მომხდარი ინციდენტის ერთ-ერთი მთავარი მოწმე აცხადებს, რომ კურცხალიასთან ერთად ავტომანქანაში იმყოფებოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი მაღალჩინოსანი გიორგი ცააძე და სხვები", - განაცხადა ბესელიამ.

შეგახსენებთ, 15 მაისს სუპერმარკეტ „ბიგ-ბენთან" ყოფილ პოლიციელ დავით კურცხალიასა და ნოშრევან ნამორაძეს შორის ურთიერთშელაპარაკება მოხდა. ორმხრივი სროლის შედეგად ორივე მძიმედ დაიჭრა. **ინტერპრესნიუსი**

**ავიაკატასტროფის მიზეზი, შესაძლოა, საწვავის მაჩვენებლის გაუმართაობა იყო**

საქართველო, შესაძლოა, სოჭში მომხდარი ავიაკატასტროფის შემსწავლელი კომისიიდან გამოვიდეს. როგორც ცნობილია, 3 მაისს სოჭთან სომხური ავიაკომპანია „არმავიას" თვითმფრინავის A-320 ავიაკატასტროფის შედეგად 113 ადამიანი დაიღუპა.

„არმავიას"' თვითმფრინავის ტრაგიკულ შემთხვევას სოჭში ოთხმხრივი კომისია იძიებს. „საქაერონავიგაციის"' წარმომადგენლები, რამდენიმე დღეა, ფრანგ, რუს და სომეხ ექსპერტებთან ერთად იმ შავი ყუთის საძებნელად არიან მივლინებულნი, რომლის მიხედვითაც, „აერობუს 320"-ის" ჩამოვარდნის მიზეზი უნდა გაირკვეს.

ქართული მხარის მოთხოვნის მიუხედავად, საქართველომ ამ კომისიაში მხოლოდ დამკვირვებლის სტატუსი მიიღო.

„ჩვენ კომისიის სრულუფლებიანი წევრობა მოვითხოვეთ, ვინაიდან ავიაკატასტროფის შესახებ ყველაზე სრულყოფილ ინფორმაციას ვფლობთ, მაგრამ მხოლოდ დამკვირვებლის სტატუსი მოგვენიჭა. ამიტომ, არ არის გამორიცხული, რომ ეს კომისია დავტოვოთ", - განაცხადეს „საქაერონავიგაციაში".

როგორც „საქაერონავიგაციაში" განაცხადეს, შავი ყუთი ჯერჯერობით ნაპოვნი არ არის, მაგრამ ქართველი და რუსი ნავიგატორების ჩანაწერების მიხედვით ირკვევა, რომ ჩამოვარდნის მიზეზი, შესაძლოა, თვითმფრინავის საწვავის მაჩვენებლის გაუმართაობა იყო. ***ინტერპრესნიუსი***

### ორი სიტყვით

სტრასბურგში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელს სერგეი ლავროვს შეხვდა. ბეჟუაშვილმა რუს კოლეგასთან ქართულ-რუსულ ურთიერთობებსა და იმ პრობლემებზე ისაუბრა, რომელიც ორ სახელმწიფოს შორის გაჩნდა. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სტრასბურგში ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სხდომაში მონაწილეობდა. სხდომაზე ბეჟუაშვილი სიტყვით გამოვიდა და აღნიშნა, რომ საქართველო მიესალმება, თუ „რუსეთი კონტროლს გაუწევს სტაბილურობისა და დემოკრატიის უზრუნველყოფას მის საზღვრებსა და სამეზობლოში". **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში სტაჟირებისათვის სპეციალურმა კომისიამ უმაღლესი სასწავლებლების 78 კურსდამთავრებული და დამამთავრებელი კურსის სტუდენტი შეარჩია. სტაჟიორების მსურველთა კონკურსში 264 კანდიდატი მონაწილეობდა. პირველი ეტაპი - ტესტირება - 102-მა მათგანმა გაიარა, რომლის შემდეგ გასაუბრება ჩატარდა. შერჩეული კანდიდატები იუსტიციის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში სტაჟირებას 6 თვის განმავლობაში გაივლიან. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ლუდის ქარხანა „ყაზბეგის" მიმდებარე ტერიტორიაზე მტკვარში 16 წლის მოზარდი გადავარდა. შემთხვევის ადგილზე შინაგან საქმეთა სამინისტროს სამაშველო სამსახურის წევრები გამოიძახეს. თუმცა, მათ მისვლამდე მოზარდის გადასარჩენად მტკვარში კიდევ ორი ახალგაზრდა გადახტა. მაშველებმა ისინი ცოცხლები ამოიყვანეს, მაგრამ 16 წლის მოზარდის გადარჩენა ვერ მოხერხდა. **ინტერპრესნიუსი**

**24 საათი:** მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი

# საქართველოს სახე სუამის უკრაინული სამიტის ინტერიერში

პირველი გვერდიდან

### დსთ - უკრაინა-საქართველოს ურთიერთობის ლაკმუსი

ცოტა ხნის წინ უკრაინისა და საქართველოს პრეზიდენტები, საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში, ერთმანეთს ლიტვაში შეხვდნენ და, სხვა ერთობლივი მიზნის გარდა, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობიდან გამოსვლის შესაძლებლობაც განიხილეს. კიევის სამიტის წინ უკრაინულ პოლიტიკურ ელიტაში დამოკიდებულება იცვლება და დსთ-დან გამოსვლის შესახებ განცხადებებს მხოლოდ ნიადაგის მოსინჯვის მოკრძალებულ მცდელობად მიიჩნევენ.



უკრაინაში 26 მარტს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნებისა და პოლიტიკურ ძალთა ახალი ბალანსის ჩამოყალიბების შემდეგ, უკრაინისა და საქართველოს სტრატეგიული საგარეო პოლიტიკური ხედვები აღარაა ისე ჰარმონიული, როგორიც „ნარინჯისფერი რევოლუციის“ პირველი წლის განმავლობაში იყო. თუ საქართველოს პოლიტიკურ ელიტაში უალტერნატივოა ნატო-ში გაწევრიანება, უკრაინის პარლამენტში, რომლის თითქმის ნახევარს ვიქტორ იანუკოვიჩის „რეგიონების პარტია“ წარმოადგენს, ალიანსში გაწევრიანების თაობაზე დიამეტრულად განსხვავებული დამოკიდებულებაა.

ანალოგიური დამოკიდებულება არსებობს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობიდან გამოსვლისადმიც. ყველაზე მსხვილი ოპოზიციური გაერთიანება - „რეგიონების პარტია“ დსთ-ს მიმართ საკმაოდ კრიტიკულად არის განწყობილი. ტარას ჩორნოვილის თქმით, თანამეგობრობიდან გამოსვლაზე უკრაინის ხელისუფლების ზოგიერთი წევრის საუბარი ორმაგ თამაშს წააგავს: **„გავლენა, სავარაუდოდ, იმან მოახდინა, რომ უკრაინის ხელისუფლებამ დაიწყო გარკვეული ორმაგი თამაში, ერთი მხრივ, სუამის წევრ სახელმწიფოებთან და, მეორე მხრივ, რუსეთთან, რადგან პირდაპირი დაპირისპირების პოლიტიკამ არავითარი პოლიტიკური დივიდენდი არ მოიტანა, გარდა ეკონომიკური ზარალისა.“**

მართლაც, ერთი კვირის წინ უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააკეთა განცხადება, რომ უკრაინა არ აპირებს თანამეგობრობიდან გამოსვლას და ასეთი მოსაზრება მხოლოდ ცალკეულ პოლიტიკოსებს ეკუთვნით. ამ აზრს იზიარებს უკრაინის პარლამენტის წევრი, იულია ტიმოშენკოს ბლოკის წარმომადგენელი, ვოლოდიმერ პოლოხალო, თუმცა წარსულში ცნობილი პოლიტოლოგი დარწმუნებულია, რომ თანამეგობრობამ ამოწურა საკუთარი თავი და უკრაინის ხელისუფლებამ უფრო გადამჭრელად უნდა იმოქმედოს: **„უკრაინელ ექსპერტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ დსთ-მ, როგორც ეროვნულ ინტერესთა რეალიზების ინსტრუმენტმა, ამოწურა საკუთარი თავი. ამასთან, ამგვარ სანახევრო, არათანამიმდევრულ საუბრებში - გამოვიდეთ თუ არა დსთ-დან - იკითხება ჯერ კიდევ არასაკმარისად დამოუკიდებელი პოლიტიკა და ბუნდოვანია, თუ რამდენად არის მზად უკრაინის პოლიტიკური ელიტა და უკრაინის პრეზიდენტი, იყვნენ თანამიმდევრულნი ევროპული არჩევანის რეალიზებაში.“**

თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რომ უკრაინის დსთ-იდან გამოსვლის შესახებ განცხადება სწორედ სუამის სამიტის დღეს გაკეთდეს. ამ თვალსაზრისით მეტად ნიშანდობლივი კომენტარი გააკეთა უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ანტონ ბუტეიკომ 19 მაისს. ტელეარხ „1+1“-ის ეთერით გამოსვლისას, ბუტეიკომ დსთ შეადარა **„ქათამს, რომელიც კვერცხს არ დებს.“**

### ქართული ღვინის „ორიგინალური“ რეკლამა კიევში

ასეთი განწყობის ფონზე შეიკრიბებიან სუამ-ის - საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანისა და მოლდოვას - პრეზიდენტები კიევში. ჯერჯერობით გაურკვეველია, დაესწრება თუ არა შეხვედრას აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილხამ ალიევი, თუმცა უკვე ცნობილია, რომ სამიტზე მხოლოდ რამდენიმე საათს დაჰყოფს მოლდოვას პრეზიდენტი ვლადიმირ ვორონინი, რომელსაც, საქართველოს ლიდერის მსგავსად, სერიოზულად გაურთულა საქმე რუსეთის მიერ მოლდოვური ღვინოების აკრძალვამ და სუამ-ის სამიტისგან იგი ვითარების შემსუბუქებას ნაკლებად ელოდება.

ყველაზე მეტ ხანს კიევში საქართველოს პრეზიდენტი დაჰყოფს. მიხეილ სააკაშვილის ვიზიტის პროტოკოლი, ტრადიციულად, ყოველ საათში იცვლება, რაც სერიოზულ თავსატეხს უჩენს მასპინძლებს. ამბობენ, რომ საქართველოს ლიდერი კიევში 24 მაისამდე დარჩება. მიხეილ სააკაშვილი უმასპინძლებს ქართული ღვინის დიდ ფესტივალს კიევში, რომელიც 22 მაისს გაიხსნება.

თუ რა დივიდენდებს მოუტანს ქართველ მეღვინეებს ეს ფესტივალი, უცნობია. კიევის ბორისპოლის აეროდრომიდან დედაქალაქისკენ მიმავალ გზაზე აღმართულია ქართული ღვინის ვეებერთელა სარეკლამო ბილბორდი მახვილგონივრული წარწერით: **„ეს არის ღვინო, რომელსაც რუსეთში არ სვამენ“.**

# „კასპიის ფსკერზე მილსადენის გაყვანას საერთო თანხმობა სჭირდება“

ოფიციალური ასტანა აცხადებს, რომ კასპიის ზღვის ფსკერზე გაზსადენის ასაშენებლად ყველა მოსაზღვრე ქვეყნის თანხმობაა აუცილებელი.

ბერლინში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა ყაზახეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა კასიმჟორატ ტოკაევმა განაცხადა, რომ აღნიშნული მშენებლობის დაწყებამდე აუცილებელია, ყველა კასპიისპირა სახელწიფომ მოაწეროს ხელი ზღვის სტატუსის შესახებ კონვენციას. საგულისხმოა, რომ მანამდე ანალოგიური პოზიცია გამოხატა ირანის ისლამურმა რესპუბლიკამაც.

რაც შეეხება კასპიის ზღვის სტატუსზე საბოლოო შეთანხმებას, იგი ჯერჯერობით მიღწეული არ არის. ტერიტორიული წყლებისა და კასპიის ზღვაში არსებული „სიმდიდრეების“ გაყოფაზე არაერთგვაროვანი შეხედულებების გამო, ეს საკითხი ჯერაც მოუგვარებელია.

*ბი ბი სი*

# საქართველოს პოლიტიკური მანევრი სჭირდება

ფრაქცია „მრეწველების“ ლიდერი ზურაბ ტყემალაძე, საქართველო-რუსეთს შორის შექმნილი დაძაბულობის გასანეიტრალებლად, ხელისუფლებას დიპლომატიური მანევრის გამოყენებას ურჩევს. როგორც ტყემალაძემ აღნიშნა, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის დაძაბვა პოლიტიკოსთა აგრესიულ განცხადებებს უკავშირდება, რაშიც ბრალი ორივე მხარეს მიუძღვის.

„აგრესიული განცხადებები, ძირითადად, რუსეთისგან მომდინარეობს, მაგრამ მწვავე შეფასებების დროს არც ჩვენი ხელისუფლება იჩენს დიდ სიფრთხილეს. ვითარების გამოსასწორებლად, საქართველოს დიპლომატიური სვლა სჭირდება, რათა რუსეთის მხრიდან მომდინარე აგრესია გაანეიტრალოს. დიპლომატიური მანევრი ყველაზე შესაფერისი ნაბიჯია, რომლის განხორციელებაც საქართველოს შექმნილი ვითარების ფონზე შეუძლია“, - აცხადებს ტყემალაძე.

მისი თქმით, საქართველოს დსთ-დან გასვლის საკითხი რუსეთთან ურთიერთობის აღდგენას და კეთილმეზობლურ თანაცხოვრებას ხელს ნამდვილად არ შეუშლის. „დსთ იმდენად უფუნქციო ორგანიზაციაა, მის სივრცეში საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხს რუსეთი დიდ მნიშვნელობას აღარ ანიჭებს“, - აცხადებს „მრეწველების“ ლიდერი.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# ისრაელ-პალესტინის მოლაპარაკებები იწყება

ისრაელისა და პალესტინის მაღალჩინოსანთა შეხვედრამ ეგვიპტეში საერთაშორისო საზოგადოებას სამშვიდობო მოლაპარაკებების განახლების იმედი გაუღვივა. პალესტინის ავტონომიის ლიდერი მაჰმუდ აბასი ისრაელის პირველ დიპლომატთან ციპი ლივნისთან შეხვედრისას, სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყების აუცილებლობაში მის დარწმუნებას შეეცადა.




ეს შეხვედრა პირველი იყო უმაღლეს ოფიციალურ დონეზე ისრაელსა და პალესტინის ავტონომიაში არჩევნების ჩატარების შემდეგ.

როგორც ცნობილია, პალესტინის საპარლამენტო არჩევნებში ექსტრემისტული დაჯგუფება „ჰამას“-ის გამარჯვების შემდეგ ისრაელმა უარი განაცხადა პალესტინის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების წარმოებაზე. მართალია, პალესტინის ავტონომიის ლიდერი მაჰმუდ აბასია, რომლის პარტია „ფათჰი“ ასევე შედის მთავრობის შემადგენლობაში, მაგრამ უმრავლესობას „ჰამას“-ი შეადგენს, რომელსაც პრეტენზია აქვს აკონტროლოს ავტონომიის ძალოვანი და საფინანსო სტრუქტურები.

ნებისმიერ შემთხვევაში, მაჰმუდ აბასი კიდევ ერთხელ შეეცადა დაერწმუნებინა ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი პალესტინელთა კეთილ ნებასა და სურვილში - მოიძებნოს გამოსავალი კონფლიქტიდან. აბასი იმედოვნებს, რომ ლივნი შეძლებს ისრაელის პრემიერ-მინისტრის ეჰუდ ოლმერტის დარწმუნებას დათანხმდეს მოლაპარაკებებს აშშ-ში ოფიციალური ვიზიტის დასრულების შემდეგ.

ეგვიპტეში მოლაპარაკებები საკმაოდ დაძაბული მოვლენების ფონზე წარიმართა. როგორც ცნობილია, ისრაელის საჰაერო სამხედრო ძალებმა შაბათს იერიში მიიტანეს ღაზას სექტორზე, რის შედეგადაც 4 პალესტინელი დაიღუპა. დაღუპულთა შორის ერთ-ერთი რადიკალური სამხედრო დაჯგუფების „ისლამური ჯიჰადის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელია.

მოლაპარაკებების დაწყებას არც თავად პალესტინის ავტონომიაში შექმნილი მდგომარეობა ამსუბუქებდა მანამდე, ვიდრე ისრაელის მინისტრთა კაბინეტმა არ მიიღო გადაწყვეტილება პალესტინის ავტონომიისთვის 11 მილიონი აშშ დოლარის გაყინული ანგარიშების განახლების შესახებ, რაც ჯანდაცვას მოხმარდება. ეს გადაწყვეტილება ისრაელის მთავრობამ გუშინ მიიღო, მანამდე კი ვითარება არც ისე სასიამოვნო იყო პალესტინელთათვის, რადგან დასავლეთის მიერ ფინანსური დახმარებისა და ისრაელის მიერ საბაჟო და საგადასახადო მოსაკრებლის გადარიცხვის შეწყვეტის შემდეგ პალესტინის ავტონომია ფინანსური კრიზისის ზღვარზე აღმოჩნდა, რასაც სხვადასხვა დაჯგუფებას შორის დაპირისპირებაც დაემატა.

შაბათს „ფათჰ“-ის შეიარაღებულმა ფრთამ პალესტინის ავტონომიის ხელმძღვანელს „ჰამას“-ით დაკომპლექტებული მთავორბის დათხოვნა მოსთხოვა პალესტინის სადაზვერვო უწყების მეთაურის დაჭრის სანაცვლოდ.

გენერალი თარიქ აბუ რაჯაბი, რომელიც მაჰმუდ აბასის ერთ-ერთი უახლოესი თანამოაზრეა, მძიმედ დაიჭრა ღაზას სექტორში დაზვერვის შტაბ-ბინის აფეთქების შედეგად.

თუმცა, „ჰამას“-ის წევრები აცხადებენ, რომ აფეთქება წინასწარი განზრახვით არ მომხდარა, ეს უბრალო შემთხვევითობა იყო.

*24 საათი*




# მესაზღვრეები აღლუმში მონაწილეობას არ მიიღებენ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ქვედანაყოფები 26 მაისს ქვეყნის დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილ აღლუმში მონაწილეობას არ მიიღებენ.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, აღლუმში თავდაცვის სამინისტროს 13 ათასი სამხედრო მოსამსახურე, 5 ათასი რეზერვისტი და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 400 წარმომადგენელი მიიღებს მონაწილეობას. აღლუმზე 42 საფრენი აპარატის - აქედან 6 სამხედრო თვითმფრინავისა და 36 ვერტმფრენის - დემონსტრირება მოხდება. ამჯერად მუხლუხოვან ტექნიკას არ გამოიყენებენ და აღლუმში მხოლოდ ჯავშანმანქანები და თვითმავალი საარტილერიო დანადგარები მიიღებენ მონაწილეობას. დღეს აღლუმის მორიგი რეპეტიცია ჩატარდება, 24 მაისისთვის კი გენერალური რეპეტიციაა დაგეგმილი.

*მედიანიუსი*

# საქართველომ მოსკოვს მორიგი ნოტა გაუგზავნა

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე წლის 19 მაისს ქ. ცხინვალში მუშაობა დაიწყო ჩრდილოეთ-ოსეთის რესპუბლიკა ალანიისა და „სამხრეთ ოსეთის“ მთავრობების ერთობლივმა სხდომამ.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით საგარეო საქმეთა სამინისტრომ სათანადო ნოტით მიმართა რუსეთის მხარეს და მოსთხოვა განმარტებები.

რუსეთის ფედერაციის ერთერთი სუბიექტის მთავრობის წარმომადგენლების მსგავს შეხვედრაში მონაწილეობის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, მომხდარი განხილიულ იქნება, როგორც საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლური პოსტულატების, კერძოდ, სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპის დარღვევა და რუსეთის მხრიდან არამეგობრული ნაბიჯი საქართველოსთან მიმართებაში.

*საგარეო საქმეთა სამინისტრო*

# მეგობარი ქვეყნების ჯგუფი საქართველოში ჩამოდის

22 მაისს საქართველოში „მეგობარი ქვეყნების ჯგუფი“ ჩამოდის, რომლებთანაც ქართული მხარე, აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით, კონსულტაციებს გამართავს.

აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების საკითხში პრეზიდენტის პირადი წარმომადგენლის ირაკლი ალასანიას განცხადებით, ქართული მხარისთვის მეგობარი ქვეყნების ჯგუფის ვიზიტი უმნიშვნელოვანესია, რადგან აფხაზეთში სამშვიდობო ფორმატის შეცვლის შესახებ მოლაპარაკებები უნდა დაიწყოს. მისივე თქმით, აფხაზეთში კონფლიქტის დარეგულირების სამშვიდობო სტრატეგია და საგზაო რუკა ქართული მხარის წინადადებებით, საბოლოო ჩამოყალიბების მიზნით, აფხაზურ მხარეს გადაეცემა. აფხაზეთში კონფლიქტის დარეგულირების გეგმაზე საქართველოს პარლამენტი „მეგობარი ქვეყნების ჯგუფის“ ვიზიტის შემდეგ იმსჯელებს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# დუმის დეპუტატების დელეგაცია აფხაზეთში

დუმის დეპუტატის ვიქტორ ოზეროვის განცხადებით, საქართველოს დსთ-დან გამოსვლის შემთხვევაში, არ არის აუცილებელი, თანამეგობრობა აფხაზეთმაც დატოვოს. აღნიშნული განცხადება რუსეთის სათათბიროს დეპუტატმა ვიქტორ ოზეროვმა სოხუმში გააკეთა. რუსეთის დუმის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე აფხაზეთში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება. აფხაზეთში ვიქტორ ოზეროვი დე-ფაქტო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს და სხვა ოფიციალურ პირებს შეხვდა. საუბრის ძირითადი თემა აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი და საქართველოსთან ურთიერთობა იყო.

*ინტერპრესნიუსი*

# ფინანსური პოლიცია უარყოფს

თეა თედლიაშვილი
გორიდან

გავრცელებული ინფორმაციით, სამართალდამცველთა მიერ ჩატარებული კიდევ ერთი სპეცოპერაცია კვლავ ლიკვიდაციით დასრულდა. არსებული არაოფიციალური ინფორმაციით, დაბა სურამთან ახლოს შიდა ქართლის ფინანსური პოლიციის მიერ ჩატარებულ ოპერაცია მსხვერპლით დამთავრდა. თუმცა, გავრცელებულ ინფორმაციას შიდა ქართლის ფინანსური პოლიციის უფროსი ზურაბ არსოშვილი კატეგორიულად უარყოფს. თუმცა, იგი აცხადებს, რომ ინციდენტი, რომელსაც მისი თანამშრომლები შემთხვევით შეესწრნენ, მსხვერპლით დასრულდა.

**„არავითარი სპეცოპერაცია ფინანსურ პოლიციას არ ჩაუტარებია. ჩვენი სამი თანამშრომელი შემთხვევით შეესწრო დაყაჩაღების ფაქტს და დანაშაული აღკვეთა. როდესაც ჩვენი თანამშრომლები ადგილზე მივიდნენ, მოქალაქე ივანე ვაშაკიძე უკვე გარდაცვლილი იყო. მას „გაზელის“ ტიპის ავტომობილით კონტრაბანდული სიგარეტი გადმოჰქონდა და თავს ყაჩაღები დაესხნენ. მოხდა დამნაშავის დაკავება, ზოგიერთმა გაქცევა შეძლო“**, - ამბობს შიდა ქართლის ფინანსური პოლიციის უფროსი ზურაბ არსოშვილი.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა შიდა ქართლის ფინანსური პოლიციის უფროსის მოადგილემ ავთანდილ მეტივიშვილმაც. მისი თქმით, შემთხვევის ადგილზე პოლიციის თანამშრომლები, ფაქტობრივად, „მოწმის სტატუსით“ იმყოფებოდნენ.

**„ფინანსურ პოლიციას კონტრაბანდული სიგარეტის არსებობის შესახებ ინფორმაცია ჰქონდა, ისინი ოპერაციის ჩატარებას გეგმავდნენ. თუმცა, შემთხვევის ადგილზე მისულებს ვაშაკიძე გარდაცვლილი დახვდათ. მას თავის არეში ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობა აღენიშნება“**, - განაცხადა მეტივიშვილმა.

გარდაცვლილი ივანე ვაშაკიძე გორის რაიონის სოფელ ფხვენისის მკვიდრია. ფხვენისის საკრებულოს თავმჯდომარე ვანო გაბროშვილი ადასტურებს, რომ გარდაცვლილს კონტრაბანდული სიგარეტი გადმოჰქონდა.

**„ერთ-ერთი მათგანი, რომელიც ავტომანქანაში იმყოფებოდა, იმის გამო, რომ კონტრაბანდული სიგარეტი გადმოჰქონდა, გორის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს წინასწარი მოთავსების იზოლატორშია გადაყვანილი. რაც შეეხება გარდაცვლილს, ჯერჯერობით უცნობია, თავდამსხმელებმა მოკლეს თუ სპეცოპერაციას შეეწირა. თუმცა, ფაქტია, რომ ადამიანი გარდაიცვალა. სავარაუდოდ, მას ჭრილობა ავტომატის კონდახით აქვს მიყენებული. ცხედარს ნატყვიარი არ აღენიშნება“**, - აცხადებს ვანო გაბროშვილი.

დაღუპულის ახლობლები ირწმუნებიან, რომ ვაშაკიძეს თავის არეში დაზიანება ბლაგვი საგნით აქვს მიყენებული. ექსპერტიზის ჩასატარებლად ვაშაკიძის ცხედარი გორის პროზექტურაში გადაიტანეს. მომხდართან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა.

# კალაშოვის ოჯახის პრეტენზიები

საინფორმაციო სააგენტო Газета.Ru-ს ინფორმაციით, 7 მაისს დუბაიში დაკავებული „კრიმინალური ავტორიტეტის“ შაქრო კალაშოვის ოჯახის წევრები აცხადებენ, რომ მათ დაკავებულის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაცია არ გააჩნიათ და დღემდე მასთან დაკავშირების საშუალება არ მისცემიათ.

კალაშოვის ცოლი მარინა რადჩენკო შეშფოთებას გამოხატავს ქმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო:

„მას პრობლემები ჰქონდა თირკმელებთან და გულთან დაკავშირებით, რის გამოც, მკურნალობდა“, - აცხადებს კალაშოვის მეუღლე.

ესპანეთის მოსამართლის სანქციით დუბაიში დაკავებული შაქრო კალაშოვის ადვოკატი აცხადებს, რომ მან დუბაის პროკურატურიდან მიიღო თანხმობა, კალაშოვთან ცოლისა და ქალიშვილის შეხვედრის შესახებ.

„წერილობითი თანხმობა დათარიღებულია 14 მაისით. თუმცა, აქამდე დუბაის პოლიცია კალაშოვის ცოლ-შვილს არ აძლევს დაკავებულთან შეხვედრის უფლებას“, - აცხადებს „კანონიერი ქურდის“ ადვოკატი, რომელმაც მომხადრი ადამიანის უფლებების დამცველებთან გაასაჩივრა.

Газета.Ru-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ესპანეთის ხელისუფლებას ოფიციალურად ჯერ არ მოუთხოვია კალაშოვის ექსტრადიცია. თუმცა, ესპანეთის იუსტიციის სამინისტრო აცხადებს, რომ დუბაის აუცილებლად მოსთხოვენ „რუსული მაფიის“ მეთაურის გადაცემას, რომელიც ესპანეთში სხვადასხვა დანაშაულის ჩადენაშია ეჭვმიტანილი.

ამასთან, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ესპანეთს მოუწოდა, დაიცვას კორექტულობა, ტერმინის - „რუსული მაფიის“ გამოყენებისას, რათა რუსეთის მოქალაქეებზე არ შეიქმნას ნეგატიური წარმოდგენა.

„მით უმეტეს, რომ ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების წარმომადგენლები, რომლებიც ეჭვმიტანილები არიან და რომელთაც „რუსული მაფიის“ წარმომადგენლებს უწოდებენ, საბჭოთა კავშირის ყოფილი ქვეყნებიდან არიან, მიუხედავად იმისა, რომ მათ რუსეთის მოქალაქეობა გააჩნიათ“, - ასეთი განცხადება გაავრცელა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ესპანელი სამართალდამცველების იმ განცხადების საპასუხოდ, რომლითაც „კრიმინალური ავტორიტეტები“ ტარიელ ონიანი და შაქრო კალაშოვი „რუსული მაფიის“ თავკაცებად მოიხსენიეს.

*24 საათი*

## მოკლედ

### ლიკვიდაცია კონფლიქტის ზონაში

ქართულ-ოსურ კონფლიქტის ზონაში კიდევ ორი ადამიანი მოკლეს. სოფელ ხელჩუაში, რომელშიც, ძირითადად, ოსი ეროვნების მოსახლეობა ცხოვრობს, გორის რაიონის სოფელ მერეთში მცხოვრები ორი ადამიანი - იაშა საბაშვილი და შურიკა ელიშვილი მოკლეს. ორივე მაგანი ადრე ყაჩაღობისა და სხვა მძიმე კატეგორიის დანაშულისთვის იძებნებოდა.

პირველადი მონაცემებით, ქართველი ეროვნების ორი მოქალაქე ოსურ სოფელში, ერთ-ერთ ოჯახში დაყაჩაღების მიზნით შეიჭრნენ. ისინი ფულის გამოძალვას ცდილობდნენ, ოჯახში მყოფ ოსი ეროვნების ქალბატონს სხვადასხვა სახის დაზიანებები მიაყენეს, რა დროსაც, მისმა ვაჟიშვილმა რამდენიმე გასროლით ორივე თავმდამსხმელი შემთხვევის ადგილზე მოკლა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ინფორმაციას მხოლოდ ოსური მხარე ავრცელებს.

„რია ნოვოსტისთვის“ მიცემულ კომენტარში ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის ხელმძღვანელი ირინა გაგლოევა აცხადებს:

**„დაუდგენელი ქართული ბანდფორმირება ოსურ სოფელს შუაღამისას დაესხა თავს. თავდამსხმელებს კამუფლიაჟები ეცვათ და ნიღბები ეკეთათ. ორმხრივი სროლის შედეგად ორი ქართველი თავდამსხმელია მოკლული, დაიჭრა ერთი ოსი, რომელიც ცხინვალის საავადმყოფოშია გადაყვანილი. ოჯახის ორი წევრი კი ნაცემია“.**

მკვლელობის ადგილზე იმყოფებოდნენ შიდა ქართლის სამხრეთ პოლიციის თანამშრომლები და რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდალი მარატ კულახმეტოვი. ოსური მხარე ექსპერტიზის დამთავრებამდე ელიაშვილისა და საბაშვილის ცხედრების ქართულ მხარისთვის გადაცემაზე უარს ამბობს. აღნიშნულ ფაქტზე ცხინვალის რეგიონში მყოფი ქართულ სამშვიდობო ბატალიონის წარმომადგენლები ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებენ. **24 საათი**

### "თავისუფლების ინსტიტუტი" ომბუდსმენის წინააღმდეგ

საქართველოს სახალხო დამცველი სოზარ სუბარი, რომელიც სამართალდამცველებს ეჭვმიტანილთა წინააღმდეგ ძალის გამოყენების გადაჭარბებაში ადანაშაულებს, არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფლების ინსტიტუტის“ კრიტიკის ობიექტი გახდა. როგორც ცნობილია, სოზარ სუბარმა 19 მაისს ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტს ამ სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ ანგარიში წარუდგინა. საკომიტეტო მოსმენისას სახალხო დამცველი 27 მარტს ციხეში მომხდარ ბუნტს, 2 მაისს თბილისის ცენტრში ჩატარებულ სპეცოპერაციას და სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმესაც შეეხო.

„თავისუფლების ინსტიტუტის“ წარმომადგენელმა თეა თუთბერიძემ 19 მაისს ტელეარხ „იმედის“ პოლიტიკურ ტოკ-შოუ „რეაქციაში“ მონაწილეობისას განაცხადა, რომ, კომპეტენტური დასკვნების გაკეთების ნაცვლად, სუბარი ოპოზიციის ზეგავლენის ქვეშ ექცევა. მისი თქმით, ომბუდსმენმა გამოძიების უფლების მოსაპოვებლად განსაკუთრებული ყურადღება სახალხო დამცველის აპარატში მიმდინარე ინსტიტუციურ ცვლილებებს უნდა მიაქციოს. **მედიანიუსი**

# ცალანის საქმე

პირველი გვერდიდან

მესტიის რაიონული პოლიკლინიკის ექიმ-ფსიქიატრმა ნაზო ფარჯიანმა, რომელმაც ცალანი პოლიციის განყოფილებაში მოინახულა, სახალხო დამცველის წარმომადგენელთათვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში განაცხადა, **„დაკავებული რ.ცალანი აშკარად ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ იყო. ეს ჩანდა ვიზუალური დათვალიერებით და პირიდან ამომავალი ალკოჰოლის დამახასიათებელი სუნით. რის საფუძველზეც გავეცი ცნობა“.**

არადა, ცალანი აცხადებს, რომ ექიმ-ფსიქიატრმა პოლიციელების ზეწოლის შედეგად დაწერა, რომ ის ძლიერი ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა, რაც სიცრუეა. **„აღნიშნული დასკვნა ფარჯიანმა გააკეთა ვიზუალური დათვალიერების შემდეგ, ჩემი სიმთვრალე-სიფხიზლის დასადგენად არანაირი ექსპერტიზა არ ჩატარებულა“,** - ამბობს ცალანი.

სახალხო დამცველის წარმომადგენელთა განცხადებით, მომხდართან დაკავშირებით, ცალანის ახლობლები სამართალდამცველებისგან სისხლის სამართლის საქმის აღძვრას ითხოვდნენ. საქმის აღძვრის თხოვნით მათ მიმართეს, მესტიის პროკურორს გულივერ გურჩიანს, რომელმაც განაცხადა, რომ ვინაიდან, რევაზ ცალანი ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მომხდარ ინციდენტში მთელი პასუხისმგებლობა მას ეკისრება და სისხლის სამართლის საქმე სწორედ მის წინააღმდეგ უნდა აღიძრას. მესტიის პროკურორმა გულივერ გურჩიანმა განაცხადა, რომ 11 აგვისტოს დილით, რაიონული პოლიციის განყოფილებაში მისვლისას, მან შეიტყო, რომ საგამოძიებო ჯგუფს ცალანის მიმართ აღძრული ჰქონდა სისხლის სამართლის საქმე - პოლიციის მუშაკთა მიმართ წინააღმდეგობის გაწევის თაობაზე.

მოგვიანებით, სახალხო დამცველის წარმომადგენლისთვის გურჩიანის მიერ მიცემული განმარტებით, 22 აგვისტოს, დაზარალებულის მეუღლისა და დის განცხადების საფუძველზე, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა ცალანის ცემის ფაქტზე. მისი თქმით, უშუალოდ ცალანს მისთვის ცემის შესახებ განცხადებით არ მიუმართავს. გურჩიანის ინფორმაციით, რევაზ ცალანი პერიოდულად დადიოდა პროკურატურაში და მისი უფლებების დაცვას ითხოვდა. თუმცა, ვინაიდან ცალანი მუდმივად ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მისი დაზარალებულად დაკითხვა ვერ მოხერხდა. არადა, როგორც სახალხო დამცველის წარმომადგენელი აცხადებს, ცალანის განცხადება საქმის აღძვრის შესახებ, პროკურატურაში დამალეს, რეგისტრაციაში არ გაატარეს.

მესტიის შს რაიგანყოფილების ინსპექტორ-გამომძიებლის თემურ ჩიქოვანის ინფორმაციით, რევაზ ცალანი სპეცრაზმის თანამშრომლებმა სცემეს. ცალანისა და მისი ახლობლების მოთხოვნის შემდეგ ჩიქოვანმა სამი სპეცრაზმელის გვარი დაასახელა - მალხაზ წიკლაური, ტარიელ ფრუიძე და სოლომონ ხორბალაძე.

სახალხო დამცველის წარმომადგენელთან პირად საუბარში მესტიის შს რაიონული განყოფილების სხვა თანამშრომლები და პოლიციის ამჟამინდელი უფროსი გიორგი სამარლანიშვილი სპეცრაზმელების მიერ ცალანის ცემის ფაქტს ადასტურებენ.

სახალხო დამცველი სოზარ სუბარი ცოტა ხნის წინათ ცალანის საქმესთან დაკავშირებით გენერალურ პროკურორს შეხვდა და ზურაბ ადეიშვილისგან მიიღო პირობა, რომ ცალანის საქმეს ობიექტურად გამოიძიებენ. ცალანის საქმე სოზარ სუბარს პირად კონტროლზე ჰყავს აყვანილი. სახალხო დამცველის განცხადებით, გამოძიებამ მათი რეკომენდაციები მიიღო და წინასწარი ინფორმაციით, უკვე გამოიკვეთა სპეცრაზმელთა დანაშაული. თუმცა, მათი პასუხისმგებლობის საკითხი ჯერჯერობით არ დამდგარა.

*24 საათი*

# ყველაზე გახმაურებული სასამართლო პროცესი

## დუმის დეპუტატები მზად არიან, სიკვდილით დასჯაზე მორატორიუმი გააუქმონ

*ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი სასამართლო პროცესი დასასრულს მიუახლოვდა. ჩრდილოეთ ოსეთის უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ ერთადერთი ცოცხლად გადარჩენილი ბესლანელი ტერორისტის, ნურფაშა კულაევის (რომლის სასამართლო პროცესიც ვლადიკავკაზში მიმდინარეობს) განაჩენის წაკითხვა დაიწყო. სასამართლოს გადაწყვეტილებით, კულაევი დამნაშავედაა მიჩნეული პროკურატურის მიერ წაყენებულ ყველა ბრალდებაში. განაჩენის წაკითხვა რამდენიმე დღის განმავლობაში გაგრძელდება, რისი დასრულების შემდეგაც მოსამართლე ვერდიქტს გამოიტანს. „ყველაზე ხმაურიანი სასამართლო პროცესი“, - ასე შეფასდა კულაევის სასამართლო პროცესი უცხოელი ჟურნალისტების მიერ. პროცესს 50-ზე მეტი აკრედიტებული ჟურნალისტი ესწრება - რუსული და უცხოური მასმედიის წარმომადგენლები. სასამართლო შენობას და მის მიმდებარე ტერიტორიებს რუსეთის სპეცსამსახურების გაძლიერებული რაზმები იცავენ.*



*მოსამართლე კულაევის განაჩენს კითხულობს.*

როგორც ცნობილია, ნურფაშა კულაევი ერთადერთია, ვინც ბესლანის სკოლაზე თავდასხმის შემდეგ ტერორისტთაგან ცოცხალი გადარჩა. სასამართლო პროცესზე სახელმწიფო ბრალმდებლის როლში მყოფმა, რუსეთის გენერალური პროკურორის მოადგილემ, ნიკოლაი შეპელმა ჩრდილოეთ ოსეთის უზენაეს სასამართლოს განსასჯელისთვის სასჯელის უმაღლესი ზომის - სიკვდილით დასჯის შეფარდება მოსთხოვა.

არადა, ევროპული ინსტიტუტების მოთხოვნით, რუსეთში სიკვდილით დასჯაზე მორატორიუმია გამოცხადებული. როცა რუსეთი ევროსაბჭოს წევრი გახდა, ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი მოთხოვნა ევროსტრუქტურის მხრიდან სწორედ სიკვდილით დასჯის გაუქმება გახლდათ. თუმცა, მაშინ რუსეთი ამ უმძიმესი განაჩენის სრულ გაუქმებაზე ვერ წავიდა და, კომპრომისის სახით, მორატორიუმი გამოაცხადა. 1996 წლის შემდეგ რუსეთში არც ერთი სასიკვდილო განაჩენი არ აღსრულებულა.

უცხოური პრესის განცხადებით, გენერალური პროკურორის მოადგილის მოთხოვნით, რუსეთის ხელისუფლებას მიეცა საშუალება, კულაევის სიკვდილით დასჯის მოთხოვნა ტერორიზმთან საბრძოლოველად უფრო ქმედითი ზომების გამოყენების საჭიროებით გაემართლებინა.

სახელმწიფო ბრალმდებლის გამოსვლას მაშინვე მოჰყვა პოლიტიკოსთა გამოხმაურება.

**„მოქმედ სამართლებრივ სივრცეში, სიკვდილით დასჯაზე მორატორიუმის პირობებში და საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გათვალისწინებით, ეს დაუშვებელია“,** - აცხადებს სახელმწიფო სათათბიროს სამოქალაქო, სისხლის სამართლის, საარბიტრაჟო და საპროცესო კანონმდებლობის კომიტეტის თავმჯდომარე პაველ კრაშენნიკოვი. მისივე თქმით, დადგენილი წესიდან გამონაკლისი არ არსებობს - ისეთ ადამიანებთან მიმართებაშიც კი, როგორიც ნურფაშა კულაევია.

**„ჩვენს ქვეყანაში სიკვდილით დასჯაზე მორატორიუმია გამოცხადებული - ეს ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვალდებულებაა. თუ მორატორიუმი გაუქმდა, ევროსაბჭოდან, უბრალოდ, გამოგვაგდებენ“**, - ამბობს მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფის ხელმძღვანელი ლუდმილა ალექსეევა.

**„ტერორისტები ყველაზე მკაცრ სასჯელს იმსახურებენ, მაგრამ მიბრუნება სიკვდილით დასჯისკენ, თუნდაც ასეთი საშინელი დამნაშავეების მიმართ, შემაშფოთებელი იქნება“,** - ასეთ კომენტარი გაუკეთა შეპელის მოთხოვნას ადამიანის უფლებათა დამცველმა, რუსეთის იუსტიციის სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი საბჭოს თავმჯდომარემ, ვალერი ბორშჩევმა.

სასიკვდილო განაჩენის აღდგენას დასაშვებად მიიჩნევეს ზოგიერთი რუსი პოლიტიკოსი. შეპელის წინადადება მისაღებია სახელმწიფო სათათბიროს ვიცე-სპიკერისთვის, ჩრდილოეთ კავკასიის პრობლემების კომისიის თავმჯდომარე ვლადიმერ კატრენკოსთვისაც. ის ამბობს, რომ პროკურატურის პოზიცია მისთვის „გასაგები და მისაღებია“.

**„იმ არამზადებისთვის, რომლებიც ბავშვებს ხოცავენ, გადაწყვეტილება ცალსახა უნდა იყოს - ისინი სიკვდილით დასჯას იმსახურებენ“**, - ამბობს კატრენკო.

კულაევის სიკვდილით დასჯას ემხრობიან რუსი კომუნისტებიც.

**„ქვეყანა ჯერ არ მომწიფებულა სიკვდილით დასჯის გასაუქმებლად“**, - აცხადებს რუსეთის ფედერაციის კომუნისტური პარტიის ლიდერი გენადი ზიუგანოვი.

სენატორმა, ფედერაციის საბჭოში ჩრდილოეთ ოსეთის პარლამენტის წარმომადგენელმა, ვალერი კადოხოვმა კი აღნიშნა:

**„სიკვდილით დასჯაზე მორატორიუმის გამოცხადებით, ჩვენ ვცდილობთ, რეალობის გაუთვალისწინებლად ვაამოთ დასავლელ დემოკრატებს“.**

დაბოლოს, რაც მთავარია - რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა განაცხადა, რომ, მართალია, პირადად ის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საზოგადოებისა და რუსი ხალხის განწყობას გაითვალისწინებს.

გაზეთი „F“ წერს, რომ კულაევი სასამართლომ დამნაშავედ ცნო და მას განაჩენს კვირის ბოლოს გამოუტანენ.

**„ძალზე ბევრი თვლის, რომ კულაევი „განტევების ვაცია“, თუმცა ჯერჯერობით უცნობია, რა ელის მას: სამუდამო პატიმრობა, თუ სიკვდილით დასჯა - როგორც ეს სახელმწიფო ბრალმდებელმა მოითხოვა“,** - წერს გაზეთი და იქვე დასძენს, რომ ერთადერთი, რაც კულაევს დაუდასტურდა, ისაა, რომ ის ბესლანის სკოლაში მყოფი ტერორისტებიდან ერთ-ერთია.

**„დაკითხულ მოწმეთა დიდმა ნაწილმა განაცხადა, რომ ბესლანის დრამის ტრაგიკული დასასრულის პროვოცირება რუსი სამხედროების ყუმბარმტყორცნიდან გასროლით მოხდა. გასროლის შედეგად დაზიანდა სკოლის სპორტული დარბაზის სახურავი, რამაც ხანძარი გამოიწვია. სპორტდარბაზის სახურავის ჩანგრევის შედეგად დარბაზში მყოფ მძევალთა დიდმა ნაწილმა გონება დაკარგა და ისინი გაჩენილი ხანძრის შედეგად ცოცხლად დაიწვნენ. გარდა ამისა, შტურმის დროს მძევალთა დიდი ნაწილი დაიღუპა არა ტერორისტთა ტყვის შედეგად, არამედ განმათავისუფლებელი რუსი სამხედროების მიერ ტანკებიდან და ყუმბარმტყორცნებიდან განხორციელებული გასროლების შედეგად“,** - წერს გაზეთი.

გაზეთი „S“-ი კი წერს, რომ კულაევის სასამართლო პროცესს თვალყურს ადევნებდნენ დაღუპულთა ახლობლები და ყოფილი მძევლები, რომლებიც გამოძიების მიმართ უკმაყოფილებას ღიად გამოთქვამდნენ. მათ სასამართლოს წინ საპროტესტო აქციაც კი მოაწყვეს - გარდაცვლილ ბავშვთა ფოტოებით და ტრანსპარანტებით: **„ყველა დამნაშავე დაისაჯოს“.** დაზარალებულთა ადვოკატი სოსლან კოჩიევი აცხადებს, რომ გამოძიება სერიოზული დარღვევებით ჩატარდა. ადვოკატი ამბობს, რომ მათ სურდათ და იმედი ჰქონდათ, რომ პროკურატურა გამოიძიებდა ბესლანის ტრაგედიას, პროკურატურამ კი შექმნა კულაევის საქმე.

სასამართლო პროცესზე მოულოდნელი აღმოჩნდა ერთ-ერთი დაზარალებულის სუსანა დუდიევას გამოსვლა. მას ბესლანის სკოლის შტურმისას 14 წლის ვაჟი მოუკლეს, მისი უფროსი ქალიშვილი კი დაიჭრა.

სასამართლოში ჩვენების მისაცემად გამოძახებულმა დუდიევამ ბრალმდებლის შეკითხვაზე: **„გსურთ მატერიალური და მორალური ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა კულაევისგან“?** - უპასუხა:

**„მე მინდა, ჩემი მოთხოვნები წავუყენო სახელმწიფოს. მინდა, განსასჯელის სკამზე ვნახო ყველა ის, ვინც დაუშვა ბესლანის ტრაგედია“!**

შემდეგ დაზარალებულმა კულაევს მიმართა:

**„ჩვენ მზად ვართ, გაპატიოთ, თუ მართალს იტყვი. ვის დავუჯეროთ: შენ თუ გამოძიებას? ჩვენ არ გვჯერა გამოძიების. დაგვეხმარე! ჩვენ ამ სკამზე, შენს გარდა, ბევრი სხვა გვსურს ვიხილოთ. მოჰყევი ყველაფერს, რაც გაქვს მოსაყოლი. ეს იქნება ჩემი მორალური ზიანის ანაზღაურება - სიმართლის შეტყობა“.**

გაზეთი „T“-ი წერს, რომ მალე მზად იქნება დამოუკიდებლად ჩატარებული გამოძიების დასკვნა, სადაც ნათქვამია, რომ ბესლანის ტრაგედია რუსეთის სპეცსამსახურების არაპროფესიონალიზმის შედეგია. გაზეთის თქმით, სასამართლოს არ დაუკითხავს ფსბ-ს ხელმძღვანელი ნიკოლაი პატრუშევი და რუსეთის შს მინისტრი რაშიდ ნურგიევი, არადა, არსებობს ინფორმაცია, რომ ორივე ძალოვანი სკოლის შტურმისას ბესლანში იმყოფებოდა და ბრძანებებს გასცემდა, თუმცა, ისინი ხალხში არ გამოჩენილან.

კულაევმა სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ ის თავს არ ცნობს დამნაშავედ, ბოევიკებმა ბესლანში ძალით წაიყვანეს, ისე, რომ მან არც იცოდა ტერორისტთა ბანდის სამოქმედო გეგმის შესახებ. მან, ასევე, განაცხადა, რომ არ დაუნახავს, როგორ დახოცეს მძევლები.

**„საკუთარ თავს ვერასდროს ვაპატიებ იმას, რომ ვიყავი იქ, სადაც დახოცეს ბავშვები, ანგელოზები“,** - თავის საბოლოო სიტყვაში განაცხადა კულაევმა.

თუმცა, სასამართლოს კულაევის ჩვენება არ გაუზიარებია.

კულაევს ბრალად ედება უმძიმესი დანაშაულების ჩადენა - ბანდიტიზმი, ტერორიზმი, მძევლების აყვანა და მკვლელობა. სასამართლოში განსახილველად გადაცემულია სისხლის სამართლის საქმის 105 ტომი, რომელშიც დაზარალებულად ცნობილია 1315 ადამიანი, ბრალდების მოწმეებად სასამართლოში წარდგა 69 დაზარალებული.

ვლადიკავკაზის სასამართლო ბესლანელ ტერორისტს განაჩენს, სავარაუდოდ, კვირის ბოლომდე გამოუტანს.

**„სამუდამო პატიმრობა თუ სიკვდილით დასჯა? - ეს შეკითხვა აქტუალურია საერთაშორისო საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით კი - ჟურნალისტებისთვის. ამ შეკითხვას რამდენიმე დღეში პასუხს გასცემს მოსამართლე თამერლან აგუზაროვი, რომელიც სასიკვდილო სენით - სისხლის კიბოთია დაავადებული“,** - წერს უცხოური პრესა.

*24 საათი*

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

**სახელი, გვარი**...........

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**...........

**საკონტაქტო ტელეფონი**...........

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპის" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

[illegible]

1. მეტროს სადგური "[illegible]" ([illegible]);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "[illegible] II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "[illegible] II", ([illegible]);
8. მეტროს სადგური "სადგურის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. [illegible] 45 [illegible] "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77. იურიდიული ოფისი "გაპი".

# პრემია, სახელად „აკა მორჩილაძე"

საპატიო „საბა" ანა კალანდაძეს გადასცეს

პირველი გვერდიდან

აკა მორჩილაძე ერთ წამში იქცა ზოგისთვის გმირად, ზოგისთვის კი ანტიგმირად, რადგან სწორედ დროის ამ მცირე მონაკვეთში შეძლო საკუთარი სტატუსის ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრა - აკა მორჩილაძე უკანასკნელი წლების რჩეული და ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მწერალია და ამას მის სახლში, წიგნების თაროზე ჩამომწკრივებული სამი „საბაც" ადასტურებს.

„საბა" არ გადაეცემა სახელებსა და გვარებს, „საბათი" საუკეთესო ტექსტებს აჯილდოებენ", - ამ შესავლით გახსნა დაჯილდოების ცერემონიალი ზემოხსენებული ხუმრობის ავტორმა ლაშა ბუღაძემ, რითაც თითქოს ყველაზე მოსალოდნელი მოულოდნელობებისთვისაც შეგვამზადა. თუმცა, თუ „საბას" ჟიურის წევრთა კომპეტენტურობასა და ავტორიტეტს გავითვალისწინებთ, ყველა მოულოდნელობა ნორმის ფარგლებში უნდა მოვათავსოთ და უპირობოდ მივიღოთ.

TBC ბანკის, პენ კლუბისა და გაზეთ „24 საათის" მიერ დაარსებული „საბას" მეოთხე გადანაწილების პატივი წელს ლია სტურუას, კოტე ჯანდიერს, ზაზა აბზიანიძეს, მერაბ ღაღანიძეს, ნუგზარ შატაიძესა და ნოდარ ლადარიას ერგოთ. მართალია, მათი რიგები წელს ერთით შემცირდა (როგორც წესი, „საბას" ნომინანტებს შვიდკაციანი ჟიური აფასებს), მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ დიდი ჯაფა მაინც არ დასდგომიათ, რადგან შორტლისტების გამოქვეყნებიდან ცოტა ხანში ნომინანტების რიცხვიც მეტ-ნაკლებად შემცირდა (ამის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ).

TBC ბანკის ეზოში შეკრებილი ლიტერატურულად დამუხტული საზოგადოების ყველზე მხურვალე და გულწრფელი აპლოდისმენტი მაშინ გაისმა, როდესაც საუკეთესო დებიუტანტის ნომინაციაში გამარჯვებული **თეონა დოლენჯაშვილის** სახელი გამოაცხადეს. „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის" მიერ აკინძული „იანვრის მდინარე" სწორედ ის ნაწარმოები აღმოჩნდა, რომელმაც დოლენჯაშვილს არა მხოლოდ პრემია მოაპოვებინა, არამედ „საბას" ყველაზე სამართლიანად გამარჯვებულის სტატუსიც შესძინა. მან აჯობა ასევე დებიუტანტ დათო ქარდავასა და ზვიად დევდარიანს, თუმცა ეს არ იყო გენდერული ჩაგვრა - როგორც პატივცემულმა ჟიურიმ განაცხადა, ეს წარმატებული ლიტერატურული ნაწარმოების გამარჯვება იყო.



ანა კალანდაძეს საპატიო "საბა" გადასცეს.

საუკეთესო კრიტიკის, ესეისტიკისა და დოკუმენტური პროზის ნომინაციაში წარდგენილი ტარიელ ჭანტურიას, ირმა რატიანის, მარინა ბერიძისა და **აგი (გიორგი) აბაშიძის** კვარტეტიდან ყველაზე მეტი ხმა ამ უკანასკნელის „ილია ჭავჭავაძემ" მოაგროვა. ილიას შესახებ შეთხზული ტექსტი აბაშიძეს 3 ათას ლარად დაუფასდა - წელს TBC ბანკმა მეტი ხელგაშლილობა გამოიჩინა და გამარჯვებულებისთვის ათასი ლარით მეტი თანხა დააწესა.

თუ თეონა დოლენჯაშვილის შემთხვევაში ხალხს ტაში არ დაუზოგავს, „ბჰაგავადგიტას" თარგმნისთვის დაჯილდოებულ **ლევან რამიშვილს** (ეს სხვა ლევან რამიშვილია!) შედარებით მოკრძალებულად მიულოცეს. მეტიც, უკანა რიგებიდან უკმაყოფილო შეფასებებიც გაისმა. თუმცა, ამას ხელი არ შეუშლია რამიშვილისთვის თამამად გაევლო წითელ ხალიჩაზე და ლითონის ფრთაც (ასე გამოიყურება „საბა") თავდაჯერებით მიეღო. მსგავსი ცერემონიალები არასდროს არ არის დაზღვეული ასეთი შეფასებებისგან - ვიღაცას მოსწონს, ვიღაცას - არა. თუმცა ეს ის შემთხვევაა, როდესაც შედეგებს კონკრეტული ადამიანები ადგენენ და ამ ადამიანების ნაკრებს ჟიური ჰქვია.

სწორედ ამ რჩეულმა ნაკრებმა გამოავლინა საუკეთესო პიესის ავტორიც, თუმცა ამისთვის დიდი ჯაფა არ დასდგომია. **ბასა ჯანიკაშვილი** ეული და, შესაბამისად, უკონკურენტო ნომინანტი იყო. ჯანიკაშვილის ერთადერთმა კონკურენტმა ლაშა თაბუკაშვილმა რუსთაველის პრემიის მიღების მოტივით დაჯილდოების ცერემონიალამდე რამდენიმე დღით ადრე მოხსნა საკუთარი კანდიდატურა, ბასა ჯანიკაშვილი კი ნაკლებად სახარბიელო მდგომარეობაში ჩააყენა.

„ამ შემთხვევის გამო თავი უხერხულად ვიგრძენი. თუმცა ჟიურიმ ჩემთვის „საბას" მონიჭება ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა. ასე რომ, პრიზი ავტომატურად არ გადმომეცა. ამიტომ შედარებით მშვიდად ვგრძნობ თავს. ამ კრებულში ხუთი პიესაა. ნამდვილად ვერ გეტყვით, კონკრეტულად რომელმა განაპირობა ჩემი გამარჯვება. იმედია, ეს პატივი ყველასთვის მერგო", - განაცხადა ბასა ჯანიკაშვილმა.

შარშანწინდელი „პენ-მარათონის" გამარჯვებულმა **ვანო ჩხიკვაძემ** „საბა" მიიღო საუკეთესო მოთხრობების კრებულისთვის „ზამთრის წიგნი". მან დათო ტურაშვილზე, შოთა იათაშვილსა (ეჰ, შოთა და მისი „ფოტომამები" - პოეტს ძალიან კარგი პროზა არ დაუფასდა) და ბექა ქურხულზე მეტი ხმა მოაგროვა.

„ეს წიგნი გამოსაცემად არ დამიწერია. მასში შესული ტექსტები წლების განმავლობაში იქმნებოდა. ბევრი მოთხრობა და მინიატიურა დიდი ხნის განმავლობაში დაუმთავრებელი იყო. მერე გადავათვალიერე და გადავწყვიტე, რომ მათი გამოცემა შეიძლებოდა. „ზამთრის წიგნი" ჩემთვის განსაკუთრებულია. მიხარია, რომ რასაც ვწერ, მკითხველს ასე აინტერესებს", - ამბობს ვანო ჩხიკვაძე.

როგორც ჩანს, მკითხველი და ჟიურიც **რატი ამაღლობელის** პოეზიამაც დააინტერესა. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი წლევანდელი „საბას" ვერც ნომინანტებში მოხვდებოდა და ვერც გაიმარჯვებდა. სხვა რომ არაფერი, ამაღლობელს მთელი ცხოვრება ექნება საამაყო, ზვიად რატიანსა და ნუგზარ ზაზანაშვილზე რომ არაფერი ვთქვათ, ელა გოჩიაშვილის არაჩვეულებრივ ლექსებს გაუწია მეტოქეობა. გოჩიაშვილის „შაბიამანს" - ძალიან საინტერესო და პოეტური ტექსტებით შედგენილ წიგნს წელს ამაღლობელის „წრემ" აართვა „საბა".

აი, **აკა მორჩილაძემ** კი... კონკურენტებს აართვა კი არა და, საოცრება მოახდინა! იქმნება შთაბეჭდილება, მორჩილაძემ ბოტსვანას ეკონომიკური განვითარების ჩრდილოვანი ასპექტების შესახებაც რომ დაწეროს, „საბას" მაინც მიიღებს და ეს არავის გაუკვირდება. წლევანდელ ცერემონიალს „ვენერას სიზმრის" ავტორი არ დასწრებია. შესაბამისად, ვერასდროს გავიგებთ მის რეაქციას (ნეტა რა გაიფიქრა, როდესაც ჟიურიმ მისი სახელი გამოაცხადა - ალბათ გაუხარდა).

მორჩილაძემ ბესიკ ხარანაულისა და ნინო ჯიბლაძის პროზაულ თხზულებას გაუწია მეტოქეობა. რამდენიმე კვირით ადრე მას კიდევ ერთი კონკურენტი ჰყავდა ზაზა ბურჭულაძის სახით, რომელმაც ყველას „აგინა" (პიპინიებსაც), გოიმები უწოდა და თავის „ხსნად კაფკასთან" ერთად ყავის დასალევად განმარტოვდა...

ბურჭულაძე კარგად იყოს (მთავარია, ყავამ ენა არ დაუფუფქოს), ჩვენ კი კვლავ „საბას" დავუბრუნდეთ და **ანა კალანდაძეს** საპატიო პრემიის მიღება მივულოცოთ. „დიდი მადლობა „საბას" დამაარსებლებს. ასეთი ჯილდოების არსებობა, პირველ რიგში, ახალგაზრდებისთვისაა აუცილებელი, თუმცა ნამდვილი შემოქმედი პრემიების გარეშეც იმუშავებს", - ანა კალანდაძემ საპატიო „საბა" პოეზიის ყველა მოყვარულს მიუძღვნა.



## აფიშა

22 მაისი

**კინო**

**„ამირანი"**
„13 ცამეტი"
რეჟისორი გელა ბაბლუანი
დასაწყისი: 14:16:00;18:00; 20:00; 22:00

**„რუსთაველი"**
„დიდი გასეირნება"
დასაწყისი: 11:00
„და ვინჩის კოდი"
დასაწყისი: 13:00; 16:00; 19:00; 22:00

**მუსიკა**

**კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზი**
აკადემიური დირიჟორობის ფაკულტეტის კონცერტი
დასაწყისი: 19.00

**გალერეა**

**„კოპალა"**
ქართული კინოპლაკატი"

**„ქარვასლა"**
ბორის რომანოვსკის გამოფენა

**TMS**
ლევან ლაღიძის გამოფენა

**„ორიენტი"**
თანამედროვე ტიხრული მინანქარი

**გოეთეს სახელობის ინსტიტუტი**
სემინარი
„ბრეხტი და კინო"
დასაწყისი: 13.30; 17.30

**ეროვნული მემკვიდრეობის კლუბი „ტაძარი"**

ცამეტი პროექტის ფოტოგამოფენა
„ლესელიძის ბაღი „ ქარვასლის წინ
დასაწყისი: 14:30;
„მოდი!!! იპოვე შენი ადგილი ტაძარში."
ფოტომოზაიკის აწყობა
დასაწყისი: 14:40
**ბამბის რიგი**
ბანერის გახსნა: 6 ივნისს
რუსთაველის მეტროს მიმდებარე ტერიტორია
დასაწყისი: 14:00
„ქვაში ნაკვეთი ტაძარი „
შარდენის ქუჩისა და ბამბის რიგის მიმდებარე ტერიტორია
დასაწყისი: 15:00
ქუჩის აქცია - კონცერტი
შარდენის ქუჩისა და ბამბის რიგის მიმდებარე ტერიტორია
დასაწყისი: 20:00

# მე ცისფერი ვარ და მძულს...

კანის საერთაშორისო კინოფესტივალი

ნინია კაკაბაძე

### დასაწყისი

*არა მხოლოდ ქართველ, მაგრამ განსაკუთრებით ალბათ ქართველ ბიზნესმენებს, მეცენატებს, სპონსორებს ყველაზე მეტად ადამიანებზე უჭირთ ფულის დახარჯვა. საბედნიეროდ, ისეთებიც არსებობენ, ვისაც ეს შეუძლია. ძალიან ძნელია მადლობის სიტყვები მოძებნო მათთვის, ვინც ჩემი პროფესიის ადამიანს იმის შესაძლებლობა მისცა, რომ თანამედროვე მსოფლიო კინემატოგრაფის შედევრები ენახა და მისი შეფასების შესაძლებლობა ჰქონოდა. ჩემი ახლანდელი მდგომარეობა ახლა კანში არსებული სადღესასწაულო განწყობის მსგავსია. ამიტომ დიდი მადლობა ჩემი გამგზავრების გენერალურ სპონსორს GRDC ჯგუფს და ბატონ მამუკა ხაზარაძეს, მადლობა სარეკლამო სააგენტო „სარკეს" და მის გენერალურ დირექტორს ბატონ კობა დავარაშვილს. მერწმუნეთ, ასეთი ბედნიერების განცდა წელიწადში ერთხელ და ისიც კანში არის შესაძლებელი.*

**ასე დავიწყებ**. ფესტივალი გაიხსნა დენ ბრაუნის გახმაურებული წიგნის კინოვერსიით, რომლის რეჟისორია ამერიკელი რონ ჰოვარდი. ჩვენს გაზეთში უკვე დაიბეჭდა ნესტან ნიჟარაძის სტატია ფილმის შესახებ, თბილისის კინოთეატრებში უკვე გამოვიდა ფილმი **„დავინჩის კოდი"** და ისიც შევიტყვე, რომ ამ პრემიერას ხმაურიანი ტოქშოუ მიეძღვნა. ამ დებატების დასაწყისში სატელევიზიო ჩართვაც მოხერხდა, მაგრამ ტექნიკური პრობლემების გამო ვერ მოვასწარი იმის თქმა, რაც მსურდა. ამიტომ ძალიან მოკლედ ახლა მოგახსენებთ. არ დავიწყებ ფილმის განხილვას, მისი შინაარსის მოყოლას და ანალიზს. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ მთელი მსოფლიოდან კანში ჩამოსული კრიტიკოსები ამ ფილმს ორი სიტყვით ასე აფასებენ: „ძვირად ღირებული იაფფასიანი სანახაობა", „თუ გეზარებათ სქელტანიანი წიგნის წაკითხვა ან გრძელი აუდიოვერსიის მოსმენა და ინტერესი გახრჩობთ, მხოლოდ ამ შემთხვევაში ნახეთ ფილმი", „ფილმს ეკუთვნის ჯილდო - საუკეთესო პოპკორნის ფილმი". ფილმზე არც ერთი დადებითი რეცენზია არ დაწერილა, თუმცა არც ერთ სტატიაში არ იყო გაბრაზებული ქრისტიანის რისხვა. მას მხოლოდ ძალიან დაბალი, უღირსი კინემატოგრაფისთვის აკრიტიკებდნენ. ეს არის ის, რაც არ მოეწონათ ფილმის რეჟისორს და რომანის ავტორს, მაგრამ მოსწონთ ის, რასაც მათ წინააღმდეგ ახორციელებს კათოლიკური (და ახლა უკვე მართლმადიდებლური(ც) სამყარო. ეს საუკეთესო რეკლამაა, რომელსაც ნებისმიერი ავტორი ინატრებდა. ამიტომ წიგნი ბესტსელერად არის აღიარებული და ფილმსაც იგივეს უწინასწარმეტყველებენ. თუ 40 მილიონი წიგნი გაიყიდა, იმის გამო, რომ კინოს უფრო მეტი მაყურებელი ჰყავს, ვიდრე წიგნს - მკითხველი, მას, სულ ცოტა, 40 მილიონისა ეყოლება. იმ საპროტესტო მოწოდებებსა თუ აქციებს დენ ბრაუნი ცინიკური და კმაყოფილი პასუხით კიდევ უფრო აქეზებს. „კათოლიკურ ეკლესიას ყოველთვის პრობლემები აქვს ჰომოსექსუალიზმთან და ჰომოსექსუალებთან. მე დავამტკიცე, რომ ქრისტე ჰომოსექსუალი არ იყო", - ამბობს ის გამარჯვებული და კმაყოფილი იერით. მსგავს ეპითეტებს არ იშურებს რონ ჰოვარდი. ისიც ცინიკურად პასუხობს იესო ქრისტეს უფლებების დამცველებს. „თუ თქვენ გაშფოთებთ ფილმში მოთხრობილი ამბავი და გგონიათ, რომ ის თქვენს რწმენას შეარყევს, ნუ ნახავთ მას". კათოლიკური ეკლესიის პროტესტზე კი ხმამაღლა აცხადებს, რომ მისი წყალობით კიდევ უფრო მეტ მილიონს მოიპოვებს. ასე რომ, საქართველოში მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის საპროტესტო აქციები გაცილებით გაზრდის „დავინჩის კოდის" მაყურებლის რიცხვს და სამწუხაროა, რომ ამას ვერავინ ხვდება.

ლა-სკალაში წარუმატებელ ოპერას ან შემსრულებელს პამიდორს ესვრიან. კინოეკრანზე ეს გაუმართლებელი და არაეფექტური იქნებოდა. ამიტომ აქაურმა კრტიკოსებმა და რიგითმა მაყურებლებმა ფილმის პრემიერაზე, რომელსაც მთელი გადამღები ჯგუფი ესწრებოდა, სტვენით აიკლეს დარბაზი და ისე გააცილეს მისი შემქმნელები. ასე რომ, თუ გჯერათ თანამედროვე კინემატოგრაფიულ სამყაროში ყველაზე კვალიფიციური კინოკრიტიკოსების, რომელთაც კანში მოიყარეს თავი, ნუ ნახავთ ფილმს. აქ მყოფი კინოს მოყვარულისთვის ეს გაცილებით იოლია, რადგან აქ ბევრი კარგი ფილმია და არ ღირს ტვინის დანაგვიანება კიდევ ერთი ძვირად ღირებული და იაფფასიანი სანახაობით, მით უმეტეს მაშინ, როდესაც....

როდესაც „თავისუფალ თემაში" ჩართვისთვის ვემზადებოდი, ჩემს ზურგს უკან იწყებოდა ინგლისელი კინორეჟისორის კენ ლოუჩის ფილმის საღამოს სეანსი საგანგებოდ მოწვეული სტუმრებისთვის. ფილმი ბრაუნისა და ჰოვარდის „დავინჩის კოდზე" გაცილებით უფრო საინტერესო და აქტუალურია. განსაკუთრებით საქართველოსთვის. ჩვენი ცხოვრება მაშინ იქნება გაცილებით საინტერესო, როდესაც ცხარე დებატები ასეთ ფილმებზე გაიმართება.





კადრები ფილმიდან "THE WIND THAT SHAKES THE BARLEY".

**THE WIND THAT SHAKES THE BARLEY**. ირლანდიისა და ინგლისის კონფლიქტი. მოქმედება მე-20 საუკუნის 20-იან წლებში ვითარდება. უმჯობესი იქნება, თუ ამ კონფლიქტს ომს დავარქმევთ. ახალგაზრდების ჯგუფი, რომელიც დიდი იმპერიის საჯარისო ფორმირებებს ებრძვის. ფილმი ისტორიულ ფაქტებზეა დაფუძნებული, ამიტომ ინგლისელ რეჟისორს პრესკონფერენციაზე საყვედურის ფორმით ასეთი კითხვა დაუსვეს: ხომ არ გეჩვენებათ, რომ ეს პერიოდი და მისი თანამდევი ფაქტები დღეს უკვე მოძველებულია? კენ ლოუჩის პასუხი ასეთი იყო: „არ არის აუცილებელი ამბავი ასე სწორხაზოვნად გავიგოთ. დამთავრდა ეს დაპირისპირება, კონფლიქტი, მაგრამ დღესაც არსებობენ დიდი ქვეყნები, რომელთაც კონფლიქტი აქვთ პატარა ქვეყნებთან". ფილმის პირველ ნაწილში ის აშკარად ანტიბრიტანული, ანტიიმპერიალისტური ხასიათისაა. მაგრამ კენ ლოუჩი არ მიეკუთვნება იმ პირდაპირი და სწორხაზოვანი რეჟისორების რიცხვს, რომელიც კონფლიქტის დროს ერთ, ტრადიციულად ძლიერ მხარეს წარმოგვიდგენს ცალსახად უარყოფით პლანში. ფილმი არ პასუხობს კითხვას, ვინ არის დამნაშავე. ის გაცილებით ღრმად შედის პრობლემის არსში და გვიჩვენებს...

გვიჩვენებს, როგორ წარმოშობს ძალადობა ახალ ძალადობას, როგორ ასწავლის დიდი დამპყრობელი და ძლიერი ქვეყანა პატარა და სუსტი ქვეყნის მოქალაქეებს მკვლელობას, დაუნდობლობას, სისასტიკეს. მას შემდეგ, რაც ირლანდიისა და ინგლისის მთავრობა გარკვეულ შეთანხმებას მიაღწევს, ცოტა ხნის წინ ირლანდიის დაუნდობლობისთვის ერთად მებრძოლი და ნაწამები ახალგაზრდების აზრი იყოფა. ისინი ისე კლავენ ერთმანეთს, როგორც ოდესღაც მათ ინგლისელი ჯარისკაცები ხოცავდნენ, ისევე აიძულებენ დაასმინონ ტყეში გაქცეული თანამოაზრე ირლანდიელი პარტიზანები. ფილმი საოცრად დამაჯერებელი და თანამედროვეა, მიუხედავად იმისა, რომ მოქმედება თითქმის ერთი საუკუნის წინ ვითარდება.

ასეთ ფილმებზე დაყრდნობით ჩვენს ქვეყანაში არსებულ პრობლემებზე საუბარი გაცილებით სასარგებლო იქნება, ვიდრე დენ ბრაუნისა და რონ ჰოვარდის სკანდალზე გათვლილი, იაფფასიანი ბლოკბასტერების მაგალითზე. თუ კენ ლოუჩის ფილმს ვნახავთ, იქნებ მერე იმაზეც ვისაუბროთ, რომ საქართველო არის დიდი ქვეყნების ძალადობის მსხვერპლი პატარა ქვეყანა, რომ არ დავდგეთ იმ საშიშროების წინაშე (თუმცა იქნებ უკვე ეს პერიოდიც გავიარეთ), როდესაც კარგად ნასწავლი ძალადობა ჩვენზე უფრო პატარა ქვეყნების ან ერთმანეთის წინააღმდეგ გამოვიყენეთ. გენიალური ინგლისელი კინორეჟისორის ფილმი გაცილებით უფრო ცხარე და საინტერესო დებატების საბაბს იძლევა, ვიდრე კანის საერთაშორისო კინოფესტივალის გამხსნელი ფილმი „დავინჩის კოდი". პრესტიჟული ფესტივალის გამხსნელი ფილმი მის ხარისხზე არ მიუთითებს - ორი წლის წინ ის გაიხსნა „ტერმინატორი 3"-ით არნოლდ შვარცნეგერის მონაწილეობით.

დაბოლოს, დავუბრუნდეთ დასაწყისს, სულ პირველ წინადადებას ანუ სათაურს. კანის კინოფესტივალს ერთი არაკომფორტული თვისება აქვს. სოციალური თანასწორობა აქ მოჩვენებითია. კინოში შესასვლელ რიგში დგომისას ყოველი ადამიანი აღმოაჩენს, რომ ის ყველაზე დაუნდობელი კაპიტალიზმის მსხვერპლია. რადგან კანის დარბაზები არ შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს, პრესის წარმომადგენელთა ინტერესი ყოველთვის აღემატება ადგილების რაოდენობას. ერთი სიტყვით, აქ ჟურნალისტები დიფერენცირებულნი არიან პრიორიტეტების მიხედვით, რომელთაც აკრედიტაციის ბარათის ფერი განასხვავებს ერთმანეთისგან. ყველაზე პრიორიტეტული ყოველდღიური პრესაა - ვარდისფერი. შემდეგ მოდის ყოველთვიური - ცისფერი. ბოლოს ვინ არის, არც კი ვიცი. ისინი ყვითლები არიან. მაგალითად, დგას ცისფერი კინოში შესასვლელ უსასრულო რიგში, თუნდაც პირველი. შესასვლელთან მას მეორე, ვარდისფერების რიგი უერთდება. პირველ რიგში სწორედ ისინი შედიან დარბაზში. თუ ადგილი დარჩა, მას შემდეგ უშვებენ ცისფერებს. და თუ კიდევ რამდენიმე ადგილს გამოჰკრავთ ხელს, ყვითლებიც შეძვრებიან.

მე და ჩემმა მასწავლებელმა ანუ Teacher-მა, როგორც ის საკუთარ თავს უწოდებს, გოგი გვახარიამ, კინოფესტივალის აკრედიტაცია ყოველთვიური ჟურნალებიდან მოვითხოვეთ. ამიტომ ჩვენ ცისფერები ვართ და **გვძულს ვარდისფერები!**

მოკლედ

## საპროტესტო აქცია

უნივერსიტეტის ბაღში 23 მაისს ქართველი მეცნიერები პროფესორ-მასწავლებლები და კულტურის მოღვაწეები საპროტესტო აქციას გამართავენ. აქციის მონაწილენი ხელისუფლების მიერ მეცნიერების, განათლებისა და კულტურის სფეროში განხორციელებულ პოლიტიკას გააპროტესტებენ. საპროტესტო აქციამდე კი, დღეს „თბილისი მარიოტში" ქართველი საზოგადო მოღვაწეები თემური ნანეიშვილი, შოთა ვაშაკიძე, თენგიზ სანაძე, ნუკრი ქანთარია და სხვები პრესკონფერენციას გამართავენ. „ეს არის საპროტესტო აქცია, რომელიც მეცნიერების განათლებისა და კულტურის სფეროში საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებულ დამანგრეველ პოლიტიკას გააპროტესტებს"- განაცხადა „წინ საქართველოს" წარმომადგენელმა ირაკლი ბათიაშვილმა.

*ინტერპრესნიუსი*

## პრემიერ-მინისტრი ბრიტანეთში შეხვედრებს მართავს

პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოლაიდელი დიდ ბრიტანეთში ოფიციალურ შეხვედრებს იწყებს. მთავრობის მეთაურის ლონდონში სტუმრობისას, განსაკუთრებული ყურადღება ეკონომიკური ხასიათის საკითხებს დაეთმობა. საუბარი შეეხება საქართველოში არსებულ საინვესტიციო კლიმატს. დაგეგმილია აქციები ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით.

*პრაიმ-ნიუსი*

## კიდევ ერთი სამხედრო ეშელონი ხვალ დატოვებს საქართველოს

გუშინ დაიწყო ახალქალაქის 62-ე სამხედრო ბაზიდან კიდევ ერთი სამხედრო ეშელონის დატვირთვა. 19 ვაგონისგან შემდგარი ეშელონის გასვლა ახალქალაქიდან სამშაბათისთვის იგეგმება. მიმდინარე წლის ბოლოსთვის საქათველოს კიდევ 20 ეშელონი დატოვებს. ეშელონები ახალქალაქისა და ბათუმის სამხედრო ბაზებიდან გაყვანილი ტექნიკით იქნება დატვირთული. ამის შესახებ რუსეთის სახმელეთო ჯარების მთავრსარდლის თანაშემწე იგორ კონაშენკოვი იტყობინება.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## უბედური შემთხვევა კოლონიაში

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქსნის N7 დაწესებულებაში უბედური შემთხვევა მოხდა. 20 მაისს საცხოვრებელი კორპუსის სახურავი, სადაც წყლის 7-ტონიანი ავზი იყო დამაგრებული, ჩაინგრა, რამაც ორი მსჯავრდებულის - პაატა აბაზაშვილისა და გიორგი გიორგიშვილის სიცოცხლე იმსხვერპლა. შემთხვევის შედეგად დაშავდა მსჯავრდებული მამუკა საღინაშვილიც, რომლის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

23 წლის პაატა აბაზაშვილს - 7 წელი, ხოლო 34 წლის გიორგი გიორგიშვილს 4 წელი ჰქონდა მისჯილი. ამ ფაქტთან დაკავშირებით იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტმა სისხლის სამართლის საქმე აღძრა. უბედური შემთხვევის სავარაუდო მიზეზად წყლის ავზის კარკასის ბმულების არასწორი შედუღება ან მისი განზრახ დაზიანება სახელდება.

*24 საათი*

# ნულოვანი ტოლერანტობა პოლიციის თავნებობას

პირველი გვერდიდან

ადამიანის უფლებათა შელახვის შემთხვევების დროული გამოვლენის და ობიექტური რეაგირების აუცილებლობა გახდა ძალიან ბევრი მიმართვის, მოწოდების, ანგარიშის თუ ღია წერილის თემა. ამ კამპანიას 10 მაისს გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა ახალი, ყოვლისმომცველი სახელი მოუნახა - *ნულოვანი ტოლერანტობა სამართალდამცავების მხრიდან კანონდარღვევების მიმართ.*

2006 წლის 10 მაისს გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა პერიოდულ ანგარიშზე გაკეთებულ დასკვნებში მიუთითა საქართველოს:

საქართველომ „უფრო დიდი პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს ადამიანის უფლებების კულტურის დამკვიდრებას, პოლიციის იერარქიის ყველა დონეზე და სასჯელაღსრულებით დაწესებულებების თანამშრომლებს შორის ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის დანერგვით. ასეთმა პოლიტიკამ უნდა გამოავლინოს და რეაგირება მოახდინოს პრობლემებზე, განავითაროს ქცევის კოდექსი ყველა მოხელეთათვის, მათ შორის მათთვის, ვინც ჩართულია ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაში, და წარმოადგინოს რეგულარული მონიტორინგი დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოს მხირდან."



ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის დანერგვის ინიციატივა, 2006 წლის 14 თებერვალს საქართველოს პარლამენტის საგაზაფხულო სესიაზე გამოსვლისას საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა წარმოადგინა. მისი ინიციტივით სისხლის სამართლის კოდექსში უნდა შესულიყო ცვლილებები, რომელიც ბინის და ქუჩის ძარცვაზე, ჯიბგირობასა და ნარკოტიკების შენახვაზე გამკაცრებულ სასჯელს გაითვალისწინებდა. პრეზიდენტმა წარმოადგინა ინიციატივა, რომლის მიხედვითაც ამ დანაშაულებზე უნდა გაუქმებულიყო პირობითი სასჯელი.

მაშინ ნულოვანი ტოლერანტობის იდეა საზოგადოების განხილვის საგანი გახდა, თუმცა როგორც კონკრეტული დანაშაულების მიმართ ბრძოლის ხერხი, ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა ახალი ცნება არ არის. ამ პოლიტიკას ახორციელებენ იმ მიზნით, რომ მძიმე სასჯელის დაკისრება წარმოადგენდეს მსგავსი დანაშაულების ჩადენის თავიდან აცილების საშუალებას. კრიტიკოსთა მსჯელობის საგანს წარმოადგენდა ამ პოლიტიკის ეფექტურობა საქართველოში, კონკრეტული მეთოდების გამოყენების სისწორე ქართულ რეალობაში და სხვა მიდგომების გამოცდის სურვილი. თუმცა, გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა ნულოვანი ტოლერანტობის ინიცატივის ობოექტი ასი გრადუსით შეცვალა და საკუთარი დასკნა საქართველოს სახელმწიფოში პოლიციის მხრიდან კანონდარღვევების მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის შემოღების რეკომენდაციით დაიწყო.

გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის 10 მაისის დასკვნა რამდენიმე მხრივ არის საინტერესო.

პირველ რიგში იმიტომ, რომ ნულოვანი შემწყნარებლობის პოლიტიკის ობიექტი აბსოლუტურად საწინააღმდეგოა. კონკრეტული დანაშუალების მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის პირობებში სრულიად შესაძლებელია სახელმწიფომ გამოაცხადოს ნულოვანი მოთმენა პოლიციის თვითნებობის მიმართ, რაც ოპტიმალური გზა იქნებოდა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში ავტორიტეტული კომიტეტის მოსაზრებების გათვალისწინებისა.

დასკვნა ღირშესანიშნავია საკუთარი საკმაოდ კრიტიკული დამოკიდებულების გამომჟღავნებით საქართველოს სახელმწიფოში წამებასა და არაჰუმანურ მოპყრობასთან დაკავშირებით, რაც იშვიათია ამ ტიპის დოკუმენტებში, რომელიც სახელმწიფოთა თანამშრომლობის იდეაზე არის დაფუძნებული და, შესაბამისად, მეტ-ნაკლებად ემორჩილება დიპლომატიური ეტიკეტის წესებს.

დასკვნა საინტერესოა იმდენად, რამდენადაც თითქმის ზედმიწევნით მიუთითებს იმ ხარვეზებსა და რეკომენდაციებს, რაც ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში საქართველოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების წუხილის ობიექტი იყო ამ სფეროში. მაგალითად: ის სამარცხვინო ფაქტი, რომ მიუხედავად მრავალი კონსტიტუციური ცვლილებებისა, როგორიცაა სამინისტროების სახელების შეცვლა თუ სახელმწიფო მმართველობის სისტემის შეცვლა, საქართველოს კონსტიტუციაში კვლავ რჩება მუხლი, რომელიც უშვებს საგანგებო ან საომარ ვითარებაში პირის ფიზიკურ იძულებას.

ან ის ვითარება, რომ მიუხედავად მრავალი საკანონმდებლო ცვლილებისა, კვლავ ადგილი აქვს პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტებით გამოყენებას, დაკავებისას, ციხის ბუნტის ჩახშობის თუ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის დროს.

დასკვნაში ხაზგასმულია ისიც, რომ ადამიანის უფლებების დარღვევისათვის სასამართლო წესით დასჯილი სამართალდამცავების რაოდენობა მცირეა და თანაც საზოგადოება ნაკლებად არის ინფორმირებული ამ ღონისძიებათა შესახებ.

კომიტეტმა აღნიშნა ისიც, რომ ხელისუფლებამ კიდევ უფრო უნდა შეამციროს წინასწარი პატიმრობის ვადები, სასწრაფოდ უნდა შეავსოს სასამართლო ვაკანსიები და ალტერნატიული არასაპატიმრო სასჯელი აუცილებლად უნდა იყოს გამოყენებული მაშინ, როდესაც ბრალდებული არ წარმოადგენს საფრთხეს საზოგადოებისათვის.

ისმის კითხვა: თუ უმეტესი წილი იმისა, რაც წერია წამების საწინააღმდეგო კომიტეტის დასკვნაში, უკვე არაერთხელ არის აღნიშნული საქართველოში, რატომ არის ეს დოკუმენტი მნიშვნელოვანი?

ალბათ იმიტომ, რომ კომიტეტის წევრებს, სხვადასხვა ქვეყნების დამსახურებულ მოღვაწეებს, მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების მეცნიერებს და მკვლევარებს, რომლებიც მიუთითებენ საქართველოში სამართალდამცავების პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ არადამაკმაყოფილებელ ვითარებაზე, ნაკლებად თუ ვინმე დააბრალებს რუსეთის აგენტობას, ტარიელ ონიანთან ან მის რომელიმე ამფსონთან ალიანსს ან არაკომპეტენტურობას ან იმიტომ, რომ დოკუმენტში, სხვა ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით, ნათლად და მოკლედ არის გადმოცემული რჩევები ამ პრობლების გადაწყვეტასთან დაკავშირებით, რისი შემუშავებისათვის სახელმწიფოებრივი ნების გამოვლენის გარდა, სერიოზული ანალიტიკური რესუსრის დახარჯვა მოუწევდა საქართველოს სახელმწიფოს ან იმიტომ, რომ თავისი მნიშვნელობით, ეს დოკუმენტი უფრო გავლენიანია, ვიდრე რომელიმე „იშტაზე" მყოფი ადამიანის ან ორგანიზაციის მოსაზრება, მას კითხულობს და ეცნობა მსოფლიოს პროფესიული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი.

რაც მთავარია, დასკვნა მნიშვნელოვანია, როგორც დამოუკიდებელი, კომპეტენტური, გამოცდილი და მიუკერძოებელი ადამიანიების გაფრთხილება: დღეს, საქართველოს სახელმწიფომ ნულოვანი მოთმენა უნდა გამოუცხადოს პოლიციის მხრიდან კანონის დარღვევას, რათა ცოტა ხანში არ აღმოვჩნდეთ deja vu - ს ვითარებაში - მეოთხე კურსის სტუდენტს კარგად დამამახსოვრდა 2001 წელს გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის სხდომაზე: მაშინ, როცა თარგამაძის და ალავიძის პოლიციის მხრიდან ხალხის წამება და ცემა ყოველდღიური მოვლენა იყო, ადამიანები უგზოუკვლოდ ქრებოდნენ ან „შემთხვევით" ვარდებოდნენ ქალაქის პოლიციის სამმართველოს შენობიდან, რუსუდან ბერიძე, რომელიც საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობდა გაერო-ს კომიტეტის განხილვაზე, დამსწრეებს მოუთხრობდა, თუ რა ბედნიერი იყო ის ერი, სადაც ოდესღაც თამარ მეფე იყო მონარქი.


საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს ტენდერს პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამის "იაკობ გოგებაშვილი - საჯარო სკოლების რეაბილიტაცია" ფარგლებში სასკოლო ფორმების (პირველი - მეექვსე კლასები) შეკერვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.**

**შესყიდვის ობიექტი** - სასკოლო ფორმების (პირველი - მეექვსე კლასი) შეკერვა.

**დაფინანსების წყარო** - ცენტრალური ბიუჯეტი, პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა "იაკობ გოგებაშვილი - საქართველოს საჯარო სკოლების რეაბილიტაცია".

| ლოტი N | მოდელი N | რაოდენობა | |
|---|---|---|---|
| | | გოგონა | ვაჟი |
| 1 | 1 | 16000 | 16800 |
| 2 | 2 | 12500 | 12700 |
| 3 | 3 | 10800 | 11500 |
| 4 | 4 | 2200 | 2500 |

**შენიშვნა:**

**ა)** სასკოლო ფორმა - ქვედა ბოლო, უსახელო პულოვერი, პულოვერი და ჰალსტუხი 4 სხვადასხვა მოდელი.

**ბ)** შესაკერი მოდელების აღწერილობას (მასალა და ესკიზები) და ზომებს დაინტერესებული პირები მიიღებენ სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად (მოდელების ესკიზებისა და აღწერილობის ნახვა შესაძლებელია წინასწარ).

- **მიწოდების ადგილი** - ქ. თბილისი დ. უზნაძის ქ. N52
- **მიწოდების ვადები**: 2006 წლის 20 აგვისტოსთვის.

**აუცილებელი პირობა**:

- სამუშაო შესრულებული უნდა იყოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გადაცემული აღწერილობის მიხედვით;
- წარმოდგენილი უნდა იქნას შესასყიდი საქონლის (სასკოლო ფორმის) ნიმუშები;
- სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია. გარანტიის პირობების შესახებ დეტალური ინფორმაცია ასახული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში.

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ **ქართულ** ენაზე სამ ეგზემპლარად (ერთი დედანი, ორი ასლი), **2006 წლის 12 ივნისს 16.00 საათამდე** შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. .N52 ოთახი N222 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატი.**

წარმოდგენილი პაკეტების გახსნა მოხდება 2006 წლის 12 ივნისს სატენდერო დოკუმენტაციის მიღების დამთავრებისთანავე, ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52 II სართულზე სააქტო დარბაზში.

დაგვიანებით შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს, სატენდერო წინადადებას და სხვა დოკუმენტაციას სატენდერო კომისია არ განიხილავს.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის**:

ა) ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა **(ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);**

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

გ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე (ცნობა სასამართლოდან);

დ) ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან).

**როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელების სახელსა და გვარს;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ;

გ) ინფორმაცია თანამშრომელთა კვალიფიკაციის შესახებ;

დ) ინფორმაცია შესრულებულ სამუშაოთა შესახებ.

- იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას და მოხდება მისი დისკვალიფიკაცია, თუ იგი, ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთ მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

- დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო დოკუმენტაციის მიღებამდე უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ ანგარიშზე:

**მიმღები** - ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (დიდუბე-ჩუღურეთი)
**საიდენტიფიკაციო ნომერი** - 202051224
**მომსახურე ბანკი** - საქართველოს ეროვნული ბანკი
**ბანკის კოდი** - 220101107
საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი - 302003000
**ა/ა** N 200122900

**საგადასახადო დავალების დამატებით ინფორმაციაში უნდა იყოს მითითებული:** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ორგანიზაციული კოდი 2211, ტენდერის დასახელება.

- ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

- სატენდერო დოკუმენტაციის გატანა და დამატებითი ინფორმაციის მიღება დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან შემდეგ მისამართზე:

დ. ბარაბაძე, მ. ფალიაშვილი, მ. ბუზალაძე, ნ. ბოჭორიშვილი. ქ. თბილისი, დ.უზნაძის ქ.N52 ტ. 95-65-91, ოთახი N222 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სატენდერო კომისიის აparati.



# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს გენერალური პროკურატურა (მის: ქ. თბილისი, ვ. გორგასლის ქ. N24) აცხადებს ღია საერთაშორისო ტენდერს საავტომობილო საწვავის შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.**

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: ეროვნული ბანკი, კოდი: 302003000, ანგარიშის N200122900, მიუთითონ საქართველოს გენერალური პროკურატურის სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინონ თანხის დამადასტურებელი ქვითარი 2006 წლის 12 ივნისის ჩათვლით, ქ. თბილისი, გორგასლის N24, ოთახი 214, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

შესასყიდი საქონლის სახეობა და რაოდენობა:

| ლოტი | საწვავის სახე | რ-ბა (ლიტრი) | მიწოდების სახე | მიწოდების ადგილები. |
|---|---|---|---|---|
| 1 | დიზელი ,,ლ 62" | 25000 | ტალონი | ქ. თბილისი, კახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, იმერეთი, სამეგრელო, გურია, აჭარა |
| 2 | დიზელი ,,ლ 62" | 5000 | სითხე | თბილისი, გორგასლის N24 |
| 3 | ბენზინი პრემიუმი | 350000 | ტალონი | ქ. თბილისი, კახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, იმერეთი, სამეგრელო, გურია, აჭარა. |

1. მიწოდების სასურველი ვადები: ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის ბოლომდე.
2. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ერთი ორიგინალის სახით 13 ივნისს დღის 10:00საათიდან 16:00 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს გენერალური პროკურატურა, გორგასლის ქ. N24, ოთახი 214.
3. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის (ტენდერში მონაწილე) ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული;

ბ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

გ) ინფორმაცია შესყიდვაში მონაწილე პირის, საქართველოს ტერიტორიაზი არსებული ბენზო გასამართი სადგურების განლაგების შესახებ.

4. სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში წარმოდგენილ უნდა იქნეს მათი საკვალიფიკაციო მონაცემებიც.
5. პრეტენდენტები ვერ გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.
6. ტენდერში გამოიყენება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულების ღირებულების 2% - ის ოდენობით.
7. დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.
8. ტენდერში გამოვლინდება ერთი ან რამოდენიმე გამარჯვებული.
9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ: ნოდარი ფოცხვერაშვილი ტელ: 93-24-85,

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

# ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2006 წელს ფასთა კოტირების მეთოდით განხორციელებული შესყიდვების შესახებ

**ფაქსის აპარატის ფირები და კარტრიჯები**

| შესყიდვის ობიექტი | მიმწოდებელი (ტენდერში გამარჯვებული) | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | მთლიანი ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| ფაქსის აპარატის ფირი „Panasoniki“ KX-FA54A | შპს „ორიონ ტექნოლოჯი“ | ცალი | 150 | 60.0 | 9000.0 |
| ფაქსის აპარატის ფირი „Panasoniki“ KX-FA55A | | ცალი | 150 | 63.0 | 9450.0 |
| ფაქსის აპარატის ფირი „Panasoniki“ KX-FA57A | | ცალი | 150 | 48.0 | 7200.0 |
| ფაქსის კარტრიჯი „Samsung“ M40 | | ცალი | 15 | 92.0 | 1380.0 |

**რკინის ფეხიანი სკამი**

| შესყიდვის ობიექტი | მიმწოდებელი (ტენდერში გამარჯვებული) | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | მთლიანი ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| რკინის ფეხიანი სკამი ნაჭრის საზურგეთი და დასაჯდომით | შპს „არტ დიზაინი“ | ცალი | 1100 | 31.0 | 34100.0 |
| რკინის ფეხიანი სკამი შავი კარკასით, შავი ფერის ნაჭრის საზურგეთი და დასაჯდომით | შპს „მერქსი“ | ცალი | 1000 | 31.0 | 31000.0 |

**სხვადასხვა დასახელების მცირეფასიანი საქონელი**

| შესყიდვის ობიექტი | მიმწოდებელი (ტენდერში გამარჯვებული) | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | მთლიანი ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| რბილი მილი | შპს „ზაბელა“ | გრძ/მ. | 300 | 1.2 | 360.0 |
| წყლის ურდული სხვადასხვა | | ცალი | 50 | 4.8 | 240.0 |
| წყალშემრევი | | ცალი | 40 | 30.0 | 1200.0 |
| რბილი მილი სხვადასხვა ზომის | | ცალი | 80 | 4.5 | 360.0 |
| სიფონი | | ცალი | 35 | 6.8 | 238.0 |
| წყლის ონკანი ნიჟარის (ერთიანი) | | ცალი | 50 | 15.0 | 750.0 |
| წყალშემრევის ნახევარი | | ცალი | 100 | 2.6 | 260.0 |
| წყაკშემკრების მექანიზმი "ბაჩოკი" | | ცალი | 25 | 38.0 | 950.0 |
| მინა 4 მმ | | კვ./მ. | 50 | 18.0 | 900.0 |
| კარბიდი | | კგ | 50 | 3.4 | 170.0 |
| სახრახნისის ნაკრები | | კომპლ. | 10 | 9.8 | 98.0 |
| ბრტყელტუჩა | | ცალი | 10 | 8.5 | 85.0 |
| მკვნეტარა | | ცალი | 10 | 7.5 | 75.0 |
| ექვსკუთხა სახრახნისები | | კომპლ. | 5 | 16.0 | 80.0 |
| გასაღებების ნაკრები | | კომპლ. | 25 | 15.0 | 375.0 |
| პლასტმასის ღია ურნა | | ცალი | 50 | 10.0 | 500.0 |
| ბურღების ნაკრები (რკინის) | | კომპლ. | 40 | 12.0 | 480.0 |
| ბურღების ნაკრები (ბეტონის) | | კომპლ. | 20 | 19.0 | 380.0 |
| ბოქლომი სხვადასხვა | | ცალი | 50 | 5.0 | 250.0 |
| "ბალგარკის" რკინის გადამჭრელი ქვა | | ცალი | 30 | 10.0 | 300.0 |
| "ბალგარკის" ქვის გადამჭრელი ქვა d32-d300მმ | | ცალი | 15 | 11.0 | 165.0 |
| "ბალგარკის" რკინის გადამჭრელი ქვა d32-d350მმ | | ცალი | 30 | 10.0 | 300.0 |
| "ბალგარკის" ქვის გადამჭრელი ქვა d32-d350მმ | | ცალი | 15 | 11.0 | 165.0 |
| "ბალგარკის" რკინის გადამჭრელი ქვა 125მმ | | ცალი | 90 | 5.0 | 450.0 |
| ალუმინის კიბე (დიდი) | | ცალი | 10 | 120.0 | 1200.0 |
| ალუმინის კიბე (პატარა) | | ცალი | 10 | 75.0 | 750.0 |
| გასაღები (საზვადნოი) | შპს „ზაბელა“ | ცალი | 10 | 12.0 | 120.0 |
| გასაღები (გვერდითი) | | ცალი | 6 | 15.0 | 90.0 |
| რკინის ხერხი | | ცალი | 12 | 6.0 | 72.0 |
| ქლიბების ნაკრები | | კომპლ. | 5 | 8.0 | 40.0 |
| ჩაქუჩი | | ცალი | 30 | 6.0 | 180.0 |
| სატეხის ნაკრები | | კომპლ. | 5 | 12.0 | 60.0 |
| ციფრული ტესტერი | | ცალი | 10 | 27.0 | 270.0 |
| ხის ხერხი | | ცალი | 10 | 7.0 | 70.0 |
| ურიკა | | ცალი | 3 | 85.0 | 255.0 |
| ფოცხი ტარით | | ცალი | 18 | 14.0 | 252.0 |
| კაპრონის ძაფი (წვრილი) | | კგ | 20 | 12.0 | 240.0 |
| კაპრონის ძაფი (მსხვილი) | | კგ | 10 | 8.0 | 80.0 |
| პატარა სეკატორი | | ცალი | 6 | 12.0 | 72.0 |
| დიდი სეკატორი | | ცალი | 3 | 22.0 | 66.0 |
| კარის საკეტი | | ცალი | 120 | 28.0 | 3360.0 |
| კარის საკეტის გული | | ცალი | 120 | 5.5 | 660.0 |
| მინის საჭრელი ალმასი | | ცალი | 8 | 4.5 | 36.0 |
| 5 მ. საზომი | | ცალი | 8 | 5.2 | 41.6 |
| საფხეკი "მალკა" | | ცალი | 6 | 3.0 | 18.0 |
| ტანსაცმლის საკიდი | | ცალი | 20 | 44.0 | 880.0 |
| წებო "მომენტი" | | ცალი | 5 | 4.4 | 22.0 |
| წებო "პოლივინიცეტატეტური" | | კგ | 1000 | 2.5 | 2500.0 |
| სადგისი | | ცალი | 10 | 2.0 | 20.0 |
| მახათი | | ცალი | 10 | 0.5 | 5.0 |
| 60მმ. ლურსმანი | | კგ | 3 | 5.0 | 15.0 |
| 40მმ. ლურსმანი | | კგ | 8 | 5.0 | 40.0 |
| 20მმ. ლურსმანი | | კგ | 8 | 8.0 | 64.0 |
| 100მმ. ლურსმანი | | კგ | 5 | 4.5 | 22.5 |
| თვითმხრახნი (სხვადასხვა) | | კგ | 8 | 15.0 | 120.0 |
| პლასტმასის "დუბელი" | | ცალი | 1000 | 0.0 | 30.0 |
| საიზოლაციო ლენტი | | ცალი | 200 | 1.7 | 340.0 |
| პლასტმასის სკობი (სხვადასხვა) | | კოლოფი | 30 | 5.5 | 165.0 |
| რეზინის ჩექმა | | წყვ | 10 | 23.0 | 230.0 |
| კედლის საათი | | ცალი | 50 | 17.0 | 850.0 |
| ცოცხი | | ცალი | 800 | 2.7 | 2160.0 |
| ჯაგრისი (უნიტაზის) | | ცალი | 50 | 5.2 | 260.0 |
| მინის საწმენდი ჯოხი | | ცალი | 60 | 14.5 | 870.0 |
| აქანდაზი | | ცალი | 300 | 2.8 | 840.0 |
| რკინის სათლი | | ცალი | 10 | 9.0 | 90.0 |
| პლასტმასის სათლი | | ცალი | 200 | 4.3 | 860.0 |
| ცელოფანი (ურნის) | | ცალი | 5000 | 0.1 | 600.0 |
| ურნა პლასტმასის (ბადურა) | | ცალი | 50 | 3.3 | 165.0 |
| იატაკის სახეხი ჯაგრისი | | ცალი | 80 | 13.0 | 1040.0 |
| ჭერის საწმენდი ჯაგრისი | | ცალი | 30 | 11.0 | 330.0 |
| იატაკის საწმენდი ჯოხი | | ცალი | 200 | 2.7 | 540.0 |
| ხელის ჯაგრისი | | ცალი | 200 | 2.8 | 560.0 |
| იატაკის საწმენდი ჩვარი | | ცალი | 1300 | 2.1 | 2730.0 |
| ღრუბელი | | შეკვრა | 180 | 1.1 | 198.0 |
| მაგიდის საწმენდი ჩვარი | | შეკვრა | 800 | 1.2 | 960.0 |
| სამუშაო ხელთათმანი | | წყვ | 400 | 2.4 | 960.0 |
| სატუმბი ჯოხი | | ცალი | 13 | 3.2 | 41.6 |
| სამონტაჟო ქაფი (დიდი) | | ცალი | 50 | 8.5 | 425.0 |
| კაუსტიკური სოდა (კონცენტრირებული) | | ლიტრი | 10 | 7.0 | 70.0 |
| დიდი სკოჩი | | ცალი | 200 | 1.0 | 200.0 |
| პატარა სკოჩი | | ცალი | 100 | 0.3 | 30.0 |
| საპოხი საშუალება –თეთრი ტაოტი | შპს „ზაბელა“ | კგ | 10 | 8.5 | 85.0 |
| პარანიტის საფენი 2მმ-იანი | | კვ./მ | 5 | 15.8 | 79.0 |
| რეზინის საფენი 5მმ-იანი | | კვ./მ | 5 | 14.5 | 72.5 |
| სათლი 50ლ | | 50ლიტრიანი | 18 | 15.5 | 279.0 |
| რეზინის ხელთათმანი | | წყვ | 1000 | 1.3 | 1300.0 |
| ბამბა (ნატურალური) | | კგ | 5 | 10.0 | 50.0 |
| თხევადი საპნის ჩამოსასხმელი | | ცალი | 80 | 9.5 | 760.0 |
| რკინის ხერხის პირები | | ცალი | 100 | 1.4 | 140.0 |
| ღოჯი | | ცალი | 9 | 3.5 | 31.5 |
| გირაგი | | ცალი | 5 | 42.0 | 210.0 |
| ჰერმეტიკი | | ცალი | 50 | 6.3 | 315.0 |
| სარჩილავი (40W-60W-220V) | | ცალი | 20 | 8.5 | 170.0 |
| სარჩილავი (20W-12V) | | ცალი | 2 | 7.4 | 14.8 |
| კალა–კანიფოლი | | ცალი | 50 | 3.7 | 185.0 |

**ალკოტესტერი**

| შესყიდვის ობიექტი | მიმწოდებელი (ტენდერში გამარჯვებული) | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | მთლიანი ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| ალკოტესტერი AL1100 | შპს „ოჯახის ექიმი“ | ცალი | 180 | 270.0 | 48600.0 |

**მობილური ტელეფონი**

| შესყიდვის ობიექტი | მიმწოდებელი (ტენდერში გამარჯვებული) | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ფასი (დოლარი) | მთლიანი ღირებულება (დოლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| Samsung SGN-D600 | ი.მ. „თამაზ სადაღაშვილი“ | ცალი | 3 | 440.0 | 1320.0 |
| Samsung SGN-E730 | | ცალი | 16 | 340.0 | 5440.0 |
| Motorola V-3 | | ცალი | 10 | 280.0 | 2800.0 |
| Samsung SGN-X640 | | ცალი | 20 | 175.0 | 3500.0 |
| Sony Eriqson Z-520 | | ცალი | 5 | 250.0 | 1250.0 |
| Sony Eriqson K-700 | | ცალი | 29 | 250.0 | 7250.0 |
| Sony Eriqson P-910 | | ცალი | 1 | 650.0 | 650.0 |

**ავტოსატრანსპორტო საშუალება**

| შესყიდვის ობიექტი | მიმწოდებელი (ტენდერში გამარჯვებული) | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ფასი | მთლიანი ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| LAND ROVER DISCOVERY | შპს „ვეგა მოტორსი 2002“ | ცალი | 2 | 24995,0 (ლარი) | 49990,0 (ლარი) |
| მიკრო ავტობუსი MERSEDES BENC-410D | შპს „ვეგა მოტორსი 2002“ | ცალი | 1 | 12500,0 (დოლ) | 12500,0 (დოლ) |

**კრიმინალისტიკური ლაბორატორიის სახარჯი მასალები**

| შესყიდვის ობიექტი | მიმწოდებელი (ტენდერში გამარჯვებული) | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | მთლიანი ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| პიკრინის მჟავა | შპს „სამაია“ | კგ | 1 | 300.0 | 300.0 |
| იოდი | | კგ | 3 | 150.0 | 450.0 |
| სისხლის წითელი მარილი | | კგ | 8 | 20.0 | 160.0 |
| პირიდინი | | კგ | 3 | 120.0 | 360.0 |
| ტოლუოლი | | ლ | 20 | 25.0 | 500.0 |
| ეთანოლი | | ლ | 500 | 7.0 | 3500.0 |
| კალიუმის იოდიდი | | კგ | 2 | 150.0 | 300.0 |
| კალიუმის ტუტე | | კგ | 6 | 20.0 | 120.0 |
| სპილენძის ქლორიდი | | კგ | 2 | 30.0 | 60.0 |
| ფიქსაჟი | | კგ | 50 | 20.0 | 1000.0 |
| ხელთათმანი ქირ | | წყ | 35000 | 0.2 | 7700.0 |
| პირბადე | | ცალი | 2000 | 0.3 | 500.0 |
| სტერილური ბანდი | | ცალი | 100 | 1.0 | 100.0 |
| სტერილური ბამბა | | ცალი | 300 | 1.0 | 300.0 |
| დოლბანდი | | მ | 50 | 1.0 | 50.0 |
| ბამბა 50.0 | | ცალი | 500 | 0.6 | 300.0 |
| სტერილური სინჯარა ხუფით | შპს „სამაია“ | ცალი | 2000 | 0.2 | 400.0 |
| ფილტრი თეთრი ან ვარდისფერი | | შეფ | 20 | 7.0 | 140.0 |
| ძაბრი დიდი | | ცალი | 20 | 5.0 | 100.0 |
| "---" მცირე | | ცალი | 20 | 3.0 | 60.0 |
| "---" საშ | | ცალი | 20 | 2.0 | 40.0 |
| ფაიფურის ჯამი დიდი | | ცალი | 20 | 4.0 | 80.0 |
| ფაიფურის ჯამი საშ | | ცალი | 20 | 3.0 | 60.0 |
| ფაიფურის ჯამი მცირე | | ცალი | 20 | 2.0 | 40.0 |
| დამჭერი | | ცალი | 3 | 9.0 | 27.0 |
| ნესლერის რეაქტივი | | ლ | 5 | 60.0 | 300.0 |
| გრისის რეაქტივი | | კგ | 1.5 | 300.0 | 450.0 |
| დიფენილამინი | | კგ | 1 | 620.0 | 620.0 |
| მჟაუნმჟავა | | კგ | 2 | 30.0 | 60.0 |
| ჰიდრაზინი | | კგ | 0.5 | 70.0 | 35.0 |
| სულფოსალიცილის მჟავა | | კგ | 1 | 70.0 | 70.0 |
| ალფა ნაფტილამინი | | კგ | 0.1 | 300.0 | 30.0 |
| ჰიპოსულფიტის ფიქსოლნალი | | შეფ | 1 | 30.0 | 30.0 |
| ჰექსანი | | ლ | 50 | 25.0 | 1250.0 |
| წყალბადის ზეჟანგი | | ლ | 1 | 15.0 | 15.0 |
| სეგნეტის მარილი | | კგ | 5 | 45.0 | 225.0 |
| ლიმონმჟავა | | კგ | 1 | 30.0 | 30.0 |
| ქიმ ჭიქა 50.0 | | ცალი | 30 | 1.0 | 30.0 |
| ქიმ ჭიქა 100.0 | | ცალი | 30 | 3.0 | 90.0 |
| ქიმ ჭიქა 200.0 | | ცალი | 30 | 5.0 | 150.0 |
| ქიმ ჭიქა 500.0 | | ცალი | 30 | 7.0 | 210.0 |
| ქიმ ჭიქა 1000.0 | | ცალი | 20 | 10.0 | 200.0 |
| ქიმ ჭიქა 2000.0 | | ცალი | 15 | 18.0 | 270.0 |
| აცეტონი | | ლ | 50 | 30.0 | 1500.0 |
| ნატრიუმის ნიტროპრუსიდი 10.0 | | ფლ | 200 | 10.0 | 2000.0 |
| ბენზოლი | | ლ | 25 | 25.0 | 625.0 |
| ძმარმჟავა | | ლ | 25 | 15.0 | 375.0 |
| ამიაკი | | ლ | 30 | 8.0 | 240.0 |
| რკინის ქლორიდი | | კგ | 5 | 25.0 | 125.0 |
| სპილენძის სულფატი | | კგ | 7 | 20.0 | 140.0 |
| ნინჰიდრინი ფლ 10.0 | | ფლ | 50 | 22.0 | 1100.0 |
| მარილმჟავა | | ლ | 50 | 15.0 | 750.0 |
| გოგირდმჟავა ნატრიუმი | | ლ | 20 | 20.0 | 400.0 |
| ფოსფორმჟავა | | ლ | 2 | 15.0 | 30.0 |
| ნატრიუმის ტუტე | | კგ | 15 | 20.0 | 300.0 |
| დიეთილამინი 10.0 | | ფლ | 50 | 10.0 | 500.0 |
| ნატრიუმის ტუტე ფიქს | | შეფ | 5 | 50.0 | 250.0 |
| კალიუმის ტუტე ფიქს | | შეფ | 5 | 50.0 | 250.0 |
| სახამებელი ხსნადი | | კგ | 1.5 | 170.0 | 255.0 |
| ფენოლფტალეინი | | შეფ | 15 | 10.0 | 150.0 |
| მეთილენის ლურჯი | | შეფ | 15 | 10.0 | 150.0 |
| სისხლის ყვითელი მარილი | | კგ | 1 | 20.0 | 20.0 |
| თუთიის სულფატი | | კგ | 1 | 20.0 | 20.0 |
| ნატრიუმის ჰიპოსულფიტი | | კგ | 1 | 20.0 | 20.0 |
| კალიუმის ბიქრომატი | | კგ | 2 | 30.0 | 60.0 |
| ექსიკატორი | | ცალი | 1 | 35.0 | 35.0 |
| საცრების კომპლექტი | | ცალი | 1 | 50.0 | 50.0 |
| ბიუქსი | | ცალი | 150 | 3.0 | 450.0 |
| აზოტმჟავა | | ლ | 20 | 15.0 | 300.0 |
| ნატრიუმის სულფატი | | კგ | 1 | 20.0 | 20.0 |
| გლიცერინი | | კგ | 20 | 25.0 | 500.0 |
| პეტრის ჯამი 40 მმ მინა | | ცალი | 100 | 2.0 | 200.0 |
| პეტრის ჯამი დიდი | | ცალი | 100 | 1.0 | 100.0 |
| წკირი მინის | | ცალი | 100 | 0.2 | 20.0 |
| ცენტრიფუგის სინჯარა | | ცალი | 30 | 0.7 | 21.0 |
| სინჯარა | შპს „სამაია“ | ცალი | 30 | 0.3 | 9.0 |
| ბუნიკი ყვითელი 1000.0 | | შეფ | 20 | 40.0 | 800.0 |
| ცისფერი 500.0 | | შეფ | 20 | 20.0 | 400.0 |
| ეპენდორფის შტატივი | | ცალი | 5 | 20.0 | 100.0 |
| შტატივი პიპეტის ვარი | | ცალი | 5 | 50.0 | 250.0 |
| სკარიფიკატორი | | ცალი | 1500 | 0.1 | 75.0 |
| სასაგნე მინა | | ცალი | 200 | 0.3 | 60.0 |
| საფარი მინა | | შეფ | 100 | 12.0 | 1200.0 |
| სპირტქურა | | ცალი | 6 | 12.0 | 72.0 |
| პლანშეტი ჯგუფის | | ცალი | 2 | 8.0 | 16.0 |
| მიკროსკოპის ნათურა მბს | | ცალი | 100 | 10.0 | 1000.0 |
| პინცეტი | | ცალი | 20 | 4.0 | 80.0 |
| ლანცეტი | | ცალი | 20 | 6.0 | 120.0 |
| ლაქტოდენსიმეტრი | | ცალი | 1 | 40.0 | 40.0 |
| სპირტომერი ნაკრები | | ცალი | 22 | 40.0 | 880.0 |
| გოგირდმჟავა | | ლ | 45 | 16.0 | 720.0 |
| შპადელი | | ცალი | 10 | 3.0 | 30.0 |
| ოპნ-3 | | ცალი | 1 | 350.0 | 350.0 |
| მარკერი | | ცალი | 20 | 3.0 | 60.0 |
| ბარიუმის ქლორიდი | | კგ | 1 | 25.0 | 25.0 |
| pH ქაღალდი | | შეფ | 50 | 10.0 | 500.0 |
| ლუპა კლასიკური | | ცალი | 30 | 23.0 | 690.0 |
| ლუპა განათებით | | ცალი | 5 | 163.0 | 815.0 |
| რუბინის ფხვნილი | ი.ს. „მიხეილ ანდრიაძე“ | კგ | 50 | 109.0 | 5450.0 |
| დაქტილოსკოპური სკოჩი | | ც | 50 | 5.1 | 255.0 |
| ფლუორესცენტული საღებავი (ფხვნილი | | კგ | 0.5 | 1628.0 | 814.0 |
| რუბინი მაგნიტური (ფხვნილი) | | კგ | 8 | 55.5 | 444.0 |
| თუთიის ფხვნილი | | კგ | 5 | 74.0 | 370.0 |
| შავი ფხვნილი | | კგ | 3 | 56.0 | 168.0 |
| ვერცხლისფერი ფხვნილი | | კგ | 3 | 56.0 | 168.0 |
| დაქტილოსკოპური ფუნჯები მაგნიტური | | ცალი | 10 | 83.0 | 830.0 |
| ნატურალური ფუნჯები ციყვის | | ცალი | 10 | 55.5 | 555.0 |

**ხელბორკილი**

| შესყიდვის ობიექტი | მიმწოდებელი (ტენდერში გამარჯვებული) | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | მთლიანი ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| ხელბორკილი ლითონის | შპს „B&H SSBI“ | ცალი | 1000 | 34.0 | 34000.0 |
| ხელბორკილი პლასტმასის | | ცალი | 1000 | 1.9 | 1900.0 |

**ვიდეო საკონტროლო აპარატურა**

| შესყიდვის ობიექტი | მიმწოდებელი (ტენდერში გამარჯვებული) | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | მთლიანი ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| ვიდეო კამერა შ/თ | შპს „GSC“ | ცალი | 18 | 194.0 | 3492.0 |
| ციფრული ჩამწერი 4 არხიანი | | ცალი | 4 | 1121.0 | 4484.0 |
| ციფრული ჩამწერი 9 არხიანი | | ცალი | 1 | 2202.0 | 2202.0 |
| ვინჩესტერი 200გბ | | ცალი | 5 | 240.0 | 1200.0 |
| მონიტორი 15 შ/თ | | ცალი | 5 | 274.0 | 1370.0 |
| კვების ბლოკი | | ცალი | 7 | 32.0 | 224.0 |
| უწყვეტი კვების ბლოკი | | ცალი | 5 | 120.0 | 600.0 |
| კაბელი კომბინირებული | | ცალი | 800 | 1.1 | 904.0 |
| ლინზა ცვლადი ფოკალური სიგრძით, ავტოირისით. | შპს „ვეზირი“ | ცალი | 6 | 339.0 | 2034.0 |
| ფერადი სადღელამისო კამერა, ხაზი ფერადი, ხაზი შავთეთრი. | | ცალი | 6 | 823.0 | 4938.0 |
| ფერადი დაჯავშნული დომ კამერა, ხაზი ფერადი. | | ცალი | 4 | 760.0 | 3040.0 |
| ყუთი გარე მონტაჟისათვის კედელზე სამაგრით, 220ვ. | | ცალი | 6 | 293.0 | 1758.0 |
| 12ვ კვების ბლოკი დომ კამერისათვის | | ცალი | 4 | 64.0 | 256.0 |
| 17 მონიტორი | | ცალი | 1 | 366.0 | 366.0 |
| 16 არხიანი ციფრული ჩაწერისა და კონროლის სიტემა, შენახვის მოცულობა, ინტერფეისებით. | | ცალი | 1 | 15500.0 | 15500.0 |
| გრეხილი წყვილით აქტიური მიმღებ-გადამცემი, ერთარხიანი, UTP კაბელისათვის, კომპლექტი. | | ცალი | 2 | 274.0 | 548.0 |
| გოფრირებული მილი, მ. | | ცალი | 400 | 1.4 | 560.0 |
| კომბინირებული კაბელი (ვიდეოსიგნალისა და ძაბვის) კაბელი, მ. | | ცალი | 1000 | 2.6 | 2560.0 |
| კონექტორი | | ცალი | 20 | 2.8 | 55.0 |
| ფოლადის ტროსი სამაგრებით, მ. | | ცალი | 200 | 1.1 | 220.0 |
| სარეზერვო კვების სისტემა 1 სთ მუშაობისათვის | | ცალი | 1 | 11190.0 | 11190.0 |
| სამონტაჟო მასალა. | | ცალი | 1 | 366.0 | 366.0 |


ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო" სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მხარდაჭერის პროგრამა აცხადებს

# საგრანტო კონკურსს

**დამოუკიდებელი რეგიონალური ბეჭდვითი მედია ორგანიზაციების ინსიტუციონალურ განვითარებაზე ორიენტირებული პროექტებისათვის**

**კონკურსის მიზანია**

ხელი შეუწყოს დამოუკიდებელი, რეგიონალური ბეჭვდითი მედია ორგანიზაციების ორგანიზაციულ-ინსტიტუციონალურ განვითარებას.

**კონკურსში მონაწილეობა**

კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ დამოუკიდებელ რეგიონალურ ბეჭვდით მედია ორგანიზაციებს, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს:

- ორგანიზაცია დარეგისტრირებული უნდა იყოს და შესაბამისად გამოსცემდეს გაზეთს ბოლო სამი წლის განმავლობაში;
- აპლიკანტი ორგანიზაციის მიერ გამოცემული გაზეთი უნდა იბეჭდებოდეს ყოველკვირეული ან უფრო ხშირი პერიოდულობით;
- ორგანიზაციის მიერ გამოცემული გაზეთი უნდა ემსახურებოდეს ქვეყანაში დემოკრატიის განვითარების ხელშეწყობას, ადამიანის უფლებების პატივისცემაზე დამყარებული ფასეულობების პოპულარიზაციასა და ტოლერანტობის კულტურის დანერგვას;
- ორგანიზაციის მიერ გამოცემული გაზეთის გავრცელების არეალი უნდა მოიცავდეს მინიმუმ მხარეს (არ იყოს შემოფარგლული ერთი რაიონული ცენტრით).

**კონკურსის პირობები**

- პროექტი შედგენილი უნდა იყოს ფონდის მიერ დამტკიცებული გრანტის მოსაპოვებელი განაცხადის ფორმის მიხედვით (ფორმა იხ. ვებ გვერდზე - http://osgf.ge/?show=manual);
- განაცხადის ფარგლებში წარმოდგენილი პროექტი უნდა ემსახურებოდეს განაცხადის ავტორი ბეჭვდითი მედია ორგანიზაციის ორგანიზაციულ-ინსტიტუციონალური განვითარების მხარდაჭერას (ორგანიზაციის მენეჯმენტის, ადამიანური და ტექნიკური რესურსების განვითარება, ორგანიზაციული მდგრადობის ხარსიხსის გაზრდა);
- კონკურსში მონაწილეობის მსურველმა მედია ორგანიზაციებმა უნდა წარმოადგინონ ბოლო ერთი თვის განმავლობაში მათ მიერ გამოცემული გაზეთების ნომრები;
- კონკურსში მონაწილეობის მსურველმა მედია ორგანიზაციებმა ასევე უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია ბოლო ორი წლის განმავლობაში ორგანიზაციებისა თუ კერძო პირებისაგან მიღებული დაფინანსებების შესახებ;
- გარდა განაცხადის ფორმით გათვალისწინებული ინფორმაციისა პროექტს უნდა დაერთოს პროექტის დირექტორის, პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის წევრების, ექსპერტებისა და მონაწილეების ბიოგრაფიები;
- განაცხადს თან უნდა დაერთოს სფეროში მომუშავე ექსპერტთა ან ორგანიზაციათა ორი სარეკომენდაციო წერილი;
- დაუშვებელია ერთი კონკურსის ფარგლებში ერთი და იგივე განმცხადებლის მიერ ორი პროექტის წარმოდგენა.
- პროექტი წარმოდგენილი უნდა იქნას სამ ეგზემპლარად;
- პროექტის განხორციელებისათვის ფონდიდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 5800 აშშ დოლარს;
- კონკურსის ფარგლებში გაიცემა ოთხი გრანტი.

**კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განაცხადები მიიღება 2006 წლის 15 მაისიდან 12 ივნისის 17:00 საათამდე. მისამართი ჭოველიძის ქ. N10. ტელ: 25-04-63, 25-05-92 ფაქსი: 29-10-52, ელ. ფოსტა - irakli@osgf.ge.**

**საკონტაქტო პირი: ირაკლი ცერცვაძე, სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მხარდაჭერის პროგრამის კოორდინატორი.**

კონსულტაციები კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის ჩატარდება კონკურსის მიმდინარეობის პერიოდში ყოველ ხუთშაბათ დღეს 11:00 საათზე ფონდის ოფისში.



# ცენტრ პოინტ ჯგუფი

**იწყებს თბილისის ელიტარულ უბნებში პატარა სახლების მშენებლობას მთაწმინდა, სოლოლაკი, ავლაბარი, ხარფუხი და სამების ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე.**

**სხვა მიმდინარე მშენებლობებს თბილისის ყველა უბანში, ასევე ბათუმში, გუდაურში და ბაკურიანში.**

**განვადება უპროცენტოა.**

**მსურველები დაგვიკავშირდნენ: რუსთაველის პროსპექტი 48. ტელ.: 92-20-80, 99-67-69, 899 46-92-22, 899 46 51 21, 893 34 20 02, 899 96 96 57.**

# უკომპრომისო 19 წელი

„იმედის" ხუთი თაობა და წარმატებები

სოფო კილასონია



ხშირად უთქვამთ, რომ ქართული ხალხური ცეკვა-სიმღერისადმი ინტერესი დღეს ძალზე გაიზარდა, რაც არ უნდა გასაკვირი იყოსო. ამ მოსაზრებას ბოლომდე ვერ დავეთანხმები, რადგანაც რატომ უნდა იყოს ეს გასაკვირი, გაუგებარია. თანაც ქართულ ფოლკლორულ ხელოვნებას საზოგადოების ინტერესი არც აქამდე მოკლებია, თუმცა ბოლო წლებში, რომ ცეკვის ანსამბლებმა, მით უფრო ბავშვთა კოლექტივებმა იმატა, ეს შესაძლოა რეალობასთან ახლოს იყოს.

ახალ-ახალი სახელების მიუხედავად, მოწოდების სიმაღლეზე მაინც ძველი რენომეებია. იმის მიუხედავად, რომ რამდენიმე „ძირითადი" ანსამბლისადმი პრეტენზიები ხან კრიტიკას უჩნდება, ხან მაყურებელს და ხანაც მათსავე კოლეგებს, ყოველ მათგანს მაინც გააჩნია ეს ე.წ. ნიშა ქართულ კულტურაში და თუ ერთი მათგანი ჩვენი ქვეყნის ოფიციალური სახე ხდება, მეორე განსაკუთრებული პრემიებით ჯილდოვდება... შესაძლოა, ამ საქმის პროფესიონალები ამგვარ სურათში ხედავენ რაღაცას, ოდნავ მაინც ღიმილისმომგვრელს, მაგრამ სწორედ ეს ადმიანები დაახლოებით ორი წლის წინ ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ ვერშემდგარ ქართულ შოუბიზნესს ქართული ხალხური ხელოვნება ჩაენაცვლებოდა. ეს ფაქტი, შესაძლოა, ბევრისთვის ინტერესმოკლებულია, მაგრამ აღნიშვნას მაინც იმსახურებს. მით უფრო მაშინ, როცა წერას ქართული ფოლკლორის მომავალზე ვაპირებთ. პათეტიკურად ჟღერს, მაგრამ ამ ბოლო დროს ერთ-ერთი ბავშვთა ცეკვის ანსამბლი საზოგადოების განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს და ამ მოვლენას ასე უბრალოდ გვერდს ვერც ჩვენ ავუვლით.

„იმედი" - მან წელს მეორედ დაიმსახურა ქართული ხალხური ცეკვისთვის არსებული, ალბათ ყველაზე პოპულარული ჯილდო, ილიკო სუხიშვილის სახელობის პრემია. ანსამბლი, რომელიც მოსწავლეთა სასახლის ბაზაზე 1987 წელს დაარსდა და რომლის ხელმძღვანელები ქორეოგრაფები ჯემალ რეხვიაშვილი და ნუნუ ღვინერია გახლავთ, გამარჯვებებით განებივრებულია. წარმატებას ხან ჯილდოს სახე აქვს, ხანაც ისეთი მომხიბლავი პროექტისა, როგორიც იყო „ცეკვა ზღაპარში". წარმოდგენა ანსამბლმა „სანოს სტუდიასთან" ერთად განახორციელა, პროექტის შექმნის ერთ-ერთი იდეის ავტორი კი ანსამბლის პროდიუსერი ალექსანდრე ლორთქიფანიძე გახლდათ. „ცეკვა ზღაპარში" სასიამოვნო მოულოდნელობა გახდა ხალხური ცეკვის მოყვარული მაყურებლისთვის, წარმოდგენის ახალმა ფორმატმა და ანსამბლის დახვეწილმა შესრულების მანერამ პროფესიონალთა შორის აღფრთოვანება გამოიწვია.

„...სიტყვები არ მყოფნის, „იმედის" ბავშვები ქართული ქორეოგრაფიის ხვალინდელი დღეა" - აღნიშნა **თენგიზ სუხიშვილმა**. დადებითი შეფასებები სხვადასხვა დროს არც სხვებს დაუშურიათ.

**ფრიდონ სულაბერიძე**: „ეს ბავშვები ნამდვილად პროფესიონალები არიან. გულწრფელად გეუბნებით, „იმედი" ნამდვილად იმსახურებს აკადემიური ანსამბლის სტატუსს."

ანსამბლის პროდიუსერს ბატონ ალექსანდრე ლორთქიფანიძეს, რომელიც თავის დროზე თავად გახლდათ მოცეკვავე და შემდგომში ანსამბლ რუსთავის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, „იმედთან" თანამშრომლობა 1995 წლიდან დაუწყია და მას შემდეგ, როგორც ჩანს, ანსამბლის მიღწევებით გამოწვეული მისი სიამაყე მხოლოდ ძლიერდება:

„1989 წლიდან ჩემი შემოქმედებითი მოღვაწეობით მთლიანად გადავერთე ბავშვთა ქორეოგრაფიაში. იმედი ჩემი ცხოვრების ნაწილია. მე საკმაო გამოცდილება გამაჩნია და მეტ-ნაკლებად ვიცნობ მსოფლიოს ამა თუ იმ ქვეყნის გემოვნებას. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ „იმედი" მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ფურორს მოახდენს".

მას შემდეგ, რაც ანსამბლმა მუსიკის თანხლებით პირველი ნაბიჯები გადადგა 19 წელი გავიდა. ამ დროის განმავლობაში, ხუთი თაობა აღიზარდა და უთვალავი წარმატებული გასტროლი ყოფილა. ამბობენ, რომ იმდენი რეპეტიცია იყო, რამდენი დღეც დაიტია ამ წლებმა, ანუ კომპრომისი არ ყოფილა.

# ეროვნული მემკვიდრეობის კლუბი

მზევინარ ხუციშვილი

გუშინ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში ჟურნალისტებს გაგვაცნეს ეროვნული მემკვიდრეობის კლუბ „ტაძარის" მნიშვნელობა და მისი სამომავლო გეგმები.

2005 წლის ზაფხულში ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივით განხორციელდა პროექტი „ნუ დაივიწყებ წარსულს, აღმოაჩინე შენი ქვეყანა." პროექტის ძირითადი მიზანი იყო ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის, მოვლა-პატრონობისა და პოპულარიზაციის საქმეში საქართველოს მოსახლეობის ფართო ფენების ჩართვა. პროექტის ფარგლებში სტუდენტების მონაწილეობით უკვე მოეწყო რამდენიმე ექსპედიცია, დასუფთავდა რამდენიმე ციხე-სიმაგრე და ეკლესია. მათ შორის კოჯრის ციხე, ძველი ხიბულას ჯიხა, მარნეულში წერაქვის ღვთისმშობლის ეკლესია, ბორჯომში გოგიას და პეტრეს ციხე.

საქართველოს ტერიტორიაზე 40 000-ზე მეტი ძველი ციხე და ეკლესიაა აღრიცხული. ამ მოცულობის მემკვიდრეობის მოვლა და პოპულარიზაცია მხოლოდ ხელისუფლების რესურსებით შეუძლებელია. მათი პოპულარიზაციის მიზნით სასურველია თვით მოსახლეობამ გამოიჩინოს აქტიურობა, თავად იზრუნოს კულტურული მემკვიდრეობის მოვლაზე. მდიდარი მემკვიდრეობა, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ქვეყნის სრულყოფილი იმიჯის ჩამოყალიბებას, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანია ნებისმიერი სფეროს მოღვაწეობისთვის.

ამ გარემოებების გათვალისწინებით, 2006 წელს პროექტი გაფართოვდა და ეროვნული მემკვიდრეობის კლუბ „ტაძარის" სახით ჩამოყალიბდა.

კლუბის დაფუძნების სურვილი გამოთქვეს კერძო კომპანიებმა: PSP ჯგუფმა, TBC ბანკმა, United Colors of Bennetton-მა, IPM-მ, ჟურნალმა „ანაბეჭდმა", დეველოპერულმა კომპანია „სარკემ", „სარაჯიშვილმა", „თელიანმა ველმა", მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის სახლმა „მუზამ", საქართველოს სახელმწიფო სამხატვრო აკადემიამ, საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეთა ურთიერთობის ცენტრმა, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა, საპატრიარქოსთან არსებული ხატწერისა და რესტავრაციის ინსტიტუტმა, აგრეთვე საზოგადოებისთვის ცნობილმა სახეებმა გოკა გაბაშვილმა, დავით მაღრაძემ, ნიაზ დიასამიძემ, ზაალ სამადაშვილმა, თამაზ კვაჭანტირაძემ, გიგი წერეთელმა, ირაკლი კენჭოშვილმა, კოტე გაბაშვილმა, დათო საყვარელიძემ.

2006 წლის 20 აპრილს ფორაქიშვილების დარბაზში მათ ხელი მოაწერეს მემორანდუმს, რომელშიც აღნიშნულია: „ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, ქვეყნის ჯანსაღი განვითარებისა და ეროვნული ფასეულობების განმტკიცების მიზნით, შევთანხმდით შემდეგზე: საზოგადოების ფართო ფენების ჩაბმას ეროვნული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობის საქმეში; კულტურული მემკვიდრეობის, ტრადიციული ფასეულობების დაცვას და პოპულარიზაციას საქართველოში და საზღვარგარეთ; ახალგაზრდობაში და საზოგადოებაში არსებული ენერგიის წარმართვას კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების, აქტიური და კულტურულ-საგანმანათლებლო თემატური დასვენების ორგანიზების მიზნით; ადგილობრივი შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებას; ქვეყნის კულტურულ-ინტელექტუალური დონის ამაღლებას; ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას; სათანადო ბაზის შექმნას კულტურული და ეკო-ტურიზმის განვითარებისთვის; ერის კულტურული რესურსების ინდენტიფიკაციას; ისტორიული ფაქტების ხელახალ გააზრებას და საზოგადოებაში პოპულარიზაციას. აღნიშნული მიზნების განხორციელებისთვის ვთანხმდებით საზოგადოებრივი ორგანიზაცია ეროვნული მემკვიდეობის კლუბ „ტაძრის" დაფუძნებაზე."

პირველ ეტაპზე კლუბის მიზანია ქვეყნის მასშტაბით შესაბამისი ქსელისა და მენეჯმენტის შექმნა, მისი პროფესიული კადრებით დაკომპლექტება და სხვადასხვა ფენის მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

კლუბი მოიაზრება, როგორც „Umbrella" ორგანიზაცია, რომელშიც გაერთიანებული იქნება საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტზე ორიენტირებული კლუბები (გაერთიანებები), რომლებიც მიმართულნი იქნებიან კულტურული მემკვიდრეობის დაცვისკენ, კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზებაზე, კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობაზე და ა.შ.

კლუბის ფარგლებში მთელი საქართველოს მასშტაბით უკვე დაიგეგმა თოთხმეტი პროექტი. პრექტში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ მსურველს. პროექტის ფარგლებში შედის ოზურგეთის, თეთრიწყაროს, სიღნაღის, თელავის, საჩხერისა და სხვა რაიონები.

ამჯერად ყოველი პროექტი ხორციელდება საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მილიონიანი პროექტის დაფინანსებით.

კლუბ „ტაძარში" გაწევრიანება შეუძლია ნებისმიერ იურიდიულ და ფიზიკურ პირს, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა და ვინც თვლის, რომ შეუძლია დაეხმაროს ამ მოძრაობას ინტელექტუალური, მართვის, მენეჯმენტის, ფინანსური და სხვა ტექნიკური რესურსების გზით.

22 და 23 მაისს შარდენზე გაიმართება კლუბის პრეზენტაცია. პრეზენტაციის ფარგლებშია: დაგეგმილი ცამეტი პროექტის ფოტოგამოფენა (თითოეული ტაძრის ფოტოსთან წარმოდგენილი იქნება მის შესახებ ინფორმაცია: - ანაზომები, მიმდინარე მდგომარეობა, არსებული ვითარება დაფინანსებისა და მიმდინარე სამუშაოების შესახებ), „მოდი! იპოვე შენი ადგილი ტაძარში," ანუ ფოტომოზაიკის აწყობა (ნებისმიერ მსურველს შეუძლია მოვიდეს, გადაიღოს ფოტო, რომელიც ტაძრის გამოსახულების ნაწილი გახდება), „ქვაში ნაკვეთი ტაძარი" და ქუჩის აქცია - კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ „ივერონი", „მძიმე ჯვარი", „კანუდოსი", მერაბ სანოძე, გიგა ქავთარაძე, ნიკა ზაალიშვილი, ლევან დარასელია (ტამტამები) და ნებისმიერი მოყვარული მუსიკოსი.

# ლეონარდ კოენი 22-ედ

შაბათს ტორონტოს საზოგადოებას მიეცა ისეთი შანსი, როგორიც უკანასკნელად 22 წლის წინ ჰქონდა - პოეტმა და მუსიკოსმა ლეონარდ კოენმა თაყვანისმცემლები ერთად შეკრიბა და მათ თავისი ახალი წიგნი წარუდგინა. უკანასკნელი კრებული კოენმა სწორედ 22 წლის წინ გამოსცა. იმედი აქვს, რომ ახალი წიგნი ყოფილ მენეჯერთან სასამართლო ბრძოლაში დახარჯულ ფულს ცოტათი მაინც აუნაზღაურებს.



სასამართლო პროცესი ცოტა ხნის წინ დასრულდა. კოენი უჩიოდა კელი ლინჩს - ქალს, რომელიც 17 წლის განმავლობაში ერთდროულად მუსიკოსის საყვარელი და მენეჯერი იყო. კოენი ამტკიცებდა, რომ ლინჩმა მისი შემნახველი საბანკო ანგარიშიდან 5 მილიონზე მეტი დოლარი გაიტანა და კოენი 150 ათასი დოლარის ამარა დატოვა. სასამართლომ მუსიკოსი გამარჯვებულად ცნო და ლინჩს 9 მილიონი დოლარის გადახდა დააკისრა.

„სურვილის წიგნი" - ასე ჰქვია კოენის მეთორმეტე კრებულს, რომელიც ავტორმა თვითონ წარუდგინა საზოგადოებას. ტორონტოში გამართულ შეხვედრაზე კოენმა ერთი ლექსი წაიკითხა და შემდეგ თავისი ყველაზე ცნობილი სიმღერები So Long, Marianne და Hey, That's No Way to Say Goodbye შეასრულა. გარეთ მას ფანები ელოდნენ, რომლებმაც ცოტა ხნით ტრანსპორტის მოძრაობა შეაფერხეს და კოენთან ერთად მის სიმღერებს მღეროდნენ.

„სურვილის წიგნმა" კანადურ პრესაში საკმაოდ თბილი რეცენზიები დაიმსახურა. „ტორონტო გლოუბისა" და „ტორონტო მეილის" აზრით, კოენის ახალი კრებული ავტობიოგრაფიას უფრო ჰგავს. წიგნში შესულია კოენის სკეტჩები და ნახატები, რომელთაც მუსიკოსი უძღვნის პოეტ ირვინ ლოუტონს - თავის მენტორსა და მასწავლებელს, რომელიც წელს გარდაიცვალა.

წიგნში შესული ლექსების უმრავლესობა ლოს ანჯელესთან ახლოს ძენის ცენტრშია დაწერილია. იქ კოენს ძენი მღვდლის წოდება მიანიჭეს და ახალი სახელითაც დააჯილდოეს.

გავრცელებული ცნობების თანახმად, ლეონარდ კოენი შემოდგომაზე გასტროლს გეგმავს და მუშაობს ახალ ალბომზეც, რომელიც პირველი იქნება 2004 წელს გამოსული Dear Heather-ის შემდეგ. გარდა ამისა, კოენის ხილვა სრულმეტრაჟიან დოკუმენტურ ფილმშიც შეგვიძლია: „ლეონარდ კოენი: მე შენიანი ვარ". სურათის პრემიერა სექტემბერში, ტორონტოს საერთაშორისო კინოფესტივალზე გაიმართა.


## "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

2006 წლის 16 მაისიდან 23 მაისამდე ქ. თბილისში, გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:

- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით

(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)

- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)

+ ლიპოსაქცია

- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06, 893 65 38 39

## გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



გთავაზობთ:

- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26, 23 56 26
E-mail: info@nautilus.ge, reception@nautilus.ge







## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

24 საათი B
© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:

## ამერიკა სამბორბლიან ელექტრომობილებს უბრუნდება



## ძვირფასი ლითონები კვლავ გაიაფდა B3

## ბიზნესინკუბაცია - მცირე ბიზნესის განვითარების ეფექტური ტექნოლოგია B4



# საქართველოს ავიაბაზარზე

## უცხოური ავიაკომპანიები ლიდერობენ

ნინო ნატროშვილი

*საქართველოს ავიაბაზარი ბოლო სამი წლის განმავლობაში საკმაოდ სწრაფი ტემპით ვითარდება. ავიაბაზრის გადანაწილება "ვარდების რევოლუციის" შემდეგ ხელახლა დაიწყო და საქართველოს საჰაერო სივრცეში ახალი ავიაგადამზიდავები სწორედ ამ დროს გამოჩნდნენ. ავიაბილეთებზე მაღალი ფასების მიუხედავად, ავიასერვისით სულ უფრო მეტი ადამიანი სარგებლობს. ამას ბოლო სტატისტიკური მონაცემებიც ადასტურებს. 2006 წელს გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობა, წინა წელთან შედარებით, 35 პროცენტით გაიზარდა. ამ ეტაპზე საქართველოს ავიაბაზარზე 17 ავიაკომპანია საქმიანობს. აქედან, ხუთი ავიაკომპანია ქართულია, ხოლო 12 - უცხოური. წლის დასაწყისში ბაზარზე 18 უცხოური კომპანია საქმიანობდა, თუმცა რამდენიმე თვეა, ავიარეისებს აღარ ასრულებს ჰოლანდიის სამეფო ავიახაზების კომპანია KLM-ი. კომპანიას საქართველოში წარმომადგენლობითი ბიურო არ დაუხურავს, თუმცა ფრენების შეწყვეტის ოფიციალურ მიზეზად ფინანსური დანაკარგები დაასახელა.*

მგზავრთა გადაყვანის მოცულობა

2006 I კვარტალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ეროვნული ა/კ | 24398 | 20925 | 45323 | 42% |
| უცხო ქვეყნის ა/კ | 33667 | 29530 | 63197 | 58% |
| ჯამი | 58065 | 50455 | 108520 | |

2005 I კვარტალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ეროვნული ა/კ | 27813 | 23741 | 51554 | 57% | სხვაობა 05-06 |
| უცხო ქვეყნის ა/კ | 20313 | 18748 | 39061 | 43% | |
| ჯამი | 48126 | 42489 | 90615 | | +17905 |

**ავიაბაზრის ექსპერტები ბაზარზე ქართული ავიოკომპანიების პოზიციების შესუსტებას შედარებით დაბალ სერვისს და მაღალ ფასებს უკავშირებენ. თავის მხრივ, ფინანსურ სირთულეებზე საუბრობენ ქართული კომპანიებიც, რადგან მათ ბოინგის ტიპის ავიალაინერები იჯარით აქვთ აღებული.**

B2

# GRDC-მა ულტრათანამედროვე კინოსტუდიის პრეზენტაცია გამართა

## მამუკა ხაზარაძე დამწყები კინემატოგრაფებისათვის უფასო კინოსკოლას აკეთებს

სალომე ძაძამია

*"საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების კომპანიამ" (GRDC) ულტრათანამედროვე კინოსტუდიის პრეზენტაცია გამართა. ახალი კინოსტუდია თანამედროვე აპარატურითაა აღჭურვილი, რაც იმის პირობებს ქმნის, რომ საქართველოში ევროპული დონის ფილმების გადაღება სტარტს აიღებს.*

**ახალი კინოპავილიონი იმ დიდი პროექტის - "კინოქალაქის" ნაწილია, რომლის განხორციელება GRDC-მა დაიწყო და მშენებლობა 2007 წლის ბოლოს დასრულდება. ძველი კინოსტუდიის ტერიტორია მალე კულტურულ-გასართობ ცენტრად იქცევა და თბილისელები ევროპული ტიპის "კინოქალაქით" იამაყებენ.**



B4

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3702 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9989 |
| 1 | არაბული დირხამი | AED | 0,4905 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,8010 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8396 |
| 1 | ბულგალური ლეი | BGL | 1,1764 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,3086 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3123 |
| 1 | ევრო | EUR | 2,3001 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4706 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3463 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,2071 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1612 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,3798 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1969 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2502 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,4044 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,6047 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,2686 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,6526 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3717 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2948 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5842 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,6051 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0667 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1368 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4118 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5597 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4759 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,5748 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8747 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,2284 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1484 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4419 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2462 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4788 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0814 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2247 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2322 |




# რას გვპირდება პანიკა მსოფლიო ბირჟებზე

თორნიკე შარაშენიძე
ნატო-ს საინფორმაციო ცენტრის დირექტორი

### ვის აძლევს ხელს დოლარის კურსის ვარდნა?

*ბოლო პერიოდის უმთავრეს მოვლენად მსოფლიო ეკონომიკაში დოლარის კურსის ვარდნა რჩება, რასაც თან ახლავს ფასების ცვლილება ძვირფას ლითონებსა და საწვავზე. ამის გამო მიმომხილველები მეტად შემაშფოთებელ პროგნოზებს აკეთებენ და ახალ ფინანსურ კრიზისსაც არ გამორიცხავენ. მოკლედ, ყოველივე ამან ისეთი სერიოზული სახე მიიღო, რომ, ალბათ დროა, კარგად გავაანალიზოთ მიზეზები და შესაძლო შედეგები. რა ემართება დოლარს, როცა აშშ-ს ეკონომიკა ზრდის მაჩვენებლით მნიშვნელოვნად უსწრებს მსოფლიოს სხვა განვითარებულ ცენტრებს - დასავლეთ ევროპასა და იაპონიას. იაპონია ბოლომდე ახლაც ვერ გამოსულა სტაგნაციიდან და იმისათვის, რათა ეკონომიკას სტიმული მისცეს, საპროცენტო განაკვეთები ნულოვან მაჩვენებელზე რჩება. ევროპის უდიდესი ქვეყნის, გერმანიის ეკონომიკის ზრდა წელს 1,8 პროცენტს შეადგენს, და ეს დიდ მიღწევადაა მიჩნეული. გერმანიის ეკონომიკას საკმაოდ მძიმე ტვირთად აწევს ევროკავშირის მიერ დაწესებული ლიმიტი, რომლის მიხედვითაც ევროკავშირის წევრი ქვეყნის ბიუჯეტის დეფიციტი მისი ეკონომიკური მოცულობის 3 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს. ამ დეფიციტის შესამცირებლად ბერლინმა ახლახან ერთობ მტკივნეულ ზომასაც მიმართა: 2007 წლიდან 3 პროცენტით იზრდება და 19 პროცენტზე ადის დამატებითი ღირებულების გადასახადი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ეს გადასახადის ყველაზე დიდი აწევაა. ეკონომისტები შეშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ ახლა, როცა დაახლოებით ათწლიანი ჩავარდნის შემდეგ გერმანიის ეკონომიკა, როგორც იქნა, სტაბილური ზრდისკენ მიდის, გადასახადის ზრდამ შეიძლება უარყოფითი შედეგები გამოიღოს. მაგრამ ბერლინში, ალბათ, დეფიციტის შემცირებაზე უფრო ზრუნავენ.*



B3

### საქართველოსათვის ეკონომიკური ბლოკადის გამოცხადებით რუსეთმა შედეგს ვერ მიაღწია

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილი მიიჩნევს, რომ საქართველოსათვის ეკონომიკური ბლოკადის გამოცხადებით რუსეთმა სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. "რუსეთმა ზუსტად ვერ გათვალა მთელი რიგი ფაქტორები. ამაზე ღია საუბარი არ მსურს. საქართველოსთვის მიყენებული დარტყმა არ აღმოჩნდა მტკივნეული, და უფრო მეტიც - მომაკვდინებელი, როგორსაც რუსეთი ელოდა," - განაცხადა გაბაშვილმა. გაბაშვილი აღნიშნავს, რომ რუსეთის მიერ გამოცხადებული ეკონომიკური ბლოკადის უმტკივნეულოდ გადატანა საქართველოს ხელისუფლების სწორად გადადგმულმა ნაბიჯებმა განაპირობა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### პრობლემები შემოდგომაზე კიდევ უფრო გამწვავდება

რუსეთში ქართული პროდუქციის შეტანის აკრძალვის შედეგად წარმოქმნილი პრობლემები შემოდგომაზე კიდევ უფრო გამწვავდება, - მიიჩნევს ექსპერტი ვახტანგ ხმალაძე. მისი თქმით, საეჭვოა, რომ ქართველმა მწარმოებლებმა ამ დრომდე მოახერხონ ალტერნატიულ ბაზრებზე დამკვიდრება და პროდუქციის გასაღების ახალი მექანიზმების შემუშავება.

"მეღვინეებს აუცილებლად შეექმნებათ ფინანსური რესურსების პრობლემები ნედლეულის შესყიდვის დროს, რაც, თავის მხრივ, გავლენას გლეხების სოციალურ მდგომარეობაზე იქონიებს. უახლოეს დროში ამ პრობლემების მოგვარების გზას ვერ ვხედავ," - განაცხადა ხმალაძემ. მისი თქმით, საქართველო რუსეთისაგან მომავალში ენერგეტიკულ პრობლემებსაც უნდა ელოდეს. "ჯერჯერობით, ჩვენი ენერგეტიკა კვლავ ჩრდილოელ მეზობელზეა დამოკიდებული. ამ წყაროების პირდაპირი შეწყვეტა პოლიტიკურ სკანდალს გამოიწვევს, რაზეც, შესაძლოა, რუსეთი არ წავიდეს. სამაგიეროდ, პრობლემა არ იქნება გაზსადენისა და ელექტროგადამცემი ხაზების დაზიანება," - მიიჩნევს ექსპერტი.

მისი თქმით, სერიოზული რისკის შემცველია ასევე ჰიდროელექტროსადგურების პრივატიზაციაც. "დიდი შანსია, რომ ეს ობიექტებიც რუსული კომპანიების ხელში აღმოჩნდეს. შემდეგ კი პროფილაქტიკური სამუშაოების, ან სხვა რაიმე მოტივით, რომელიც ძალიან არ იყვირებს, უბრალოდ, გააჩერონ და ამით ენერგოდეფიციტი შექმნან. ხელისუფლება კი ამ პროცესს არანაირად არ ეწინააღმდეგება," - განაცხადა ხმალაძემ.

მისი თქმით, ქვეყნის ხელმძღვანელობამ ყველა შესაძლო რისკი უნდა გაითვალისწინოს და ალტერნატიულ გზებზე იმუშაოს. პრობლემების სიმწვავის მიუხედავად, ექსპერტი მიიჩნევს, რომ საქართველოს ინტერესების ხარჯზე რუსეთთან დათმობის პოლიტიკა მიუღებელია. "თუ დათმობაში პოლიტიკოსების გამონათქვამებში სიმძაფრის შემცირებას ვიგულისხმებთ, ამის გაკეთება შეიძლება, მაგრამ ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებისა და პოლიტიკური კურსის ხარჯზე დათმობა გაუმართლებელად მიმაჩნია," - აღნიშნა ხმალაძემ. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ფასების საერთო დონე 0,26 პროცენტით შემცირდა

თბილისში სამომხმარებლო ფასების ინდექსმა გასული ერთი კვირის განმავლობაში 99,74 პროცენტი შეადგინა. წინა პერიოდთან შედარებით, ფასების საერთო დონე 0,26 პროცენტით შემცირდა. მათ შორის სასურსათო საქონელზე - 0,38 პროცენტით, ხოლო არასასურსათო საქონელზე - 0,25 პროცენტით; ამასთან, მომსახურების ტარიფები უცვლელი დარჩა. გასულ კვირასთან შედარებით ფასები შემცირდა კიტრზე (33,5%-ით), სტაფილოზე (9,0%-ით), ყველზე (5,0%-ით), სიგარეტზე ძჭინსტონ ლიგჰტ" (2,9%-ით), ქათმის ბარკლებზე (2,0%-ით); ამასთან ფასები გაიზარდა ჭარხალზე (27,8%-ით), კვერცხზე (23,1%-ით), ხახვზე (6,5%-ით), კარტოფილზე (9,2%-ით), პამიდორზე (8,0%-ით), ფოთლოვან კომბოსტოზე (3,8%-ით), ძროხის ხორცზე (0,7%-ით), შაქარზე (0,6%-ით). **ჯი-ეიჩ-ენი**

### ადგილობრივ და იმპორტულ თამბაქოს ნაწარმზე აქციზის განაკვეთი შემცირდა

საქართველოში თამბაქოს წარმოების განვითარებისა და კონტრაბანდასთან ბრძოლის გააქტიურების მიზნით, ფინანსთა სამინისტრომ მოქმედ საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შეიტანა, რითაც ადგილობრივ და იმპორტულ თამბაქოს ნაწარმზე აქციზის განაკვეთი შეამცირა. აღნიშნული ცვლილებები ძალაში მიმდინარე წლის 15 მაისიდან შევიდა.

ადგილობრივი და იმპორტული თამბაქოს ნაწარმზე აქციზური განაკვეთები უცხოური წარმოების ფილტრიან სიგარეტზე 90-დან 60 თეთრამდე, ადგილობრივი წარმოების ფილტრიან სიგარეტზე - 20-დან 15 თეთრამდე, უცხოური წარმოების უფილტრო სიგარეტზე - 20-დან 15 თეთრამდე, ადგილობრივი წარმოების უფილტრო სიგარეტზე - 15-დან 10 თეთრამდე, სიგარელაზე - 1 ღერზე 90 თეთრიდან, 20 ღერზე კი - 1 ლარამდე განისაზღვრა.

საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა, თამბაქოს ადგილობრივმა მწარმოებლებმა და იმპორტიორი კომპანიების წარმომადგენლებმა 20 მაისს გამართულ შეხვედრაზე თამბაქოს პროდუქციაზე ფასების სწრაფი რეგულირების ხელშემწყობი ფინანსური რესურსებისა და მექანიზმების ამოქმედებაზე იმსჯელეს. ალექსიშვილის თქმით, მთავრობის მიერ შემუშავებული ახალი განაკვეთები და დამატებითი ადმინისტრაციული ღონისძიებები მნიშვნელოვნად შეამცირებს კონტრაბანდული პროდუქციის შემოტანას, ხელს შეუწყობს ადგილობრივ წარმოებას და მნიშვნელოვნად გაზრდის საბიუჯეტო შემოსავლებს. 2005 წელს თამბაქოს აქციზიდან მიღებულმა შემოსავალმა 82 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 2004 წლის მაჩვენებელზე 6,2 მილიონი ლარით მეტია. აქციზის განაკვეთის შემცირების მიუხედავად, 2006 წელს ფინანსთა სამინისტრო სახელმწიფო ბიუჯეტში 120 მილიონი ლარის მობილიზებას გეგმავს. **მედიანიუსი**

### სიგარეტის გაიაფება კონტრაბანდისტებს სტიმულს დაუკარგავს

"საქართველოს თამბაქოს წარმოების" კომერციული დირექტორის თემურ მიქაბერიძის ინფორმაციით, ფასები თამბაქოზე, სავარაუდოდ, აქციზის განაკვეთების შემცირების პროპორციულად დაიკლებს და ადგილობრივი წარმოების სიგარეტის 15 თეთრით, ხოლო უცხოური სიგარეტის 30 თეთრით გაიაფებას გამოიწვევს.

თუმცა მთავარია, აქციზური განაკვეთების შემცირების ფაქტი კონტრაბანდული სიგარეტის საწინააღმდეგოდ როგორ იმოქმედებს. როგორც მიქაბერიძე განმარტავს, ამან, წესით, კონტრაბანდის შემცირება უნდა გამოიწვიოს, რადგან სიგარეტის გაიაფება, თავისთავად, კონტრაბანდისტებს სტიმულს დაუკარგავს. **ჯი-ეიჩ-ენი**

# საქართველოს ავიაბაზარზე უცხოური ავიაკომპანიები ლიდერობენ

პირველი გვერდიდან

ავიაბაზარზე აქტიურად საუბრობენ ამერიკული კომპანიის "იუნაითედ ეარლაინსის" შემოსვლის შესახებ, თუმცა ამერიკულ კომპანიას ოფიციალური განაცხადით სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტის ადმინისტრაციისათვის არ მიუმართავს.

საქართველოს ავიაბაზარზე ეროვნულ გადამზიდავებს შორის "ჯორჯიან ეარვეისი" ლიდერობს. 2006 წლის პირველ კვარტალში კომპანიის სერვისით 37 203 მგზავრმა ისარგებლა. მეორე ადგილზეა "თბილავიამშენი". კომპანიამ დროის ამ მონაკვეთში 4574 მგზავრი გადაიყვანა. მესამე-მეოთხე ადგილებს "ნაციონალური ავიახაზები" და "საქავიასერვისი" ინაწილებენ. ამ ორმა კომპანიამ, შესაბამისად, 2 309 და 1 237 მგზავრი გადაიყვანა. მეხუთე ადგილზეა კომპანია "საავიაციო უნივერსიტეტი", რომელიც თბილისი-მესტიის მიმართულებით კვირაში ორ რეისს ასრულებს. ჯამში ეროვნულმა კომპანიებმა 45 323 მგზავრი გადაიყვანეს, რაც ავიაბაზრის 42 პროცენტია. თუ ამ მონაცემებს 2005 წლის პირველი კვარტლის შედეგებს შევადარებთ, ჩანს, რომ ეროვნულმა გადამზიდველებმა დროის ამ მონაკვეთში ჯამში 51 554 მგზავრი გადაიყვანეს და, შესაბამისად, ბაზრის 57 პროცენტი ეკავათ.

ავიაბაზრის ექსპერტები ბაზარზე ქართული ავიოკომპანიების პოზიციების შესუსტებას შედარებით დაბალ სერვისს და მაღალ ფასებს უკავშირებენ. თავის მხრივ, ფინანსურ სირთულეებზე საუბრობენ ქართული კომპანიებიც, რადგან მათ ბოინგის ტიპის ავიალაინერები იჯარით აქვთ აღებული.

საქართველოს ავიაბაზარზე მოქმედი 17 ავიაკომპანიიდან ოთხი - "პულკოვო", "ცენტრავია", "აეროფლოტი" და "სიბირი" რუსულია. უკრაინული კომპანიებიდან საქართველოს ბაზარზე "აერომოსტ ხარკოვი", "დონბასი" და "უკრაინის ხმელთაშუაზღვის ავიახაზები" საქმიანობს. ბაზარზე ახალი მოთამაშეა ბელორუსის "ბელავია", რიგის "ეარ ბალტიკა" და "ყაზახური სკატი". ავიაბაზარზე მხოლოდ ერთი ავიაკომპანიაა აზერბაიჯანული - "აზალავია". ისრაელის ავიაკომპანია არკია, საქართველოს ავიასივრცეში რეისებს 23 ივნისიდან შეასრულებს. ბაზარზე სტაჟიანი მოთამაშეები არიან ავსტრიის, ბრიტანეთის და თურქეთის ავიახაზები, ავიაკომპანია "გერმანია" და "ლუფთჰანზა".

2006 წლის პირველ კვარტალში საქართველოს ავიაბაზარზე მოქმედი უცხოური კომპანიებიდან გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობით რუსული "აეროფლოტი" ლიდერობს. კომპანიამ წელს პირველ კვარტალში 12 585 მგზავრი გადაიყვანა. მეორე ადგილზეა "თურქეთის ავიახაზები", კომპანიამ 8 843 მგზავრი გადაიყვანა. დაბალი ფასების გამო ამ კომპანიის სერვისით სულ უფრო მეტი მგზავრი სარგებლობს. მესამე ადგილზეა კომპანია "სიბირი", რომლის ბალანსზე 6 440 მგზავრი მოდის. პროცენტული გათვლებით, ავიაბაზრის 12 პროცენტი "აეროფლოტს" უჭირავს, 8 პროცენტი - "თურქულ ავიახაზებს", ხოლო ბაზრის 4 პროცენტი - "ავსტრიის ავიახაზებს", 2 პროცენტი - კომპანია "გერმანიას", 3 პროცენტი კი - "ბრიტანეთის ავიახეზებს" უჭირავთ. 2006 წელს უცხოური კომპანიების წილი ბაზარზე 58 პროცენტამდე გაიზარდა. უცხოურმა გადამზიდავებმა ჯამში 63 197 მგზავრი გადაიყვანეს. ამას ექსპერტები მაღალი ხარისხის სერვისს უკავშირებენ. ასევე იმასაც, რომ ბაზარზე ახალი ავიაკომპანიები გამოჩნდნენ. 2005 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობით, ავიაკომპანია "აეროფლოტი" ლიდერობდა. მეორე ადგილზე იყო "ჰოლანდიის ვიახაზები", ხოლო მესამე ადგილი "თურქეთის ავიახაზებს" ეკავათ. 2005 წელს უცხოურმა გადამზიდავებმა სულ 39 061 მგზავრი გადაიყვანეს და, შესაბამისად, ბაზრის 43 პროცენტი ეკავათ. 2006 წელს უცხოურმა ავიაკომპანიებმა ბაზრის სეგმენტის კიდევ 15 პროცენტი აითვისეს.

#### მგზავრთა გადაყვანის მოცულობა

ეროვნული კომპანიები — 2006 I კვარტალი

| № | ავიაკომპანიები | გაგზავნილი | ჩამოყვანილი | სულ | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჯორჯიან ეარვეისი | 20146 | 17057 | 37203 | (34% 82%) |
| 2 | ნაციონალური ა/ხ | 1256 | 1054 | 2309 | (2% 5%) |
| 3 | თბილავიამშენი | 2375 | 2199 | 4574 | (4% 10%) |
| 4 | საქავიასერვისი | 622 | 615 | 1237 | (1% 3%) |
| 5 | ჯამი | 24398 | 20925 | 45323 | 42% |

უცხო ქვეყნის ავიაკომპანიები

| № | ავიაკომპანიები | გაგზავნილი | ჩამოყვანილი | სულ | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ავსტრიის ავიახაზები | 2132 | 2077 | 4209 | (4%) |
| 2 | გერმანია | 1646 | 675 | 2321 | (2%) |
| 3 | სიბირი | 3482 | 2958 | 6440 | (6%) |
| 4 | ბრიტანეთის ა/ხ | 1958 | 1556 | 3514 | (3%) |
| 5 | აეროფლოტი | 6887 | 5698 | 12585 | (12%) |
| 6 | თურქეთის ა/ხ | 4587 | 4256 | 8843 | (8%) |
| 7 | კლმ | 3336 | 3144 | 6480 | (6%) |
| 8 | ლუფთჰანზა | 2416 | 2242 | 4658 | (4%) |
| 9 | აზალავია | 3393 | 3207 | 6600 | (6%) |
| 10 | სხვა ა/კ | 3830 | 3717 | 7547 | (7%) |
| | | 33667 | 29530 | 63197 | 58% |

ეროვნული კომპანიები — 2005 I კვარტალი

| № | ავიაკომპანიები | გაგზავნილი | ჩამოყვანილი | სულ | |
|---|---|---|---|---|---|
| | ჯორჯიან ეარვეისი | 20680 | 17172 | 37852 | (42% 73%) |
| | თბილავიამშენი | 1613 | 1575 | 3188 | (4% 6%) |
| | საქავიასერვისი | 743 | 761 | 1504 | (2% 3%) |
| | ნაციონალური ა/ხ | 4777 | 4233 | 9010 | (9% 17%) |
| | ჯამი | 27813 | 23741 | 51554 | 57% |

უცხო ქვეყნის ავიაკომპანიები

| № | ავიაკომპანიები | გაგზავნილი | ჩამოყვანილი | სულ | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ავსტრიის ავიახაზები | 1381 | 1419 | 2800 | 3% |
| 2 | გერმანია | 1249 | 725 | 1974 | 2% |
| 3 | სიბირი | 543 | 579 | 1122 | 1% |
| 4 | ბრიტანეთის ა/ხ | 1398 | 1389 | 2787 | 3% |
| 5 | აეროფლოტი | 4579 | 3906 | 8485 | 9% |
| 6 | თურქეთის ა/ხ | 2695 | 2303 | 4998 | 5% |
| 7 | კლმ | 2835 | 2620 | 5455 | 6% |
| 8 | სხვა ა/კ | 5633 | 5807 | 11440 | 13% |
| | ჯამი | 20313 | 18748 | 39061 | 43% |

### BP ინვესტიციის განხორციელებას გეგმავს

კომპანია "ბრითიშ-პეტროლიუმი" საქართველოში სოციალური სფეროს განვითარებისათვის ინვესტიციის განხორციელებას გეგმავს. კომპანიის მენეჯერის რიბ დიგინგსის განცხადებით, სოციალური სფეროს განვითარებაში ჩადებული თანხა არ იქნება ქველმოქმედება. "ვაპირებთ 100 მილიონი დოლარის ინვესტიციის განხორციელებას ქვეყნის სოციალური სფეროს განვითარებისთვის. ეს ქველმოქმედება არ იქნება, ეს იქნება ბიზნესი, რაც დასტურია იმ მიზნებისა, რაც ჩვენ გაგვაჩნია," - განაცხადა მან. **ჯი-ეიჩ-ენი**

### შ.პ.ს "ლილო -1"-ის გაყიდვას ეკონომიკის სამინისტრო კიდევ ერთხელ შეეცდება

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შ.პ.ს "ლილო -1" გასაყიდად კიდევ ერთხელ გამოაქვს. მისი საწყისი გასაყიდი ფასი 2 000 000 აშშ დოლარია. ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ ობიექტი ამჯერად 100 000 დოლარით ნაკლებად შეაფასა. შეგახსენებთ, რომ აუქციონი მისი პრივატიზაციის მიზნით ბოლოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ გასული წლის 1 აგვისტოს გამოაცხადა, მისი საწყისის გასაყიდი ფასი მაშინ 2 100 000 დოლარს შეადგენდა. შ.პ.ს "ლილო -1" თბილისში იუმაშევის ქუჩის N14-ში მდებარეობს. ის 100 პროცენტით სახელმწიფოს მფლობელობაშია და მთლიანად აუქციონის წესით იყიდება. ობიექტის საწესდებო კაპიტალი 7 443 310 ლარია. მისი კრედიტორული დავალიანება 366 976 ლარია. იყიდება ობიექტის შენობა-ნაგებობები, რომლის ფართიც 74 376 კვადრატული მეტრია. ასევე, 226 788 კვ. მეტრის მოცულობის მიწის ფართი. განაცხადების შეტანა ეკონომიკური განვითარების სამინისტროში ობიექტის მყიდვის მსურველებს 22 ივნისის 17 საათამდე შეუძლიათ, აუქციონი კი ამავე დღეს 18 საათზე გაიმართება. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ბაქოში გამართულ გამოფენაში ქართული კომპანია მონაწილეობს

22 მაისს ბაქოში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გამოფენა გაიმართება, რომელშიც ნაყინისა და რძის პროდუქტების მწარმოებელი კომპანია "თოლია" საკუთარ პროდუქციას წარადგენს. ღონისძიების დასრულების შემდეგ კომპანიის წარმომადგენლები ბაქოელ პარტნიორებთან მოლაპარაკებებს გამართავენ. კომპანიის წარმომადგენელი ბაქოში კი თბილისში დამზადებული ნაყინის დისტრიბუციას მოახდენს. "თოლია" საკუთარი პროდუქციის ბაქოში რეალიზებას მომავალი წლისთვის გეგმავს. **ჯი-ეიჩ-ენი**

### კურორტ უწერაში მდებარე სანატორიუმი "ფაზისი" 300 000 დოლარად იყიდება

ონის რაიონში კურორტ უწერაში მდებარე სანატორიუმ "ფაზისის" სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ აქციათა 99,89 პროცენტი 300 000 დოლარად იყიდება. ეკონომიკური განვითარების სამინისტროში განაცხადების მიღება აღნიშნული ობიექტის პრივატიზაციის მიზნით 22 მაისიდან დაიწყება. ობიექტის საწესდებო კაპიტალი 266 728 ლარია. ობიექტის კუთვნილი მიწის ნაკვეთი 5 250 კვადრატული მეტრია. სს"ფაზისი" აუქციონზე 22 ივნისს 18 საათზე გაიყიდება. ეკონომიკური განვითარების სამინისტრო განაცხადების მიღებას აღნიშნულ ობიექტზე 22 ივნისს 17 საათზე შეწყვეტს. **ჯი-ეიჩ-ენი**

### შპს "ვეტპრეპარატი" ხვალ გაიყიდება

ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შპს "ვეტპრეპარატი" პირველად გამოაქვს გასაყიდად. მისი პრივატიზაციის მიზნით განაცხადების მიღება სამინისტროში 22 მაისიდან დაიწყება. ობიექტი 100 პროცენტით სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენს და მთლიანად იყიდება. მისი საწყისი ფასი ნახევარი მილიონი დოლარია. "ვეტპრეპარატის" საწესდებო კაპიტალი 358 210 ლარია. ობიექტი თბილისში, ბოჭორმის ქუჩაზე N23-ში მდებარეობს. მისი საქმიანობის სფერო ქიმიური და ბიოლოგიური პრეპარატების წარმოებაა. აუქციონი ეკონომიკური განვითარების სამინისტროში 22 ივნისს 18 საათზე გაიმართება. **ჯი-ეიჩ-ენი**

# IFC და EBRD საქართველოში TAV აეროპორტის საქმიანობას 54 მილიონი დოლარით აფინანსებენ

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ (IFC) და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკმა (EBRD) მიაღწიეს შეთანხმებას TAV აეროპორტების ჰოლდინგის შვილობილი საწარმოს, შპს "TAV Urban Georgia"-სთვის სესხის სახით 27-27 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფის შესახებ. 54 მილიონი აშშ დოლარით დაფინანსების შესახებ ხელშეკრულებას თურქეთში, სტამბულის სირაგანის სასახლეში მოეწერა ხელი.

შეგახსენებთ, რომ TAV Georgia-ს სს "თბილისის საერთაშორისო აეროპორტი"-საგან აეროპორტი სარგებლობაში 11.5 წლით აქვს გადაცემული, თბილისის საერთაშორისო აეროპორტის დაპროექტების, დაფინანსების, მშენებლობის და ოპერირების მიზნით. TAV Georgia-ს შეუძლია, გაახანგრძლივოს აღნიშნული პერიოდი დამატებით ხუთი წლით ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის რეკონსტრუქციის დაპროექტების და განხორციელების (მაგრამ, არა ოპერირების) მიზნით. TAV აეროპორტების ჰოლდინგმა, თურქეთის სამშენებლო კომპანია Urban-თან ერთად, რომელიც ერთობლივ საწარმოში TAV-ის პარტნიორს წარმოადგენს, 2005 წლის ნოემბერში - თბილისის საერთაშორისო აეროპორტის, ხოლო 2006 წლის მაისში ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის სამშენებლო სამუშაოები დაიწყო. ორივე აეროპორტის პროექტის მთლიანი დაფინანსება, სავარაუდოდ, 77 მილიონი აშშ დოლარი იქნება. თბილისის აეროპორტის ახალი ტერმინალის გახსნა 2006 წლის ნოემბერშია დაგეგმილი. დასრულების შემდეგ ის საათში 1500 ჩამოსულ და წამსვლელ მგზავრს მოემსახურება. თბილისის აეროპორტი ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე და დიდი აეროპორტი იქნება მთელს რეგიონში. მისი შიდა ფართობი 24 000 კვ.მ იქნება, ბაქანი - 40 000 კვ.მ, ასაფრენი ბილიკი განახლდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, დამონტაჟდება 24 ახალი საკონტროლო-გამშვები პუნქტი, ასევე სამი ახალი ხიდი თვითმფრინავში ჩასხდომისათვის და ბარგის შემოწმების თანამედროვე სისტემა.

აღსანიშნავია, რომ "TAV Georgia-ს დაფინანსება საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში IFC-ის პირველი ინვესტიციაა. რაც შეეხება EBRD-ს, აღნიშნული ხელშეკრულებით მისი მთლიანი ინვესტიცია საქართველოში 450 მილიონ აშშ დოლარამდე გაზრდება.

**24 საათი**

# ჩინელები შიდა ქართლით დაინტერესდნენ

ჩინეთის ხენანის პროვინცია და ბიზნესმენები შიდა ქართლთან თანამშრომლობასა და ამ რეგიონში ინვესტიციების განხორციელება აპირებენ. შიდა ქართლში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის მიხეილ ქარელის ხელმძღვანელობით დელეგაცია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხენანის პროვინციიდან სამშობლოში დაბრუნდა. დელეგაციაში "გომის" სპირტის ქარხნისა და "ოკამის" ქარხნის წარმომადგენლებიც იყვნენ.

ოფიციალური ვიზიტის მიზანი ორ რეგიონს შორის მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობების დამყარება იყო. შეხვედრები გაიმართა როგორც პროვინციის გუბერნატორთან, ასევე მის მოადგილეებთან, სამრეწველო საწარმოების ხელმძღვანელებთან. მხარეებმა განიხილეს ყველა ის მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც შიდა ქართლის რეგიონისთვის პრიორიტეტულია. მათ შორის, სოფლის მეურნეობა (მევენახეობა, მეხილეობა და მეცხოველეობა), მსუბუქი მრეწველობა, მანქანათმშენებლობა, რაც ხელს შეუწყობს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

ჩინეთში ვიზიტის დროს, საქართველოს დელეგაციამ დაათვალიერა სოფლის მეურნეობის ტექნიკის მწარმოებელი ქარხანა, რომლის ხელმძღვანელობასთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები, რათა შედარებით შეღავათიან ფასში, ვიდრე ეს ბელორუსში ან რუსეთშია, მოხერხდეს ტექნიკის შეძენა. მოლაპარაკებების საგანი იყო ასევე ქართული დელეგაციის წინადადება, რომელიც ითვალისწინებს ტრაქტორების ნაწილების შემოტანას, ადგილზე აწყობასა და რეალიზაციას არამარტო საქართველოს ბაზარზე, არამედ სამხრეთ კავკასიასა და სხვა ქვეყნებში. ხენანის პროვინციის მთავრობამ და ბიზნესმენებმა ქართული ღვინო დააგემოვნეს და დიდი ინტერესიც გამოხატეს. იგეგმება ჩინელი ბიზნესმენების ჩამოსვლა საქართველოში, რათა ადგილზე შეისწავლონ ქართული ღვინის ჩინეთში გატანის საკითხები. ქართული დელეგაცია ეწვია მანქანათმშენებელ და სატრაქტორო კომპანიებს, რომლის ხელმძღვანელობასთან ტრაქტორების ჩამოყვანასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები მიმდინარეობს. ამასთან დაკავშირებით შემოდგომაზე ჩინეთის წარმომადგენლები საქართველოში ჩამოვლენ. ხენანის პროვინციის გუბერნატორმა და ბიზნესმენებმა შიდა ქართლის რეგიონთან თანამშრომლობის დიდი სურვილი გამოთქვეს და აღნიშნეს, რომ შეეცდებიან, ჩინური ინვესტიციები შიდა ქართლის რეგიონში განახორციელონ. შემოდგომაზევე იგეგმება დამეგობრების მემორანდუმის გაფორმება შიდა ქართლში, რომელიც ხელს შეუწყობს ორ რეგიონს შორის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას (სოფლის მეურნეობა, მსუბუქი მრეწველობა და ტურიზმი).

ხენანის პროვინცია და შიდა ქართლი აპირებენ კულტურული ღონისძიებების ჩატარებასაც. გორის სახელმწიფო აკადემიური თეატრი გაემგზავრება ამ პროვინციაში სპექტაკლების გასამართად, ხოლო მათი თეატრი შიდა ქართლს ეწვევა. ასევე დაგეგმილია ვიზიტები ჩინელებისათვის სტალინის სახლმუზეუმის მოსანახულებლად. **მედიანიუსი**

## ეკვადორმა ამერიკელებს ნავთობი წაართვა

ეკვადორის სახელმწიფო ნავთობკომპანია "Petroecuador"-ის წარმომადგენლებმა ამერიკული ნავთობკომპანია "Occidental Petroleum"-ის "სრული ტექნიკური კონტროლის" ქვეშ აყვანის თაობაზე ოფიციალური განცხადება გააკეთეს. ამ განცხადებამდე რამდენიმე დღით ადრე კი ეკვადორმა აღნიშნული კომპანიის მიმდებარე ტერიტორიასა და შენობაში თავისი სამხედროები შეუშვა.

ეკვადორის ჩინოვნიკები მიიჩნევენ, რომ კომპანია "Occidental Petroleum"-მა შეთანხმება დაარღვია და 2004 წელს აქციების ნაწილი ეკვადორთან შეთანხმების გარეშე კანადურ ფირმას მიჰყიდა. ამ ამერიკული ნავთობკომპანიის წარმომადგენლები კი ბრალდებას უარყოფენ და აღნიშნავენ, რომ მათი მხრიდან არანაირ დარღვევას ადგილი არ ჰქონია. ისინი აცხადებენ, რომ უთანხმოების მოგვარების მიზნით და ჩინოვნიკების პრეტენზიების თავიდან ასაცილებლად მზად არიან, მილიარდ დოლარზე მეტიც კი გადაიხადონ.

კომპანიამ საერთაშორისო ცენტრს საინვესტიციო უთანხმოების მოგვარების მიზნით უკვე მიმართა. ამასთან, ისინი კონფისკაციის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმებასაც მოითხოვენ.

როგორც მოსალოდნელია, უახლოეს მომავალში კომპანია "Occidental Petroleum"-ის ხელმძღვანელ თანამდებობას "Petroecuador"-ის მენეჯერი დაიკავებს. ამასთან, ეკვადორის ხელისუფლების წარმომადგენლები გამორიცხავენ მოარულ ხმებს იმის შესახებ, რომ ამერიკული ნავთობკომპანიის ხელში ჩაგდება, ვენესუელისა და ბოლივიის მსგავსად, ნავთობის მარაგის ნაციონალიზაციის პროგრამის ერთ-ერთ ნაწილში შედის.

უნდა აღინიშნოს, რომ "Occidental Petroleume" ეკვადორში ერთ-ერთი უმსხვილესი ინვესტორია. ამაზონის აუზიდან ეს კომპანია ყოველდღიურად 100 ათას ბარელ ნავთობს მოიპოვებს.

## ამერიკა სამბორბლიან ელექტრომობილებს უბრუნდება

ჩრდილოეთ ამერიკის ბაზარზე სულ მალე Cobrin Sparrow-ს უჩვეულო, სამბორბლიანი ავტომობილი გამოჩნდება. აღნიშნულ საავტომობილო ფირმას უკვე ახალი მფლობელი ჰყავს. კომპანია Myers Motors-მა ავტომობილი ახალი სახელწოდებით გამოუშვა - "NmG", რომელიც ჟღერს, როგორც - "No more Gas."

ამ თვრამეტი თვის განმავლობაში ახალმა კომპანიამ ამ ავტომობილის ყველა ის ნაკლი გამოასწორა, რომელმაც კომპანია Sparrow გაკოტრებამდე მიიყვანა.

ახალი მფლობელი კომპანია Myers Motors-ის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათ ავტომობილის თითქმის ყველა მთავარი დეტალის რეკონსტრუქცია მოახდინეს. აკუმულატორის ბატარეა, ცალკეული ელექტროდეტალები, საკონტროლო ბლოკი, მუხრუჭი და სალონის ძირითადი დეტალები ახალმა მფლობელმა, ფაქტობრივად, სულ შეცვალა, რის გამოც ელექტროავტომობილის ფასი საგრძნობლად გაიზარდა. 14 ათასი დოლარის ნაცვლად, ის ახლა 24900 დოლარი ეღირება.

Myers-ის ავტომობილები მხოლოდ მოკლე მანძილზე მგზავრობისთვის გამოდგება. სრულიად დამუხტულ მდგომარეობაში მას დაახლოებით 50 კილომეტრის გავლა შეუძლია, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი საათში მხოლოდ 100 კილომეტრია.

ახალი მფლობელების აზრით, ელექტრომობილი ამერიკელებისთვის ამ ეტაპზე გადაადგილების ყველაზე საუკეთესო საშუალებაა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში NmG-ის ელექტრომობილების გაყიდვა თებერვლიდან დაიწყო. Myers Motors-ის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ამ ეტაპზე ავტომობილებზე საკმაოდ დიდი მოთხოვნილებაა. მათი პროგნოზით, კომპანია წელიწადში 500-1000 ელექტრომობილს გაყიდის.



# რას გვპირდება პანიკა მსოფლიო ბირჟებზე



"ეი380"




ბოინგ 777

პირველი გვერდიდან

ამ დროს, აშშ-ს ეკონომიკა ყოველ კვარტალში 3-4 პროცენტით იზრდება. მაგრამ არსებობს პრობლემები, რომლებიც ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელში არ აისახება. ეს პრობლემებია აშშ-ს ბიუჯეტის უზარმაზარი დეფიციტი (ის, რასაც გერმანია სწორედ ეკონომიკური ზრდის ხარჯზე ებრძვის) და უარყოფითი სავაჭრო ბალანსი. ბიუჯეტის დეფიციტი 400 მილიარდი დოლარია და მიმდინარე წლის პირველ კვარტალში დაფიქსირებული ოდნავი შემცირების მიუხედავად, არ არსებობს დიდი იმედი, რომ უახლოეს მომავალში იგი სერიოზულად შემცირდება. ზუსტად იგივე ითქმის სავაჭრო დეფიციტზეც (სხვაობა ექსპორტსა და იმპორტს შორის), რომელიც 742 მილიარდ დოლარს უტოლდება, ეს კი ქვეყნის ეკონომიკური მოცულობის 7 პროცენტია.

აშშ-ს ბიუჯეტის დეფიციტი სახელმწიფო ობლიგაციებით ფინანსდება, რომელთა უდიდესი ნაწილი აზიის სახელმწიფოების (უპირველესად კი, ჩინეთისა და იაპონიის) ხელშია. ეს ნიშნავს, რომ ვაშინგტონს ამ ქვეყნების ვალი აქვს. თუმცა, აქ არ უნდა გამოგვრჩეს ერთი მნიშვნელოვანი მომენტი: ეს ვალი დოლარებშია დენომინირებული, დოლარი კი აშშ-ს ეროვნული ვალუტაა და არა ჩინეთისა ან იაპონიის. დოლარების დაბეჭდვა არავის შეუძლია, აშშ-ს გარდა.

აზიის ქვეყნებს 1 ტრილიონ დოლარზე მეტი აქვთ დაგროვილი და აშშ-ს საბიუჯეტო და სავაჭრო დეფიციტი ამ ქვეყნებში სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. ამ დეფიციტების აღმოფხვრისათვის არსებობს ერთი მარტივი გამოსავალი: აშშ-ს საქონელი უნდა გაიაფდეს და აზიურ საქონელს კონკურენცია გაუწიოს. მაგრამ ეს რთული ამოცანაა - ამერიკული საქონლის უმთავრესი კონკურენტი ჩინური საქონელია, ჩინეთის ეროვნული ვალუტა კი თავისუფალ მიმოქცევაში არაა და მისი კურსი სახელმწიფოს მიერ კონტროლდება. ანუ, პეკინი პროცესს ხელს უშლის და ვაშინგტონსაც მხოლოდ ისღა რჩება, დეფიციტის აღმოფხვრა ბაზარს მიანდოს: აშშ დოლარის ვარდნას ხელს არ უშლის, რათა ამერიკული ექსპორტის ზრდას შეუწყოს ხელი. ამას კარგად ხედავენ აზიურ სახელმწიფოებში, რომელთაც დოლარის ვარდნა სერიოზულ ზარალს უქადის. მათ მილიარდები სწორედ აშშ-ს სახელმწიფო ობლიგაციებში აქვთ დაბანდებული (ან, უბრალოდ, დოლარებში ინახავენ) და იქიდან დიდ მოგებასაც ელიან. მაგრამ დოლარის ვარდნა ამ მოგებას საგრძნობლად ამცირებს.

შედეგად, აზიური სახელმწიფოები დოლარებს თავიდან იშორებენ და ეს ამერიკული ვალუტის კურსს კიდევ უფრო დაბლა წევს (რითაც ხელს უწყობენ ამერიკული ექსპორტის ზრდას და დეფიციტის შემცირებას). სანაცვლოდ, ეს ქვეყნები ძვირფას ლითონებს ყიდულობენ, რომელთა ფასიც გაზრდილი მოთხოვნილების გამო იზრდება.

დოლარის ვარდნა აშშ-ს მხოლოდ ექსპორტის ზრდას არ ნიშნავს. ამ პროცესს ინფლაციის სახით საფრთხეც თან ახლავს. თუმცა, ვაშინგტონი საამისო თადარიგს დიდი ხანია იჭერს - საპროცენტო განაკვეთი 5 პროცენტზეა ასული, რაც ფულის დიდი მასის მიმოქცევას ხელს უშლის და, შესაბამისად, ინფლაციასაც აფერხებს. მაგრამ დოლარის დაცემას სხვა უარყოფითი შედეგებიც შეიძლება მოჰყვეს - უპირველესად, გლობალური ეკონომიკისათვის, რომელიც მნიშვნელოვანწილად სწორედ ამერიკულ ვალუტაზე დგას და ეკონომისტებსაც სწორედ ეს აშფოთებთ. დოლარის რყევა მთელი მსოფლიო ეკონომიკის რყევას იწვევს და იგი არავის - მათ შორის, არც აშშ-სთან დაპირისპირებული ქვეყნების - ინტერესებში არ შედის. მსოფლიო ამგვარი პრობლემის წინაშე 80-იან წლებში უკვე იდგა და მაშინ დოლარის კურსის ვარდნა განვითარებულმა სახელმწიფოებმა ერთობლივი, კოორდინირებული ქმედებით (უპირველეს ყოვლისა, ცენტრალური ბანკების მიერ ინტერვენციის განხორციელების გზით) შეაჩერეს. დღეს ამგვარი კოორდინაციის მიღწევა ნაკლებად სავარაუდოა (ამის სურვილს, უპირველესად, თავად ვაშინგტონი არ გამოთქვამს).

გასულ კვირას ვაშინგტონმა საბიუჯეტო დეფიციტის ლიკვიდაციისაკენ კიდევ ერთი საგულისხმო ნაბიჯი გადადგა. წარმომადგენელთა პალატამ მხარი დაუჭირა ნავთობკომპანიებისათვის საგადასახადო შეღავათების გაუქმებას. საუბარია იმ შეღავათზე, რომელიც ჯერ კიდევ 1990 წლის ბოლოს პრეზიდენტმა კლინტონმა დააწესა: მან საარენდო გადასახადისაგან გაათავისუფლა სპარსეთისა და მექსიკის ყურეებში მომუშავე ამერიკული ნავთობკომპანიები (აქ ღრმა წყლებია და სამუშაოებიც რთულდება). ეს გადასახადები 12-16 პროცენტს შეადგენს და ახლა, როცა ბარელი ნავთობის ფასი 70 დოლარის ნიშნულთან ტრიალებს, ვაშინგტონში, ალბათ, მართებულად მიაჩნიათ, რომ ნავთობკომპანიებს აღარანაირი შეღავათი აღარ სჭირდებათ. ცხადია, გადაწყვეტილებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მენავთობეებში. "ეს კანონის ქვეყანაა და არა კარაკასი და მოსკოვი," - ასე გამოხატა აღშფოთება აშშ-ს ნავთობის ინსტიტუტის მთავარმა ეკონომისტმა. ანუ, მან წარმომადგენელთა პალატის გადაწყვეტილება ვენესუელის ხელისუფლების მიერ ნავთობკომპანიების დაშანტაჟებას შეადარა. კარაკასთან ერთად მოსკოვის მოხსენიება კი, ალბათ, იმან განაპირობა, რომ რამდენიმე დღის წინ კრემლმა აშშ-ს ულტიმატუმი წაუყენა: თუკი ვაშინგტონი კვლავაც ხელს შეუშლის რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლას, მაშინ მოსკოვი ამერიკულ კომპანიებს ბარენცის ზღვაში მდებარე შტოკმანის გაზის საბადოებზე არ დაუშვებს.

კარაკასის მეუფემ, ვენესუელის პრეზიდენტმა უგო ჩავესმა კი გასულ კვირას თავისი ტრიუმფალური ტურნე დაასრულა, რომლის დროსაც ბრიტანეთი, ავსტრია, ვატიკანი, ალჟირი და ლიბია მოინახულა. ტრიპოლიში ჩავესმა განაცხადა, რომ მას ამერიკული იარაღი აღარ სჭირდება და რუსულ და ჩინურ იარაღზე გადადის. ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის ბოლო დროს ისედაც გაციებულ ურთიერთობებს ახალი პრობლემა დაემატა - აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა, რომ კრემლის წინაშე ამ საკითხს აუცილებლად დასვამს.

ტრიპოლიში ჩავესის გამოხდომები ნამდვილად ვერ გადაუსვამს ხაზს აშშ-სა და ლიბიას შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის მნიშვნელობას. ვაშინგტონსა და ტრიპოლს შორის ურთიერთობათა დათბობა 2003 წელს დაიწყო, როცა ლიბიაზე აშკარად იმოქმედა ერაყში განხორციელებულმა სამხედრო კამპანიამ და ამ ქვეყანამ უარი განაცხადა მასობრივი განადგურების იარაღზე. ამან დადებითი გავლენა მოახდინა თეთრ სახლზე და უკვე 2004 წელს აშშ-მ ლიბიის წინააღმდეგ მოქმედი მთელი რიგი ეკონომიკური სანქციები გააუქმა. ლიბიის შემორიგებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმის გამოც, რომ ეს ნავთობრესურსებით მდიდარი ქვეყანაა.

## "ეარბასი" არასწორი გზით მიდის?

გასულ კვირას "ჰითროუს" აეროპორტში (ლონდონი) "ეარბასის" ახალი გიგანტური ლაინერი "ეი380" დაეშვა. ეს თვითმფრინავი 555 ადამიანს იტევს და 15 ათასი კილომეტრის მანძილზე შეუძლია ფრენა. "ჰითროუში" მისი დაფრენა ერთ მიზანს ემსახურებოდა: უნდა შემოწმებულიყო, რამდენად შეუძლია მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს აეროპორტს მსოფლიოს უდიდესი კომერციული ლაინერის მომსახურება. როგორც ვარაუდობენ, "ჰითროუს" ოპერატორს, "ბიეიეის" ნახევარ მილიარდამდე სტერლინგის დახარჯვა მოუწევს, რათა როგორც დაგეგმილია, ამ წლის ბოლოსთვის ახალ "ეარბასებს" მოემსახუროს.

"ეი380" ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპია სამოქალაქო ავიაციის განვითარებაში და, ცხადია, "ეარბასისა" და "ბოინგის" მეტოქეობის ისტორიაშიც, რომელიც ბოლო წლებია, გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობს.

90-იანი წლების მეორე ნახევარში "ეარბასი" თანდათანობით წამოეწია მეტოქეს და რამდენიმე ხანში პირველობაც იგდო ხელთ. რაც არ უნდა უცნაურად ჟღერდეს, ამის მიზეზი ის დიდძალი შეკვეთები იყო, რაც "ბოინგს" 90-იანი წლების პირველ ნახევარში თავს დაატყდა. ვეღარ აუდიოდა რა შეკვეთებს მის ხელთ არსებული ძალებით, ამერიკული გიგანტიც დიდი რაოდენობით იყვანდა ახალ თანამშრომლებს, რომელთა შორის უამრავი არაკვალიფიციური მუშაკი აღმოჩნდა. ამან კი მალე მეტად უარყოფითი შედეგი გამოიღო და "ეარბასს" კარგი შანსები მისცა, რაც ევროპულმა კონსორციუმმა მშვენივრად გამოიყენა. "ბოინგს" საკმაოდ სერიოზული პრობლემები შეექმნა და კომპანია კრიზისს აშშ-ს სამხედრო სექტორიდან მიღებულმა დიდძალმა შეკვეთებმა გადაარჩინა. "ბოინგმა" მალე სამოქალაქო ავიაციის სექტორშიც გამოასწორა ვითარება და ახლა აქ უკვე თანაბარი ბრძოლა მიდის.

"ეი380" ერთობ სერიოზული განაცხადია. მისი შექმნა კონსორციუმს 6 მილიარდი სტერლინგი დაუჯდა. მაგრამ დანახარჯი უკვე ამართლებს, თუკი გავითვალისწინებთ, რომ "ეარბასმა" მასზე უკვე 159 შეკვეთა მიიღო 16 ავიაკომპანიისაგან, მათ შორის, "სინგაპურ ეარლაინისგან," რომელიც წლის ბოლოს პირველ რეისს განახორციელებს სიდნეი-სინგაპურ-ლონდონზე.

მაგრამ "ბოინგი" ამ გამოწვევას მშვიდად ხვდება. ამერიკულ კომპანიაში მომავლის განსხვავებული ხედვა აქვთ: აქ მიაჩნით, რომ "ეი380"-ს მსგავს სუპერჯამბოებს არც ისე დიდი პერსპექტივა აქვთ და საბოლოო ჯამში მოგებული ის დარჩება, ვინც აქცენტს უფრო საშუალო ზომის ლაინერებზე გააკეთებს. ამის მიზეზი კი ისაა, რომ "ეი380"-ის მომსახურება მსოფლიო აეროპორტების უმრავლესობას, უბრალოდ, არ ძალუძს.

სწორედ ამიტომ, "ბოინგმა" უკვე შექმნა ახალი "787 დრიმლაინერი," რომელიც მალე გამოჩნდება ბაზარზე. საერთოდ, მიჩნეულ იყო, რომ სუპერჯამბოების მხრივ "ბოინგი" აქამდე თავის ევროპულ კონკურენტს ჯაბნიდა და "ეარბასმაც" "ეი380"-ის სახით ამერიკულ გიგანტს კარგი პასუხი გასცა. თუმცა ჯერ კარგად არავინ იცის, რამდენად იმუშავებს ეს პასუხი: შეიძლება "ბოინგის" სპეციალისტები მართლები აღმოჩნდნენ და "ეი380" მხოლოდ რამდენიმე აეროპორტის მომსახურე ლაინერად დარჩეს, სუპერჯამბოების ძირითადი სეგმენტი კი ისევ ამერიკული კომპანიის ხელთ იყოს. დღეისათვის ეს სეგმენტი გამოკვეთილად "ბოინგის" ხელთაა. ეს წარმატება იმ გარემოებამაც განაპირობა, რომ "ბოინგის 777" საწვავს გაცილებით უფრო ეკონომიურად მოიხმარს, ვიდრე მისი ევროპული კონკურენტი "ეი340," რასაც გაძვირებული ნავთობის პირობებში ყველა ავიაკომპანია დიდ ყურადღებას აქცევს. "ბოინგის" კლიენტების რიცხვი ისეთმა კომპანიებმა შეავსო, როგორიცაა "ქანტასი," "ქეთეი პასიფიკი" და "ემირეიტსი." ამას "ეარბასის" ტრადიციული პარტნიორის, "ეარ კანადას" გადაბირებაც დაემატა.

"787 დრიმლაინერის" კონკურენტად კი (რომელიც, "ბოინგის" სპეციალისტთა აზრით, სუპერჯამბოების ძირითად სეგმენტზე იმუშავებს) "ეარბასის" მხრიდან სამომავლო კონკურენტად "ეი350" მოიაზრება. ამ უკანასკნელის გამოჩენა 2010-2011 წლებშია ნავარაუდევი, მაშინ, როცა "787," ყველაზე გვიან, ორ წელიწადში გამოჩნდება ბაზარზე.

ასე რომ, რომელი კომპანია მიაღწევს წარმატებას, იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელმა გააკეთა სწორი გათვლა და რომელი კლასის ლაინერებს მიანიჭებენ უპირატესობას ავიაკომპანიები და აეროპორტების ოპერატორები. თუკი "ეი380" რამდენიმე აეროპორტს ვერ გასცდა, მაშინ "ბოინგი" კიდევ უფრო დაწინაურდება.

## აშშ-ს ბირჟამ კვირა ზრდით დაასრულა










გასული კვირა ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა ზრდით დასრულდა. ინვესტორთა განწყობაზე დადებითი გავლენა მოახდინა ნავთობის გაიაფებამ, ევროსთან და იაპონურ იენთან მიმართებაში დოლარის კურსის გამყარებამ და დამაიმედებელმა კორპორაციულმა სიახლეებმა. საბოლოოდ, Dow Jones Index-მა 0,14 პროცენტით, 11.144,06 პუნქტამდე მოიმატა. 0,62 პროცენტით გაზრდილმა Nasdaq Index-მა 2.193,88 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index 0,41 პროცენტით, 1.267,03 პუნქტამდე გაიზარდა.

## "ოპეკ-ის კალათის" ფასი ექვსკვირიან მინიმუმამდე დავიდა

პარასკევს ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტორაქტები) ფასების მორიგი კლება დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 68,68 დოლარამდე გაიაფდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 68,53 დოლარი/ბარელი ღირდა.

ნავთობის ფასის კლება განაპირობა ოპეკ-ში ირანის წარმომადგენლის განცხადებამ, რომ კარტელის წევრი ქვეყნები "შავი ოქროს" მოპოვებას არ შეამცირებენ. ამასთან, გამოქვეყნდა ოპეკ-ის გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებლის მუჰამედ ბარკინდოს ინტერვიუ, რომელშიც მან აღნიშნა, რომ ნავთობზე ფასი ზედმეტად გაზრდილია, რაც ბირჟაზე სპეკულაციებს იწვევს და მსოფლიოში რთულ სიტუაციას ქმნის. გარდა ამისა, ნავთობის ფასზე გავლენა მოახდინა დოლარის გამყარებამაც.

შედეგად, უკანასკნელი თითქმის 6 კვირის განმავლობაში პირველად "ოპეკ-ის კალათის" ფასი 63 დოლარი/ბარელს ჩამოცდა და 62,95 დოლარი/ბარელი შეადგინა.

შეგახსენებთ, რომ ტერმინი "ოპეკ-ის კალათა" ოფიციალურად 1987 წლის 1 იანვარს შემოიღეს. 2005 წლიდან მისი ფასი კარტელის წევრი ქვეყნების მიერ მოპოვებული 11 მარკის ნავთობის ღირებულებათა საშუალო არითმეტიკულით განისაზღვრება. ესენი გახლავთ: ალჟირული Saharan Blend, ინდონეზიური Minas, ირანული Iran Heavy, ერაყული Basra Light, კუვეიტური Kuwait Export, ლიბიური Es Sider, ნიგერიული Bonny Light, ყატარული Qatar Marine, Arab Light (საუდის არაბეთი), Murban (არაბეთის გაერთიანებული საემიროები) და ვენესუელური BCF 17.

2005 წლიდან ოპეკ-ის ქვეყნებმა გააუქმეს 1999 წელს ოფიციალურად დადგენილი "კალათის" ოფიციალური დერეფანი 22-28 დოლარი/ბარელი. 2006 წლიდან "ოპეკ-ის კალათის" ფასთა საზღვარი 50 და 60 დოლარი/ბარელით განისაზღვრა. "კალათის" ფასის ისტორიული მაქსიმუმი 68,4 დოლარი/ბარელი 2006 წლის 2 მაისს დაფიქსირდა.

## ძვირფასი ლითონები კვლავ გაიაფდა

გასული კვირის ბოლოს ძვირფას ლითონებზე ფასების კლება დაფიქსირდა. ექსპერტთა ვარაუდით, ამის ძირითადი მიზეზი გაძვირების შემდეგ მოთხოვნილების შემცირება, ნავთობის ფასის კლება და დოლარის კურსის გამყარება იყო. კერძოდ, ნიუ იორკის სასაქონლო ბირჟაზე 1 ტროიანული უნცია (31,1035 გრამი) ოქროს ფასმა 679,1 დოლარი შეადგინა, ვერცხლი 12,52 უნცია/დოლარამდე გაიაფდა, 1 უნცია პლატინა 1279 დოლარი ღირდა, პალადიუმის ფასმა კი 356 უნცია/დოლარი შეადგინა.

## Mitall Steel-მა Arcelor-ის შთანთქმა დაიწყო

მეტალურგიულმა იმპერია Mitall Steel-მა თავისი მთავარი კონკურენტის Arcelor-ის მტრული შთანთქმის პროცესი დაიწყო. მას შემდეგ, რაც დასავლეთევროპული კომპანიის ხელმძღვანელობის და საფრანგეთის, ესპანეთის და ლუქსემბურგის, რომელთა ტერიტორიაზე მეტალურგიული კონცერნის საწარმოებია განლაგებული, მთავრობების წინააღმდეგობას წააწყდა, Mitall Steel-მა პირდაპირ აქციონერებს მიმართა.

ლაკშმი მიტალის კორპორაციამ Arcelor-ის აქციონერებს კომპანიის აქციის Mitall Steel-ის აქციასა და დამატებით თანხაში გაცვლა შესთავაზა. მთლიანობაში, გარიგების ღირებულება 18 მილიარდ ევროს (23,2 მილიარდი დოლარი) შეადგენს, რაც Arcelor-ის საბაზრო ღირებულებაზე ცოტათი ნაკლებია. Arcelor-ის ხელმძღვანელობამ აქციონერებს წინადადებაზე უარის თქმისაკენ მოუწოდა, რადგან მათ კომპანიას და Mitall Steel-ს საერთო სტრატეგიული შეხედულებები და ბიზნეს-ღირებულებები არ გააჩნია." აღსანიშნავია, რომ Mitall Steel-ის მიერ Arcelor-ის შესაძლო შეერთების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისთანავე დასავლეთევროპული კონცერნის აქციებმა 30 პროცენტით მოიმატა.

## ამერიკა ჩინეთზე ზეწოლისათვის ემზადება

აშშ-ს ფინანსთა მინისტრმა ჯონ სტოუმ ჩინეთის ხელისუფლებას იუანის კურსის აწევისაკენ მოუწოდა და, წინააღმდეგ შემთხვევაში, "შეუბრალებელი ზეწოლით" დაემუქრა. მინისტრმა უკმაყოფილება გამოთქვა, რომ იუანის უფრო მოქნილი კურსის მისაღწევად ჩინეთი ფინანსურ რეფორმას ძალზე ნელა ატარებს.

შეგახსენებთ, რომ იუანის ფიქსირებულ გაცვლით კურსზე ჩინეთმა ოფიციალური უარი 2005 წელს განაცხადა და მასთან უზარმაზარი სავაჭრო დეფიციტის მქონე აშშ მიიჩნევს, რომ ჩინეთი თავისი ვალუტის ღირებულებას ხელოვნურად ამცირებს, რათა ექსპორტი იაფი და მიმზიდველი გახადოს. ამერიკის ფინანსთა მინისტრის აზრით, იუანი რეალურ ღირებულებასთან შედარებით 40 პროცენტით ნაკლები ღირს.

მიმდინარე წლის მაისის დასაწყისში ამერიკის მიერ იმპორტზე სანქციის დაწესებით დამუქრების შემდეგ ჩინეთმა იუანის რეალურ საბაზრო ღირებულებასთან მიახლოების ვალდებულება აიღო. 11 მაისს ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ ჩინეთს ვალუტის კურსით მანიპულირებად ქვეყნად აღარ განიხილავს, მაგრამ მას შემდეგ იუანის კურსი დოლართან მიმართებაში მხოლოდ 3 პროცენტით გაიზარდა.

## "შაჰდენიზის" გაზსადენის ამუშავება 2006 წლის მთავარი პრიორიტეტია

"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა" და "შაჰდენიზის" პროექტები დასასრულს უახლოვდება. "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" მილსადენის პროექტის განხორციელებაზე 3,6 მილიარდი დოლარი დაიხარჯა," - აცხადებს კომპანია "ბრითიშ-პეტროლიუმის" მენეჯერი რიბ დიგინგსი. მისივე თქმით, პირველი ნავთობი ტანკერებში მაისის ბოლოს ან ივნისის დასაწყისში ჩაიტვირთება. მისივე განცხადებით, "ბრიტიშ პეტროლიუმისა" და მისი პარტნიორებისათვის 2006 წლის მთავარი პრიორიტეტი "შაჰდენიზის" გაზსადენის ამუშავებაა, რომლის მშენებლობაც, ფაქტობრივად, დასრულდა. აღნიშნული გაზსადენიდან საქართველო ყოველწლიურად, გაზის ტრანზიტის საფასურის სახით, 300 მილიონ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს მიიღებს. 500 მილიონ კუბურ მეტრ გაზს კი ის შეღავათიან ფასში მიიღებს. რიბ დიგინგსის განცხადებით, საქართველოს "შაჰდენიზის" გაზი მიმდინარე წლის სექტემბერში მიეწოდება. პირველ წელს ქვეყანა 200 მილიონ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს მიიღებს, რაც 3 წელიწადში 800 მილიონ კუბურ მეტრამდე გაიზრდება. მისივე აზრით, "შაჰდენიზისა" და "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" პროექტების განხორციელება, რომლებიც გლობალური მნიშვნელობის პროექტებია, საქართველოსთვის დიდი რეკლამაა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ამერიკელი ბიზნესმენები ინვესტიციების განხორციელებას აპირებენ

15 ამერიკული კომპანია საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორით დაინტერესდა. საქართველოში აშშ-ს სავაჭრო პალატის წარმომადგენლობის ინფორმაციით, სწორედ ამ ფირმების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ საქართველოში 15-19 მაისს. მათი ვიზიტის მიზეზი სოფლის მეურნეობის სექტორისთვის ინვესტირების განხორციელებაში დახმარების გაწევა იყო.

აშშ-ს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის საგარეო ურთიერთობათა სამსახურის მიერ დაფინანსებულ სავაჭრო და საინვესტიციო მისიას გაყიდვების სამსახურის მთავარი მენეჯერი კერკ მილერი ხელმძღვანელობდა.

მისიის წევრები ვიზიტის ფარგლებში 100-მდე ქართველ ბიზნესმენს შეხვდნენ. ზოგიერთმა ამერიკულმა კომპანიამ თავის პოტენციურ ქართველ პარტნიორთან ბიზნეს-ურთიერთობა უკვე დაამყარა. **მედიანიუსი**

## რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად აუქციონი გაიმართება

საქართველოში 1950-1965, 2140-2155 და 2010-2015 მეგაჰერც სიხშირულ დიაპაზონში რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მიღების სურვილს ორი ადგილობრივი კომპანია და ერთი უცხოელი ფიზიკური პირი გამოთქვამენ.

როგორც "მედიანიუსს" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული მარეგულირებელი კომისიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში უთხრეს, ეს კომპანიებია - შპს "ჯეოსელი" და შპს "ტელეკომინვესტ საქართველო", ფიზიკური პირი კი იტალიის მოქალაქე ანჯიოლო ბელინია.

გამარჯვებული კომპანია ან ფიზიკური პირი საკომუნიკაციო მომსახურებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გასწევს. ლაპარაკია მესამე თაობის მობილურების საკომუნიკაციო მომსახურებაზე. რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის საწყისი ფასია 8 მილიონ 491 ათას 392 ლარი. აუქციონი ლიცენზიის მოსაპოვებლად კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში 23 მაისს ჩატარდება. **მედიანიუსი**

## ბოლნისის მოსახლეობის ინდივიდუალური გამრიცხველიანება მაისის ბოლოს დასრულდება

საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" (სგსე) ქალაქ ბოლნისის მოსახლეობის ინდივიდუალურ გამრიცხველიანებას მაისის ბოლოს დაასრულებს.

როგორც სგსე-ს ქვემო ქართლის ფილიალის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურში განაცხადეს, ინდივიდუალური მრიცხველი ბოლნისის 2 400 აბონენტს უკვე დაუმონტაჟდა. თვის ბოლომდე კი ინდივიდუალური მრიცხველი 3 000 აბონენტს ექნება.

ბოლნისის რაიონის გამგეობისა და სგსე-ს ერთობლივი პროექტის ფარგლებში, ქალაქ ბოლნისის ინდივიდუალური გამრიცხველიანება გასული წლის დეკემბერში დაიწყო. აღნიშნული პროექტის ღირებულება 420 000 ლარს შეადგენს.

მომავალში ინდივიდუალური გამრიცხველიანება ქალაქ ბოლნისის მიმდებარე რაიონებშიც იგეგმება, რაც ეტაპობრივად განხორციელდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ამინდი

| | 22/05 | 23/05 | 24/05 |
|---|---|---|---|
| კიევი | 25 | 23 | 28 |
| რიგა | 18 | 22 | 15 |
| ვილნიუსი | 19 | 20 | 16 |
| მოსკოვი | 15 | 23 | 21 |
| მინსკი | 21 | 22 | 13 |
| პარიზი | 15 | 13 | 10 |
| რომი | 30 | 28 | 26 |
| ლონდონი | 11 | 11 | 11 |
| მადრიდი | 20 | 22 | 27 |
| ბონი | 16 | 13 | 13 |
| ვარშავა | 22 | 20 | 22 |
| ათენა | 30 | 32 | 32 |
| ბერნი | 17 | 15 | 21 |
| ამსტერდამი | 12 | 8 | 9 |
| ოსლო | 8 | 11 | 11 |
| ანკარა | 31 | 30 | 30 |
| ვარნა | 30 | 27 | 27 |
| დელი | 47 | 48 | 47 |
| ტოკიო | 23 | 22 | 23 |
| კოპენჰაგენი | 8 | 8 | 8 |
| ბაქო | 27 | 26 | 26 |
| ერევანი | 28 | 29 | 28 |
| ასტანა | 17 | 23 | 23 |
| ჰელსინკი | 17 | 19 | 4 |
| დუბლინი | 6 | 7 | 6 |
| ლისაბონი | 30 | 22 | 21 |
| პრაღა | 22 | 13 | 16 |
| სოფია | 27 | 31 | 33 |
| ბუდაპეშტი | 26 | 27 | 18 |
| ბუხარესტი | 34 | 35 | 36 |

# ბიზნესინკუბაცია - მცირე ბიზნესის განვითარების ეფექტური ტექნოლოგია

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში გატარებულმა ეკონომიკურმა და ადმინისტრაციულმა რეფორმებმა მკვეთრად გაზარდა უმუშევართა რიცხვი. უმუშევრობის დონის კიდევ უფრო ზრდაა მოსალოდნელი განათლებისა და მეცნიერების სფეროში გატარებული და გასატარებელი რეფორმების შედეგად. ასეთ ვითარებაში სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, ხელი შეუწყოს მეწარმეობის განვითარებას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. ხელისუფლების ძირითადად წარმატებული საპრივატიზაციო კამპანიის მიუხედავად, შესამჩნევი გარდატეხა უმუშევრობის შემცირების საქმეში მხოლოდ მცირე ბიზნესის განვითარებას შეუძლია. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ ძირითად მაჩვენებლად ითვლება მცირე ბიზნესის წვლილი მთლიან შიდა პროდუქტში. მაგალითისათვის, 90-იანი წლების ბოლოსათვის პოლონეთს, თავისუფალი ბაზრის არსებობის მხოლოდ 10 წლის შემდეგ, 2 მილიონი მცირე საწარმო ჰქონდა, რომელიც მშპ-ს 30 პროცენტს გამოიმუშავებდა. ამავე დროს, ყაზახეთს გააჩნდა მხოლოდ 52 ათასი მცირე საწარმო, მშპ-ს 7.7 პროცენტით. სწრაფად განვითარებად ქვეყნებში კერძო მცირე საწარმოები შეადგენენ საწარმოთა მთლიანი რიცხვის 99 პროცენტს, დასაქმებული ჰყავთ მომუშავეთა მთლიანი რაოდენობის 50 პროცენტი და გამოიმუშავებენ მსუბუქი მრეწველობის დარგში შექმნილი დამატებითი ღირებულების 30-40 პროცენტს.

მიმდინარე სიტუაციაში საქართველოში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მცირე ბიზნესის პირდაპირი მხარდაჭერის მექანიზმების განვითარებას. ამ მექანიზმებს შეუძლიათ დააჩქარონ ქართული მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ზრდა ტექნოლოგიების კომერციალიზაციის და ინოვაციური მეწარმეობის წახალისების ხარჯზე. ასეთ მექანიზმებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტურია ბიზნესინკუბაცია, რომელიც მთელ მსოფლიოში სწრაფად ვითარდება. ქვემოთ მოცემულ სქემაზე ნაჩვენებია ინოვაციური მცირე ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი გარემო და მასში ბიზნესინკუბაციის ადგილი.




ბიზნესინკუბაციის ტექნოლოგიებმა განვითარება დაიწყო დაახლოებით 40 წლის წინ, როგორც ტექნოლოგიების კომერციალიზაციის, ურბანული და რეგიონული ეკონომიკური განვითარების ეფექტურმა ინსტრუმენტმა. განვლილ პერიოდში იგი გადაიქცა მძლავრ ინდუსტრიად მცირე ბიზნესის განვითარების სერვისების სფეროში. ამჟამად მსოფლიოში 5000-ზე მეტი ბიზნესინკუბატორია და თითქმის ყოველდღე ხდება ახალი ინკუბატორის დაარსება. მსოფლიოს ყველა განვითარებულ ქვეყანასა და განვითარებადი ქვეყნების უმეტესობაში შექმნილია ბიზნესინკუბატორთა ასოციაციები. დღის წესრიგში დგას გლობალური ქსელის ჩამოყალიბება, რომელიც შესაძლებელს გახდის არსებული გამოცდილების გაზიარებას და ინტენსიური საერთაშორისო კონტაქტების დამყარებას ინკუბატორებსა და მათ კლიენტებს შორის.

ბიზნესინკუბატორი, პრაქტიკულად, ეფუძნება ინკუბაციის პრინციპის გამოყენებას მცირე ბიზნესის განვითარების სფეროში. ეს პრინციპი ითვალისწინებს ბიზნესისათვის ხელშეწყობას მისთვის ყველაზე სახიფათო, საწყის ეტაპზე. ხელშეწყობაში იგულისხმება არა რაიმე სახის შეღავათები, არამედ მზარდი კომპანიების საჭიროებებზე მორგებული მენეჯმენტის, ტექნიკური დახმარებისა და საკონსულტაციო სერვისების არსებობა ერთ შენობაში. ამის გარდა, როგორც წესი, ინკუბატორები კლიენტ ფირმებს დამატებით ეხმარებიან ხელმისაწვდომი საოფისე ფართითა და მოქნილი საიჯარო პოლიტიკით, საერთო სარგებლობის ბიზნესსერვისებითა და აღჭურვილობით. ზოგიერთ შემთხვევაში მათ ასევე ტექნოლოგიური მხარდაჭერის აღმოჩენა შეუძლიათ და კომპანიებს ზრდისათვის აუცილებელი ფინანსური სახსრების მოპოვებაში ეხმარებიან.

ბიზნესის განვითარების სხვა ინსტრუმენტებთან (მაგალითად, ბიზნესსაკონსულტაციო ცენტრები) შედარებით ბიზნესინკუბატორი ფლობს მთელ რიგ ისეთ უპირატესობებს, როგორიცაა მაღალი ზრდის პოტენციალის მქონე კლიენტების ფრთხილი შერჩევა, ფოკუსირებული და ბიზნესის საჭიროებებზე მორგებული სერვისები, ფინანსური მდგრადობის მიღწევის, კლიენტზე მუდმივი დაკვირვებისა და "წვრთნის" შესაძლებლობა, საერთაშორისო ქსელი და ცოდნის მიმოცვლის საშუალება. ბიზნესინკუბატორში ასევე მიიღწევა სინერგიული ეფექტი მრავალი მცირე ბიზნესის ერთ ჭერქვეშ ყოფნით და გამოცდილების გაზიარებით.

ბიზნესინკუბატორების ეფექტურობა განსაკუთრებით მაღალია ინოვაციების და ტექნოლოგიების კომერციალიზაციის სფეროში. უმეტეს შემთხვევაში, ახალი იდეების მქონე და ინოვაციური ტექნოლოგიების შემქმნელ ინჟინრებსა და მეცნიერებს ნაკლები წარმოდგენა აქვთ მარკეტინგზე, ფინანსური და ადამიანური რესურსების მართვაზე და არ გააჩნიათ ბიზნესკონტაქტები. ეს ვითარება უფრო მაღალი ხარისხითაა გამოხატული პოსტსაბჭოთა სივრცეში და, რა თქმა უნდა, საქართველოშიც, რაც კრიტიკულად ზრდის ახალი ტექნოლოგიური ბიზნესის წარუმატებლობის შანსს. ბიზნესინკუბატორი ამგვარ ვითარებაში თამაშობს მძლავრი კატალიზატორის როლს და დიდად ზრდის ბიზნესის გადარჩენის ალბათობას.

ყოველივე ზემოთ ნათქვამს კარგად ასაბუთებს ამერიკის ბიზნესინკუბატორთა ასოციაციის კვლევის ზოგირთი შედეგის მოყვანა.

■ ყოველი 1 დოლარის სახელმწიფო ინვესტიცია ბიზნესინკუბატორში 30 დოლარს ბიუჯეტში აბრუნებს მხოლოდ ინკუბატორის კლიენტი კომპანიების მიერ გადახდილი გადასახადების სახით.

■ ინკუბატორიდან გამოსული კომპანიების 84 პროცენტი ბიზნესში რჩება, მაშინ, როცა ინკუბატორის გარეთ მცირე ბიზნესის გადარჩენის ალბათობა 20 პროცენტს არ აჭარბებს.

■ საჯარო სახსრებით დაფინანსებული ინკუბატორები ქმნიან ერთ სამუშაო ადგილს დაახლოებით 1100 დოლარის ფასად, მაშინ, როცა სხვა საჯარო დაფინანსების მექანიზმებს ამისათვის 10.000 დოლარი სჭირდებათ.

ბიზნესინკუბატორების განვითარებას საქართველოში აქვს პოტენციალი, გახდეს მცირე ბიზნესის განვითარების მძლავრი ინსტრუმენტი და მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ქვეყანაში ინოვაციური და კონკურენტუნარიანი მცირე ბიზნესის განვითარებაში. ამ ძალზე საჭირო მიმართულებით ჩატარებულია მნიშვნელოვანი სამუშაო, რომლის შესახებაც შემდგომ სტატიაში იქნება საუბარი.

*ვაჟა გოგინაშვილი*
*პროექტის მენეჯერი*
*"ბიზნეს ინკუბაციის ინიციატივა საქართველოში"*
*(www.bii.ge)*

## რუსეთში მობილური ტელეფონების რაოდენობა მოქალაქეთა რაოდენობას გადააჭარბებს

მობილური ტელეფონების ბაზარი რუსეთში მნიშვნელოვანი ტემპებით იზრდება და ამას უკვე აღნიშნავენ საერთაშორისო ანალიტიკოსები.

ექსპერტების აზრით, მიმდინარე წლის ზაფხულის ბოლოს მობილური ტელეფონების მფლობელების რაოდენობა რუსეთის მოქალაქეთა რაოდენობას გადააჭარბებს.

მიმდინარე წლის აპრილის ბოლოსთვის რუსეთში ფიჭური კავშირგაბმულობის აბონენტთა რაოდენობამ 132 მილიონი შეადგინა.

აგვისტოს ბოლოსთვის ეს ციფრი რუსეთის მოქალაქეთა ციფრს გაუტოლდება. მიიჩნევენ უცხოელი ექსპერტები.

თეორიულად ეს ნიშნავს იმას, რომ მობილური ტელეფონი რუსეთში ექნება ძუძუთა ბავშვებსა და ღრმად მოხუცებს. რუსი ანალიტიკოსები არ ეთანხმებიან ამ აზრს და მიიჩნევენ, რომ რუსეთში მობილური ტელეფონების ბაზარი სრული დატვირთვისაგან ჯერ კიდევ შორსაა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## კომუნისტური ეპოქიდან ეროვნულ ბანკს 65 კგ ოქრო შემორჩა

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, ჯერ კიდევ კომუნისტური ეპოქიდან ეროვნულ ბანკს 65 კგ ოქრო შემორჩა, რომლის ღირებულება 2 მილიონი ლარია. ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, რომან გოცირიძის განცხადებით, ოქროს მონეტების გამოსაშვებად გამოიყენებენ. "ძვირფასი ლითონების მონეტებად გამოშვებით კი სახელმწიფოს სერიოზულ შემოსავალს მიიღებს," - განაცხადა გოცირიძემ მისივე თქმით, მაისის ბოლოსთვის ოქროს მონეტები გამოვა, რომელთა წონა 350 გრამი იქნება და შესაბამის ფასად გაიყიდება. "ეს ჩვენი ქვეყნის პოპულარიზაციისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება. მას როგორც თანამემამულეები, ასევე უცხოელებიც შეიძენენ. მთელს მსოფლიოს დავანახებთ, რომ ოქროს წარმოება ჩვენ ვასწავლეთ. სწორედ ამიტომ, მონეტაზე ოქროს საწმისი იქნება გამოსახული," - განაცხადა გოცირიძემ. **ჯი-ეიჩ-ენი**

## დიდი ბრიტანეთის სამეფო ზარაფხანა ორი ლარის ნომინალის მონეტებს ამზადებს

დიდი ბრიტანეთის სამეფო ზარაფხანა ორი ლარის ნომინალის მონეტებს ამზადებს. როგორც საქართველოს ეროვნულ ბანკში აცხადებენ, ორი ლარის ნომინალის მონეტებს მიმოქცევაში გასაშვებად საქართველოში 2006 წლის მეორე ნახევარში ჩამოიტანენ. მათივე ინფორმაციით, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე ამჟამად ლონდონში იმყოფება და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ყოველწლიურ შეკრებაში მონაწილეობას მიიღებს. ვიზიტის ფარგლებში, რომან გოცირიძე ეწვევა ბრიტანეთის სამეფო ზარაფხანას, სადაც ამჟამად მზადდება ორი ლარის ნომინალის მონეტები, და სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნობა. სამეფო ზარაფხანა, როგორც მთავრობის დეპარტამენტი, გაერთიანებულ სამეფოში წარმოადგენს მონეტების მოჭრაზე პასუხისმგებელ სტრუქტურას. მისი მომსახურებით 100-ზე მეტი ქვეყანა სარგებლობს. ეს ციფრი ზარაფხანის საერთაშორისო იმიჯს უსვამს ხაზს, ხოლო ისტორია ათასზე მეტ წელს ითვლის და უკავშირდება ანგლოსაქსების მიერ ლონდონსა და სამხრეთ უელსში პირველი ზარაფხანის დაარსების პერიოდს. **ჯი-ეიჩ-ენი**

# GRDC-მა ულტრათანამედროვე კინოსტუდიის პრეზენტაცია გამართა

პირველი გვერდიდან

GRDC-ი ქართველ კინემატოგრაფებს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის მნიშვნელოვან საშუალებას სთავაზობს. ძველი კინოსტუდიის ნაცვლად, სადაც წლების განმავლობაში ფილმის გადაღების არანაირი პირობა არ არსებობდა, დიღომში აშენდა ახალი, თანამედროვე ტიპის კინოპავილიონი, სადაც ქართველი კინემატოგრაფები უკეთ შეძლებენ საკუთარი შემოქმედებითი ხედვის რეალიზებას. შეიქმნა ბაზა იმისათვის, რომ ჩამოვიდნენ ევროპელი თუ ამერიკელი კინორეჟისორები და საქართველოში შექმნან კინოპროდუქცია.

ახალი კინოპავილიონი იმ დიდი პროექტის - "კინოქალაქის" ნაწილია, რომლის განხორციელება GRDC-მა დაიწყო და მშენებლობა 2007 წლის ბოლოს დასრულდება. ძველი კინოსტუდიის ტერიტორია მალე კულტურულ-გასართობ ცენტრად იქცევა და თბილისელები ევროპული ტიპის "კინოქალაქით" იამაყებენ.

პრეზენტაციას კინემატოგრაფებთან, რეჟისორებთან და მსახიობებთან ერთად, ხელისუფლების წარმომადგენლებიც დაესწრნენ.

პრეზენტაციის დასასრულს სახელმწიფოსა და GRDC-ს შორის ხელი მოეწერა საბოლოო შეთანხმებას, რომელიც ერთობლივი საწარმოს - სააქციო საზოგადოება "კინოქალაქის" შექმნას ითვალისწინებს.

"თიბისი ჯგუფის" პრეზიდენტი მამუკა ხაზარაძე: "ეს არის კერძო კინოსტუდია, რომელშიც იმუშავებენ ქართველი რეჟისორები - თემურ ბაბლუანი, ბუბა ხოტივარი და სხვები. ძალიან მნიშვნელოვანია ბატონი თემურის იდეა, რომ აქ გაკეთდეს უფასო კინოსკოლა ახალგაზრდა ქართველი სტუდენტებისთვის, სადაც მომავალი კინემატოგრაფისტები გაიზრდებიან. აქ იქნება ყველა საშუალება იმისათვის, რომ გაკეთდეს ევროპული დონის კინო."




*ბობ მაიერი.*

"14 წელია, მამუკა ხაზარაძის პარტნიორი ვარ. ჩვენ რამდენიმე სერიოზულ საქმეს ერთად ვაკეთებთ. ამ შემთხვევაშიც ერთად ვასპონსორებთ ამ პროექტს. მე ძალიან მიყვარს კინო და ბედნიერი ვარ, რომ ამ პროექტში ვიღებ მონაწილეობას." განაცხადა GRDC-ის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ბობ მეიერმა.

"მოხდა ორი უმნიშვნელოვანესი მოვლენა: ერთი - გაიხსნა ახალი კინოსტუდია, და მეორე - სახელმწიფოსა და ჩვენს კომპანიას შორის ხელი მოეწერა სააქციო საზოგადოება კინოქალაქის შექმნის შესახებ კონტრაქტს. კინოსტუდია აშენდა ჩვენი კომპანიის მიერ, რვა თვის განმავლობაში მიმდინარეობდა მშენებლობა. აქ შეიძლება ნებისმიერი დონის ევროპული და ამერიკული ფილმის გადაღება. არის ხმაგაუმტარი კედლები, სამონტაჟოები, გასახმოვანებელი ოთახი. უკვე არის კონკრეტული შემოთავაზებები თემურ და გელა ბაბლუანებისგან. გარკვეული სურვილები არსებობს ამერიკული კინოსტუდიებისაგან, რომ აქ გადაიღონ ფილმები. უკვე არსებობს ევროპული დონის კინოსტუდია," - განაცხადა "კინოქალაქის" პროექტის დირექტორმა ლადო იმნაიშვილმა.

ქალაქის მერი გიგი უგულავა: "ამ კინოსტუდიის პირდაპირი დანიშნულებაა, კარგი ფილმი მოუტანოს ქართულ კინემატოგრაფიას. პავილიონის და სამონტაჟო სტუდიის ხარისხი კინოსტუდიის ევროპულ დონეზე მეტყველებს. მერიამ კინოსტუდიისკენ მოსასვლელი გზა გააკეთა და მთელი ეს მონაკვეთი განავითარა. ამ უბნის მიმართულება შეიცვლება და ცივილურ ფორმას მიიღებს."

თემურ ბაბლუანი: "ეს კინოსტუდია ახალ პროექტებს მოგვიტანს, ახალ ფილმებს, და საქართველოში კინოცხოვრება ადგილიდან დაიძრება. კინოსტუდიის აშენება მეტყველებს იმაზე, რომ ქართული კინო გაცოცხლდა."

"GRDC-მა და "ქართულმა ფილმმა", რომლის ორ მესამედს სახელმწიფო ფლობს, და თავად სახელმწიფომ, სამინისტროს სახით, ხელი მოაწერეს მემორანდუმს, რომლის მიხედვითაც კინოქალაქის სააქციო საზოგადოება დაფუძნდება. საზოგადოება კინოსტუდიის ტერიტორიაზე კინოქალაქის უბანს გააშენებს. საქართველოში აღდგება ფილმწარმოება ისე, როგორც ჩვენს ქვეყანას ეკადრება," - განაცხადა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გოკა გაბაშვილმა.

24 საათი C

© გაზეთი 24 საათი

# სპორტი

თქვენი რეკლამა
"სპორტში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86

გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:

ატლანტი
უსაფრთხოების სამსახური

ორი კატასტროფა
სლოვაკეთში



C2

ანრი -
მარად არსენალელი



C3

"მკვლელი ჩვილის იერით"
ჩემპიონად დარჩა



C4



სულ მალე დაიწყება წლის
მთავარი სპორტული
მოვლენა - მსოფლიო
ჩემპიონატი ფეხბურთში

საზოგადოებრივი არხი და გადაცემა "არენა" ცხრიდან თოთხმეტი წლის ჩათვლით ასაკის ბავშვებს დიდ სპორტულ ვიქტორინაში მონაწილეობის მიღებას სთავაზობს, რომელიც ჩემპიონატამდე სამი კვირით ადრე, 15 მაისს დაიწყება.

ვიქტორინაში გამარჯვებული ბავშვები ფეხბურთის ბურთებით დასაჩუქრდებიან და ასევე გამოვლინდება კვირის საუკეთესო კომენტატორი.

გამარჯვებულებს შეარჩევს კომპეტენტური ჟიური, რომელიც სპორტული ჟურნალისტებითა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებით იქნება დაკომპლექტებული.

სამი გამარჯვებული ბავშვი მსოფლიო ჩემპიონატის შემაჯამებელ გადაცემაში მიიღებს მონაწილეობას. მათ აგრეთვე საჩუქრად გადაეცემათ დვდ-პლეიერები და საზოგადოებრივი არხის პროდუქცია დვდ-დისკებზე.

პირველ ადგილზე გასული ბავშვი დასაჩუქრდება ორკაციანი საგზურით ურეკში, სასტუმრო "კოლხიდაში."

მიიღეთ მონაწილეობა ვიქტორინაში!
უყურეთ ფეხბურთს!
უყურეთ პირველს!

დამატებითი ინფორმაციისთვის
დარეკეთ:

| | |
|---|---|
| საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება: | 21 33 67 |
| სარეკლამო სამსახური: | 21 33 54, 33 23 11 |
| სპორტული რედაქცია: | 33 17 15 |




## ჩემპიონის დაბადება

"თბილავიამშენი" საქართველოს ჩემპიონია!

| | |
|---|---|
| "თბილავიამშენი" | 74 |
| "აზოტი" | 54 |

(სერიის ანგარიში 3:2)

ორი წელია, რაც "თბილავიამშენი" შეიქმნა, მაგრამ საქართველოს ჩემპიონობა მოასწრო. გუნდმა შარშანდელი ფინალური სერიიდან სწორი დასკვნები გააკეთა და პრაქტიკულად შანსი არ დაუტოვა რუსთავის "აზოტს", რომელმაც თავისი არსებობის ისტორიაში მეოთხე ფინალი წააგო და "მუდმივად მეორის" უიღბლო სახელი დაიმკვიდრა.

შანსი არ დაუტოვაო, როცა ვამბობთ, ვითვალისწინებთ იმ მდგომარეობას, რომ რუსთავში გახელებული გულშემატკივრების ქმედების ფონზე "თბილავიამშენს" გამარჯვების უფლება პრაქტიკულად არ ჰქონდა (როცა ტრიბუნებიდან სკამებს და ბოთლებს დაგიშენენ, იქ მოგებაზე პრეტენზიის გამოცხადება ცოტა ძნელია). სწორედ ამიტომ გახდა საჭირო მეხუთე მატჩი, რომელიც თბილისელებმა დიდი უპირატესობით მოიგეს - 74:54.

კაცმა რომ თქვას, ფინალური სერიის მეხუთე შეხვედრაში ძირითადი ბრძოლა პირველ ტაიმში გაჩაღდა, როცა რუსთაველები ცდილობდნენ კომბინაციური თამაშით არ ჩამორჩენოდნენ მეტოქეს. მესამე მეოთხედიდან კი თანდათან თვალსაჩინო გახდა "თბილავიამშენის" უპირატესობა და მატჩის ბოლოსთვის უკვე ეჭვს აღარ იწვევდა, რომ საქართველოს ჩემპიონი სწორედ ლევან მოსეშვილის გუნდი გახდებოდა.

გამარჯვებულთა შორის საუკეთესოდ წარმოჩინდნენ კოტე ტუღუში (17 ქულა) და ირაკლი ხოშტარია, რომელიც 22 ქულით მატჩის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე გახდა.

ამ კალათბურთელებმა განსაკუთრებით შედეგიანად ჩაატარეს მატჩის უკანასკნელი მეოთხედი, როცა თამაშის ბედი წყდებოდა. "თბილავიამშენი" უაღრესად გონივრულად თამაშობდა დაცვაში და სწრაფ შეტევებს ახორციელებდა. მეოთხე მეოთხედში თბილისელებმა მეტოქეს მხოლოდ 7 ქულა ჩააგდებინეს, რითაც პრაქტიკულად მოიპოვეს კიდეც გამარჯვება.

რუსთაველთა ლიდერები გოგობერიშვილი და ბაბიაშვილი ინერტულად მოქმედებდნენ და თამაშზე სერიოზული გავლენის მოხდენა ვერ შეძლეს. ამან საშინლად გააღიზიანა რუსთაველი გულშემატკივრები, რომლებიც მატჩის ბოლოს ტრიბუნებიდან სკამების სროლასაც არ ერიდებოდნენ. ალბათ საქართველოს კალათბურთის ფედერაცია იმსჯელებს ამ საკითხზე. იმედია, მომავალში "აზოტის" მონაწილეობით თამაშები უფრო უსაფრთხოდ ჩაივლის.



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

## კოკაის დადებითი ბალანსი

დასრულდა მაისის ბაშო. ქართველ სუმოისტ ლევან ცაგურიას ბოლო ბრძოლის წინ უკვე რვა გამარჯვება და დადებითი ბალანსი გარანტირებული ჰქონდა. ბაშოს ბოლო დღეს კოკაი პირველ მაიგეშირა კისენოსატოსთან დამარცხდა. საბოლოოდ ჩვენებურს 8 გამარჯვება და 7 მარცხი დაუგროვდა, რაც ურიგო შედეგი არ უნდა იყოს. სავარაუდოა, რომ რეიტინგში, რომელიც ცოტა ხანში გამოქვეყნდება, კოკაი რანგით უფრო მაღლა აიწევს.

## მოურინიოს "არსენალი" შეეცოდა

გასულ ოთხშაბათს, ისევე როგორც ფეხბურთის ყველა მოყვარული, "ჩელსის" მთავარი მწვრთნელი ჟოზე მოურინიოც ჩემპიონთა ლიგის ფინალს ადევნებდა თვალყურს. მომხდართან დაკავშირებით "არისტოკრატთა" პორტუგალიელმა თავკაცმაც დააფიქსირა საკუთარი პოზიცია.

"მაინტერესებდა თუ ვინ გაიმარჯვებდა და, რა თქმა უნდა, მატჩს ვუყურე. თუმცა არც ერთ გუნდს არ ვქომაგობდი. მინდოდა კარგი ფეხბურთი მენახა და ეს სურვილი ნაწილობრივ ავისრულე. თუმცა მატჩის მიწურულს რატომღაც "არსენალის" გულშემატკივრობა დავიწყე და ძალიან მეწყინა "მეთოფეთა" მარცხი. ვენგერის შეგირდებმა ბრწყინვალედ ითამაშეს. გული დამწყდა, რომ დამარცხდნენ. არა მგონია, რომელიმე გუნდს ანალოგიურ პირობებში უკეთ ეთამაშა. ვფიქრობ, ინგლისურმა ფეხბურთმა უნდა იამაყოს "არსენალით". შესაძლოა არც კი დაიჯეროთ ის, რასაც ახლა ვიტყვი, მაგრამ მერწმუნეთ, ეს სრული სიმართლე იქნება. ვენგერი იმსახურებს ჩემპიონთა ლიგის მოგებას. მან უდიდესი წვლილი შეიტანა მთლიანად ფეხბურთის განვითარებაში. უბრალოდ, ვენგერს არ უმართლებს. ჩემპიონთა ლიგა მოგებული აქვთ ევროპის საუკეთესო მწვრთნელებს - ლიპის, კაპელოს, ანჩელოტის, რაიკაარდს, მე, ფერგიუსონს, ბენიტესს, დელ ბოსკეს. რატომ არ უნდა იყოს არსენ ვენგერი ამ ტურნირის გამარჯვებული? ის ამას იმსახურებს და მთელი გულით თანავუგრძნობ," - აცხადებს მოურინიო.

## ბექჰემი თანაგუნდელებს გაუმასპინძლდება

მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე დევიდ ბექჰემი საკუთარ მამულში გრანდიოზული წვეულების მოწყობას აპირებს, რომელზეც ინგლისის ნაკრების ფეხბურთელებს მიიწვევს. სააგენტო ბი ბი სის ცნობით, კარნავალზე ფეხბურთელების გარდა უამრავი ცნობილი სტუმარი იქნება, მათ შორის შოუბიზნესის ვარსკვლავებიც. ღონისძიება გაიმართება ჰარტფორდშირის საგრაფოში, სადაც ბექჰემს აქვს მამული, რომელიც ჟურნალისტებმა დიდი ხნის წინ "ბექჰემგენის სასახლედ" მონათლეს. დევიდი 500 ადამიანს უმასპინძლებს. მათ შორის ორმა საქველმოქმედო აუქციონზე შეიძინა მოსაწვევი 103 000 გირვანქა სტერლინგად. სტუმრებს სიმღერით გაართობენ ცნობილი ვარსკვლავები ჯეიმს ბრაუნი და რობინ უილიამსი. საღამოს კულმინაცია იქნება 33 წლის დიტა ფონ ტეზის გამოსვლა (ეს ქალბატონი მომღერალ მერლინ მენსონის ცოლია). დიტა ცნობილია ექსტრავაგანტური შოუების მოწყობით, რომელშიც სტრიპტიზის ელემენტებიც არის.

## გერმანულ ლუდთან ერთად ღვინოც აკრძალეს

მოგეხსენებათ, მსოფლიო ჩემპიონატის ოფიციალური სპონსორია ლუდის მწარმოებელი ამერიკული კომპანია. ამიტომ მატჩების მსვლელობისას გურმანული ლუდის გაყიდვა შეიზღუდება. ამავე დროს მაინის ფრანკფურტში კიდევ ერთ ალკოჰოლურ სასმელს აკრძალავენ. საქმე ისაა, რომ ამ რეგიონში ვაშლის ღვინო ნაციონალური სასმელია და იქაურები მას ლუდზე მეტად აფასებენ, თუმცა, სპონსორების მოთხოვნით, მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობისას ფრანკფურტში, სტადიონის შემოგარენში, ამ სასმელსაც აკრძალავენ.

## უეფამ რივერსაიდელები დააჯილდოვა

უეფამ დააჯილდოვა ინგლისურ კლუბ "მიდლსბროს" ფანები უეფას თასის ფინალურ მატჩზე ღირსეულად მოქცევის გამო. უეფას აღმასრულებელმა დირექტორმა ლარს კრისტერ ოლსენმა რივერსაიდული კლუბის პრეზიდენტს მისწერა წერილი, რომელშიც ნათქვამია: "თქვენ უნდა ამაყობდეთ საკუთარი გულშემატკივრებით, რომ მატჩი ყოველგვარი ალიაქოთის გარეშე დასრულდა. დიდ მადლობას ვუხდი თითოეულ მათგანს ღირსეული საქციელისთვის".

## ფერნანდო ტორესმა ინგლისისკენ გაიხედა

მადრიდის "ატლეტიკოს" ლიდერმა ფერნანდო ტორესმა აღიარა, რომ მომავალი მუნდიალი მისთვის რეალური შანსია, რათა წამყვან ინგლისურ კლუბებს მოაწონოს თავი. "უკვე ხუთი წელია, რაც ჩემს ტრანსფერზე ჭორაობენ. ახლა მთლიანად მსოფლიო ჩემპიონატზე ვარ კონცენტრირებული, თუმცა მუნდიალის შემდეგ კლუბის შეცვლაზე აუცილებლად დავფიქრდები. მინდა ინგლისში გავაგრძელო კარიერა", - აცხადებს ფერნანდო ტორესი.

შეგახსენებთ, რომ ესპანელი ფეხბურთელის შეძენის სურვილი უკვე გამოთქვეს "არსენალმა", "მანჩესტერმა", "ტოტენჰემმა" და "ჩელსიმ".

## ლიპის და "ინტერსაც" მისწვდნენ

იტალიაში მიმდინარე საფეხბურთო სკანდალი მილანის "ინტერსაც" მისწვდა. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც გაზეთებში გამოქვეყნდა კლუბის პრეზიდენტის ჯაკინტო ფაკეტის სატელეფონო საუბრები.

აღმოჩნდა, რომ ფაკეტიმ წინასწარ იცოდა თუ ვინ იმსაჯებდა "ინტერის" მატჩებს 2004-05 წლების ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში. არსებული კანონმდებლობით კი, კლუბები მსაჯების ვინაობას მატჩამდე 48 საათით ადრე იგებენ.

სატელეფონო ჩანაწერებიდან ნათლად ჩანს: იტალიის მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარემ პიერლუიჯი პაირეტომ ფაკეტის ერთი თვით ადრე შეატყობინა, რომ "ვალენსიასთან" მატჩს ურს მაიერი იმსაჯებს, "ანდერლეხტთან" შეხვედრას კი - კიროს ვასარასი. ამავე დროს იტალიაში უკვე აშკარად მოითხოვენ, რომ მარჩელო ლიპიმ დატოვოს იტალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი. ამ სკანდალში დონ მარჩელოს სახელიც ურევია. გარდა იმისა, რომ ლიპი თავის დროზე "იუვენტუსს" თავკაცობდა და მოჯისთანაც მეგობრობს, "სკუადრა აძურას" თავკაცის ვაჟი იმ ავადსახსენებელი სპორტული სააგენტოს ერთ-ერთი მფლობელია, რომლის საშუალებითაც მოჯის ვაჟი იტალიურ სატრანსფერო ბაზარს აკონტროლებდა.

# ორი კატასტროფა სლოვაკეთში

### თურქეთი - საქართველო 6:0, სლოვაკეთი - საქართველო 4:1

მიხეილ აბაიშვილი

19 მაისს საქართველოს 19 წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო "ელიტ რაუნდის" სასტარტო მატჩი გამართა და დიდი ანგარიშით დამარცხდა. შეხვედრა, რომელშიც ჩვენი გუნდის მეტოქე თურქეთის ნაკრები იყო, სლოვაკეთის ქალაქ დუბნიცას "მესტკის" სტადიონზე გაიმართა. ხუთასამდე ადგილობრივი ქომაგი ქართველი 19 წლამდელების სრული ფიასკოს მომსწრე გახდა. თურქებმა ჰაინც ტოპმიოლერის მიერ გაწვრთნილი ჩვენი კადეტებისგან ქვა ქვაზე არ დატოვეს - ექვსი უპასუხო გოლი გაუტანეს.

ანგარიში მე-3 წუთზე გაიხსნა: ჩვენს საჯარიმოში კანერის ჩაწოდებულს ილჰანმა ზუსტად დაუხვედრა თავი და პირველი გოლი გაიტანა. შემდეგ მცირე უპირატესობას ქართველი ფეხბურთელები დაეუფლნენ. წინამძღვრიშვილს, განუგრავას და ჩირიკაშვილს ანგარიშის გათანაბრება შეეძლოთ, მაგრამ თურქთა მეკარემ ყველა შემთხვევაში უშეცდომოდ ითამაშა.

28-ე წუთზე მეორე გოლი მივიღეთ: არდამ მარჯვენა ფლანგზე განახორციელა გარღვევა და მეკარისგან შორეულ კუთხეში ჩაკიდა ბურთი, იქ კი კანერმა ძლიერად და ზუსტად დაარტყა - 0:2. ტაიმი ამ ანგარიშით დასრულდა.

მეორე ნახევარში თავი იჩინა ჩვენი ნაკრების არასახარბიელო ფიზიკურმა მომზადებამ. მე-60 წუთიდან უპირატესობას დაეუფლნენ თურქები, რომლებმაც დარჩენილ ნახევარ საათში კიდევ ოთხჯერ აიღეს საქართველოს ნაკრების კარი. განსაკუთრებით უსუსურად გამოიყურებოდა ჩვენი დაცვის ხაზი. მართალია, მეკარე რევიშვილმა 6 გოლი გაუშვა, მაგრამ ამ მარცხში მხოლოდ მისი დადანაშაულება არ შეიძლება. პირიქით - რაოდენ ირონიულადაც არ უნდა ჟღერდეს, მან არაერთხელ იხსნა თავისი გუნდი აშკარა გოლისგან.

საქართველოს ნაკრები დიდი ანგარიშით დამარცხდა, რასაც გამართლება არა აქვს. თუმცა, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ თურქეთის 19 წლამდელთა ნაკრები ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ გუნდად და მომავალი ევროპის ჩემპიონატის ფავორიტად ითვლება. მან იტალიის 19 წლამდელთა ნაკრებიც დიდი ანგარიშით - 5:1 დაამარცხა. არც მაკედონია დაინდო, რომელსაც ასევე ხუთი, თანაც უპასუხო გოლები გაუტანა.



საქართველოს ნაკრებს ტურნირიდან სამახსოვრო ფოტოღა შერჩა.

საქართველოს 19 წლამდელთა ნაკრებმა თურქებთან ასეთი შემადგენლობით ითამაშა: რევიშვილი, თომაშვილი, ხიდეშელი, ბენაშვილი, განუგრავა, კობახიძე, ბჟალავა, წინამძღვრიშვილი, ჩირიკაშვილი (გოცირიძე, 57`), კახელიშვილი, ხოხონიშვილი. მთავარი მწვრთნელი ჰაინც ტოპმიოლერი.

ქართულ საფეხბურთო დელეგაციას მეორე მატჩშიც იმედგაცრუება ელოდა. გუშინ ჩვენებმა კიდევ ერთი მატჩი ჩაატარეს და ისევ დიდი ანგარიშით დამარცხდნენ. ამჯერად ჰაინც ტოპმიოლერის გუნდის მეტოქე იყო მასპინძელთა ძლიერი ნაკრები, რომელიც, "საკუთარი კედლების" ხელშეწყობით, არცთუ უსაფუძვლოდ გეგმავს ჯგუფში პირველი ადგილის დაკავებას და ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურის მოპოვებას.

სლოვაკებთან მატჩშიც, რომელიც დაბა პარტიზანსკეს სტადიონ "სტარტზე" გაიმართა, ჩვენმა გუნდმა სწრაფი გოლი გაუშვა. მასპინძლები მე-7 წუთზე დაწინაურდნენ საკუთარი კაპიტნის დუბეკის მიერ თავით გატანილი გოლით. 23-ე წუთზე სლოვაკებმა კიდევ ერთხელ დალაშქრეს რევიშვილის კარი: მრავალსვლიანი კომბინაცია საქართველოს 19 წლამდელთა კარის გასწვრივ ჩაწოდებით და მრაზის ზუსტი დარტყმით დასრულდა. ვერაფერი ნუგეშია, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ორი გაშვებული გოლის შემდეგ უპირატესობას ქართველი ფეხბურთელები დაეუფლნენ. მასპინძელთა კართან სულ უფრო იძაბებოდა ვითარება, რაც ტაიმის მიწურულს საკუთარ საჯარიმოში სლოვაკების მიერ ბექა გოცირიძის წაქცევით და თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმის დანიშვნით დაგვირგვინდა. თავად დაზარალებულის, "ზესტაფონის" თავდამსხმელ გოვირიძის მიერ დარტყმული პენალტი გოლით არ დასრულდა - მასპინძელთა მეკარემ ბურთი მოიგერია.

მატჩის მეორე ნახევრის დიდი ნაწილი ქართველი ფეხბურთელების სრული უპირატესობით წარიმართა. შეტევას შეტევა მოსდევდა. მასპინძლები აშკარად ბურთის მოგერიებაზე გადავიდნენ. 76-ე წუთზე იმედი გაჩნდა: სლოვაკთა კარში მსაჯმა კიდევ ერთი პენალტი დანიშნა, რომლის შესრულება წინამძღვრიშვილმა ითავა. საქართველოს თასის ფინალის გმირმა, გოცირიძის მსგავსად, პირველი დარტყმით გოლი ვერ გაიტანა - მეკარემ ამჯერადაც მოიგერია ბურთი, თუმცა ყველას ისევ წინამძღვრიშვილმა დაასწრო და ანგარიშში სხვაობა შეამცირა. ამ დროს საქართველოს ნაკრები უკვე კაცნაკლული თამაშობდა. 10 წუთით ადრე მსაჯმა უხეში თამაშისთვის მეორედ გააფრთხილა განუგრავა და მოედანი დაატოვებინა. ჩვენები "ვაბანკზე" წავიდნენ, ზურგი "მოაშიშვლეს" და მთელი ყურადღება შეტევებს დაუთმეს, რის გამოც დაისასჯნენ კიდეც. დარჩენილ მცირე დროში მასპინძლებმა კიდევ ორჯერ აიღეს რევიშვილის კარი და 4:1 გაიმარჯვეს.

საქართველოს ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: რევიშვილი, თომაშვილი (ბენაშვილი, 46`), განუგრავა, კობახიძე, ბჟალავა, მჭედლიშვილი (კვარაცხელია, 76`), გობირიძე, წინამძღვრიშვილი, გვაძამია, კახელიშვილი, ხოხონიშვილი.

დარჩენილ ერთ მატჩს, რომელსაც ჩვენი გუნდი ხვალ გამართავს ირლანდიის ნაკრებთან, უფრო სიმბოლური დატვირთვა აქვს. საქართველოს 19 წლამდელთა ნაკრებს მოუწევს იმის დამტკიცება, რომ ამ ქვეჯგუფში აშკარა აუტსაიდერი არ არის და სლოვაკეთში მხოლოდ ტურისტული მისიით არ გაემგზავრა.

# ფოთი ისტორიულ ფუნქციას კარგავს

### ამბობს საფეხბურთო კლუბ "კოლხეთი 1913"-ის პრეზიდენტი

ქეთევან ჭაკობია

ფოთელები სამართლიანად ამაყობენ ნიკო ნიკოლაძისა და ბორის პაიჭაძის სახელებით. ნიკოლაძემ ქალაქი და ნავსადგური დააარსა, ბორის პაიჭაძემ - ქართული ფეხბურთი და, ცნობილი კინოფილმისა არ იყოს, პირველი ეროვნული გუნდი.

"ნავსადგური დიდი ხანია ფოთელებს აღარ ეკუთვნით. ნიკოლაძის ძეგლიც კი, რომელსაც ადგილი შეუცვალეს, შეიძლება საერთოდ გააძევონ ქალაქიდან. არც ფეხბურთი აინტერესებს ვინმეს. ფოთი თავის ისტორიას კარგავს," - ამბობს საფეხბურთო კლუბ "კოლხეთი 1913"-ის პრეზიდენტი მერაბ ასანიძე.

"კოლხეთს" უმაღლესი ლიგიდან გაგდების სერიოზული საფრთხე ელის. მას შემდეგ, რაც ნავსადგურმა კლუბის დაფინანსებაზე უარი განაცხადა, მისი პატრონაჟი ადგილობრივმა მთავრობამ ითავა; მართალია, შენახვის ხარჯები 1 200 000 ლარიდან 345 000-მდე დავიდა, მაგრამ ფოთელებმა მე-17 ეროვნულ ჩემპიონატზე ასპარეზობა შეძლეს. დღეს კლუბს 150 000 ლარის ოდენობით სახელფასო დავალიანება აქვს გასასტუმრებელი. სხვა ძველი ვალებიც ბოლომდე დაუთვლელია. ფიფა უარს აცხადებს გუნდის ლიცენზირებაზე. მომავალ სეზონზე დაფინანსების წინააღმდეგია ქალაქის მთავრობა და მხარის გუბერნატორიც.

"კოლხეთი 1913"-ის პრეზიდენტი მერაბ ასანიძე სპეციალურ ბრიფინგს მართავს და ცდილობს გადარჩენის გზა პრესის საშუალებით იპოვოს.

"თავიდან იყო შეთანხმება, რომ გუნდისთვის საჭირო 600 ათასი ლარიდან სამასს ბიუჯეტი გაიღებდა, სამასს კი - ადგილობრივი ბიზნესმენები. ქალაქში 45 წარმატებული კერძო კომპანიაა. ვერც ერთი მათგანის თანადგომა ვერ დავინახე. ვთავაზობ დირექტორთა საბჭოს შექმნას, რათა თავად განაგონ გუნდი. საქართველოში ცხრა გუნდია ბიუჯეტზე დამოკიდებული. რატომღაც ფოთში გვეუბნებიან დაფინანსებაზე უარს. ეროვნულ ჩემპიონატზე "კოლხეთმა" წარმატებით იასპარეზა და ათეულში მოხვდა, თამაშობდა სუფთად და არც ერთ გარიგებაში არ მხილებულა. თუ იგი გავარდება უმაღლესი ლიგიდან, გარწმუნებთ, ვერასოდეს დაბრუნდება და გამორიცხულია, პირველ ლიგაშიც დარჩეს. შეიძლება ფეხბურთი შემოსავლიანი არ იყოს, მაგრამ არც საპრეზიდენტო პროგრამა "პატრიოტია" მომგებიანი, თუმცა სჭირდება ახალგაზრდობას და ფინანსდება," - განაცხადა ასანიძემ.

ძნელი სათქმელია, დაინტერესდება თუ არა ვინმე "კოლხეთი 1913"-ით. ფაქტია, რომ გუნდის გადასარჩენად ჯერ თავი არავის შეუწუხებია. არც საფეხბურთო ინფრასტრუქტურის ნულოვანი ციკლით შეთავაზების პირობას მოუხიბლავს ვინმე. თუ კლუბი უმაღლეს ლიგას დატოვებს, ფიფას მიერ დაფინანსებულ თამაშებს გამოეთიშება ასაკობრივი კატეგორიით დაკომპლექტებული შვიდი გუნდი. 635 ბავშვი, რომელიც თავისუფალ დროს ფეხბურთს თამაშობს, ქუჩაში აღმოჩნდება. როცა არასასურველი დღევანდელობა არავის აღელვებს, ქალაქის ისტორიასა და ტრადიციებზე საუბარიც ზედმეტია.

# შევა ფიქრობს

"მილანის" უკრაინელი თავდამსხმელის ანდრეი შევჩენკოს განცხადებით, საბოლოო პასუხს - დარჩება თუ არა "როსონერის" შემადგენლობაში - რამდენიმე დღეში იტყვის. "არ დავმალავ, რომ სერიოზულად განვიხილავ ინგლისში გადასვლის წინადადებას. ჩემს გადაწყვეტილებას 24 ან 25 მაისს შეიტყობთ. პრესა წერს, რომ თითქმის უკვე ლონდონის "ჩელსის" ფეხბურთელი ვარ, თუმცა მე არასოდეს მითქვამს, რომ მხოლოდ და მხოლოდ "არისტოკრატებში" ვითამაშებ. ალბიონზე გადასვლას ოჯახური პირობების გამო ვფიქრობ. როდესაც ისეთი კლუბის შემადგენლობაში თამაშობ, როგორიც "მილანია", მეორე უცხო ენის შესასწავლად დრო არ გრჩება. ინგლისურ ენას ვგულისხმობ. სამწუხაროდ, მე არ ვსაუბრობ ჩემი მეუღლისა და ჩემი შვილის ენაზე", - თქვა უკრაინელმა ფორვარდმა.

ცნობისთვის: ანდრეის მეუღლე ამერიკელი მოდელი კრისტენ პაზიკი გახლავთ.

რაც შეეხება "მილანს", იტალიური კლუბის ხელმძღვანელობამ თავდამსხმელს ახალი ორწლიანი კონტრაქტი შესთავაზა, რომლის გაფორმების შემთხვევაში შევა 2011 წლამდე დარჩება გუნდში.

სერია ა-ს მიმდინარე სეზონში "შავ-წითელთა" შემადგენლობაში შევჩენკომ 19 გოლი გაიტანა.

# ტრაპატონი და მათეუსი ერთად იმუშავებენ

ფეხბურთის ორი გამოჩენილი სპეციალისტი, იტალიელი ჯოვანი ტრაპატონი და გერმანელი ლოთარ მათეუსი ავსტრიულ "ზალცბურგში" ერთად იმუშავებენ.

ავსტრიულ კლუბში ტრაპატონი სპორტული დირექტორის, მათეუსი კი გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტს დაიკავებს.

ამის ინიციატორი გახლდათ ფრანც ბეკენბაუერი, რომელიც თავის დროზე მათეუსთან და ტრაპატონისთან ერთად მუშაობდა "ბაიერნში".

"ზალცბურგში" გადასვლამდე ლოთარ მათეუსი უნგრეთის ეროვნულ ნაკრებს ედგა სათავეში, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის შემდეგ დატოვა. რაც შეეხება ჯოვანი ტრაპატონის, ის გერმანული "შტუტგარტიდან" თებერვალში დაითხოვეს.

აღსანიშნავია, რომ ტრაპატონი და მათეუსი უკვე მუშაობდნენ ერთად მილანის "ინტერში" - პირველი მწვრთნელის, მეორე კი ფეხბურთელში რანგში. 1989 წელს "ინტერთან" ერთად სკუდეტო მოიპოვეს.

## ინფოთეკა

### ეტოომ პიჩიჩობა მოიპოვა

კვირას ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო მატჩი გაიმართა. "ბარსელონასა" და "ბილბაოს" შეხვედრაში ბასკებმა იმარჯვეს ანგარიშით 3:1. თუმცა ეს არაა მთავარი. საქმე ის არის, რომ კატალონიელთა ერთადერთი გოლი კამერუნელმა სამუელ ეტოომ გაიტანა და ესპანეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის ტიტული მოპოვა. ეტოომ 26 გატანილი გოლით დაასრულა სეზონი. მეორე ადგილზე გასულ დავიდ ვილიას საკუთარ ანგარიშზე მხოლოდ 25 გოლი აქვს.

### 139 მსოფლიო ჩემპიონი

მსოფლიო ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალზე, რომელიც 9 ივნისს მიუნხენში უნდა გაიმართოს, 139 მსოფლიო ჩემპიონი იქნება მიწვეული. მათ შორის იქნებიან 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონი ბელინი, ინგლისური ფეხბურთის ლეგენდა ბობი ჩარლტონი, 1950 წლის მსოფლიო ჩემპიონი, ურუგვაელი ალჩიდეს ედგარდო გიჯა, რომელმაც გამარჯვების გოლი გაიტანა მარაკანაზე გამართულ ფინალურ შეხვედრაში ბრაზილიის ნაკრების კარში.

### დი მაჯიოს ფორმა გაყიდეს

195 000 დოლარად გაიყიდა ლეგენდარული ამერიკელი ბეისბოლისტის ჯო დი მაჯიოს მაისურა, რომლითაც მან 1951 წლის ფინალური სერია ითამაშა. იმავე აუქციონზე ერთი დღით ადრე გაიყიდა საუკეთესო ბეისბოლისტისთვის განკუთვნილი პრიზი, რომელიც ჯო დი მაჯიომ 1947 წელს დაისაკუთრა. ინკოგნიტო მყიდველმა ამ რელიკვიაში 281 000 დოლარი გადაიხადა.

### აგირე წავიდა

"ოსასუნას" მექსიკელმა მწვრთნელმა ხავიერ აგირემ პამპლონური კლუბი დატოვა. აგირე "ოსასუნას" ისტორიაში ყველაზე წარმატებული მწვრთნელია. ამ სეზონში მექსიკელი სპეციალისტის წყალობით პროვინციულმა გუნდმა ჩემპიონთა ლიგის საგზურიც კი მოიპოვა. გუნდიდან წასვლის მიზეზი ისაა, რომ აგირეს გაცილებით სოლიდური კლუბებიდან აქვს მიწვევები.

### პელე: "ბარსელონას" გაუმართლა"

ფეხბურთის მეფე პელემ კომენტარი გააკეთა ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მატჩზე. პელეს მიაჩნია, რომ პარიზულ ფინალში "ბარსას" უბრალოდ გაუმართლა. "ეს იყო ძალიან კარგი მატჩი, რომელმაც ბოლომდე არ დაკარგა ინტრიგა. ვფიქრობ, "ბარსელონას" გაუმართლა. მაგალითად, როდესაც ანგარიში 1:0 იყო "არსენალის" სასარგებლოდ, ტიერი ანრიმ ასპროცენტიანი მომენტი ვერ გამოიყენა, ბელეტის მეორე გოლი კი საერთოდ შემთხვევითობაა", - აღნიშნა პელემ.

### პლუშენკო არ ჩქარობს

ოლიმპიური ჩემპიონი ფიგურულ სრიალში ევგენი პლუშენკო მომავალ სეზონში არც ერთ ოფიციალურ ტურნირში არ მიიღებს მონაწილეობას. სპორტსმენის განცხადებით, მომავალ სეზონში ის მხოლოდ კომერციულ ტურნირებში გამოვა. ამავე დროს პლუშენკო აცხადებს, რომ პროფესიულ სპორტში გადასვლას არ ჩქარობს, რადგან ჯერ არ გადაუწყვეტია გამოვა თუ არა კიდევ ერთ ოლიმპიურ თამაშებზე.

### სოფიაში ტოპალოვმა იმარჯვა

ვესელინ ტოპალოვმა გაიმარჯვა სოფიაში მიმდინარე მასტერსის საჭადრაკო ტურნირში. შეჯიბრების ბოლო დღეს ბულგარელმა გროსმაისტერმა ფრანგი ეტიენ ბარკო დაამარცხა, ხოლო გატა კამსკი პიოტრ სვიდლერს დაუზავდა. იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო ტურის წინ კამსკის და ტოპალოვს ქულების თანაბარი რაოდენობა ჰქონდათ, სწორედ ფრანგი მოჭადრაკის დამარცხების ხარჯზე იზეიმა ტოპალოვმა გამარჯვება.

### ბალაკი "ჩელსიში" დაასრულებს კარიერას

ლონდონის "ჩელსის" ახალწვეულმა მიხაელ ბალაკმა განაცხადა, რომ კარიერის დასრულებას ლონდონურ კლუბში აპირებს. "იმედია, ყველაფერი კარგად აეწყობა და მომავალი სამი სეზონის განმავლობაში "ჩელსისთან" ერთად მნიშვნელოვან წარმატებებს მივაღწევ, რასაც ავტომატურად კონტრაქტის გაგრძელება მოჰყვება. მინდა, რომ ლონდონურ კლუბში დავასრულო კარიერა", - ამბობს მიხაელი.

## ინფოთეკა

### "პორტლენდს" მყიდველი გამოუჩნდა

NBA-ს კლუბ "პორტლენდის" შეძენით დაინტერესდა ვიდეოგაქირავების ქსელ Hollywood Video-ს დამაარსებელი და ყოფილი მფლობელი მარკ უოტლსი. ამას წინათ კლუბის ახლანდელმა მფლობელმა, კომპანია Microsoft-ის თანადამაარსებელმა პოლ ალენმა განაცხადა, რომ საკალათბურთო ბიზნესი აღარ აინტერესებს, რადგან ეს საოცრად დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

### ტრასას აბრამოვიჩი ააშენებს

ცნობილია, რომ მოსკოვში ფორმულა 1-ის ტრასის აშენებას აპირებენ. რუსეთის დედაქალაქის მესვეურები კონკურსის გამოცხადებასაც გეგმავენ, თუმცა კონკურსი ალბათ ფორმალური იქნება, რადგან ტრასის აშენება ცნობილ რუს მილიარდერს რომან აბრამოვიჩს სურს და, რუსული მედიის ინფორმაციით, მას ალტერნატივა არ ეყოლება.

### "ფერარიმ" შუმის შემცვლელი უნდა მონახოს

ფორმულა 1-ში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა, ლეგენდარულმა ავსტრიელმა ავტომრბოლმა ნიკი ლაუდამ განაცხადა, რომ "ფერარის" ხელმძღვანელობამ უკვე უნდა დაიწყოს მიხაელ შუმახერის შემცვლელის ძებნა.

"ფერარიმ" შუმახერის ალტერნატივა უნდა მოძებნოს. მიხაელს ჯერაც არ გადაუწყვეტია დარჩება თუ არა გუნდში. სანამ "შუმი" ფიქრობს, სხვა პილოტები სხვა გუნდებთან გაფორმებენ კონტრაქტებს. შემდეგ კი შესაძლოა "ფერარი" სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდეს", - აცხადებს ლაუდა.

### პოლი მზადაა

ინგლისელმა არბიტრმა გრემ პოლმა განაცხადა, რომ მზადაა მუნდიალისთვის, თუმცა ისიც აღნიშნა, რომ მსაჯთა მუშაობას გერმანიაში ძალიან მკაცრად შეაფასებენ.

"ერთი შეცდომა და შესაძლოა სამსაჯო კარიერას წერტილი დაესვას. ამის თაობაზე არაორაზროვნად გვითხრეს. ფიას ხელმძღვანელებისგან საკმაოდ გასაგები მესიჯი მივიღეთ. მსოფლიო ჩემპიონატზე მსაჯობა უმაღლეს დონეზე უნდა იყოს. ის, ვინც შეცდომას დაუშვებს, დიდ ტურნირებზე ველარც იოცნებებს. პირადად მე ამისთვის მზად ვარ", - აცხადებს პოლი.

### უჩვეულო დახმარება

ეკვადორის ერთ-ერთი ტომის შამანმა სპეციალური რიტუალი ჩაატრა კაიზერსლაუტერნის სტადიონზე, სადაც ეკვადორის ნაკრებმა რამდენიმე მატჩი უნდა გამართოს. ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ფეხბურთელებს შამანები ეხმარებიან. 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის წინ ბრაზილიელმა შამანებმა ნაკრებს თავიანთი სამსახური შესთავაზეს. ეკვადორელი შამანები ანალოგიური რიტუალის ჩატარებას ყველა სტადიონზე აპირებენ.

### დოუსონი იანგის ნაცვლად

"ჩარლტონის" მცველი ლიუკ იანგი ტრავმის გამო ამოვარდა ინგლისის ნაკრების სარეზერვო შემადგენლობიდან. ბი ბი სის ცნობით, "ჩარლტონის" მცველს შეცვლის "ტოტენჰემის" ფეხბურთელი მაიკლ დოუსონი, რომელიც ინგლისის ნაკრებს დღეს შეუერთდება.

### ჰამანმა კარიერა დაასრულა

ინგლისის "ლივერპულის" გერმანელმა ნახევარმცველმა დიტმარ ჰამანმა განაცხადა, რომ სანაკრებო კარიერა დაასრულა და ქვეყნის ღირსებას აღარ დაიცავს.

ფეხბურთელის ეს განცხადება გერმანიის ეროვნული გუნდის თავკაცის იურგენ კლინსმანის გადაწყვეტილებას მოჰყვა. კლინსმანმა ჰამანი მსოფლიო ჩემპიონატის განაცხადში არ შეიყვანა.

"სიმართლე გითხრათ, ნაკრებს მიღმა დარჩენა ძალიან არ გამკვირვებია. თითქმის სამი თვეა კლინსმანს არ შევხვედრივარ. ამის გამო დარწმუნებულიც კი ვიყავი, რომ მუნდიალზე არ ვითამაშებდი. უკვე 32 წლის ვარ და ვფიქრობ, დროა სანაკრებო კარიერა დავასრულო", - განაცხადა მერსისაიდული კლუბის ფეხბურთელმა.

# ანრი - მარად არსენალელი

მარი ჭავახიშვილი



გადაწყდა: ტიერი ანრი ლონდონის "არსენალში" რჩება და არც ერთი ესპანური კლუბის გაგონება არ უნდა, მით უმეტეს, "ბარსელონასი", რომელიც "მეთოფეებს" ანრის სანაცვლოდ რეკორდულ თანხას - 50 მილიონ ფუნტ სტერლინგს სთავაზობდა.

"ბარსელონაში" არგადასვლის შესახებ ასეთი კატეგორიული უარი 29 წლის ფორვარდმა ჩემპიონთა ლიგის ფინალში კატალონიურ კლუბთან განცდილი მარცხის შემდეგ განაცხადა.

პარიზიდან ლონდონში დაბრუნებულს კი გულშემატკივართა წერილების ნამდვილი ნაკადი მიაწყდა. "მეთოფეთა" ფანები ანრის კლუბში დარჩენას ევედრებოდნენ. მანაც საკუთარი გულშემატკივარი არ დაალალატა და, სულ ცოტა, კიდევ ოთხ წელიწადს ლონდონურ გუნდში დარჩება.

"არსენალში" ტურინის "იუვენტუსიდან" 1999 წელს გადაბარგებულმა ტიერი ანრიმ გულშემატკივრის გული მალე დაიპყრო და აღიარებამაც არ დააყოვნა - ფრანგი ფორვარდი ინგლისური კლუბის არებობის ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირად შერაცხეს. ექვსი სეზონის განმავლობაში "არსენალის" მაისურით ანრიმ 200 გოლი გაიტანა, აქედან 27 - ჩემპიონთა ლიგაზე, გასულ სეზონში კი მას პრემიერლიგის საუკეთესო ფეხბურთელის წოდება მიანიჭეს.

"მეთოფეებთან" ახალი, 4-წლიანი კონტრაქტის გაფორმების შემდეგ ტიერი ანრის "სანის" ჟურნალისტი გაესაუბრა:

**- თითქმის ყველა დარწმუნებული იყო, რომ ახალ სეზონს "ბარსელონაში" გააგრძელებდით. რატომ შეცვალეთ გადაწყვეტილება - ფინალში მარცხის გამო?**

- დიდი ცდუნებაა, როცა შენით "ბარსელონას" მსგავსი კლუბი დაინტერესდება. რაღაც პერიოდი მეც ცდუნების ქვეშ ვიყავი, მინდოდა ესპანეთის ჩემპიონატშიც მომესინჯა ძალები, მაგრამ მივხვდი, რომ ჩემი გული "არსენალს" ეკუთვნის. მეტიც, ესპანეთში არასოდეს ვითამაშებ. მე მითამაშია საფრანგეთში, იტალიაში, მაგრამ დავრწმუნდი, რომ ინგლისი იდეალური ადგილია ფეხბურთის სათამაშოდ.

**- კიდევ რამდენ ხანს დარჩებით ინგლისში?**

- ალბათ იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც თამაშს შევძლებ. არ შემიძლია მივატოვო ჩემი გულშემატკივარი. "არსენალი" და მისი ფანობა ერთი დიდი ოჯახია, რომელიც საკუთარივით მიყვარს.

**- გაგიარათ "სტად დე ფრანსზე" განცდილი მარცხით მიღებულმა გულისტკივილმა?**

- თანდათან ვდგები ფორმაში. პარიზიდან ლონდონში დაბრუნების შემდეგ მთელი სამი ღამე თვალი ვერ მოვხუჭე. ემოციებისგან აბსოლუტურად დაცლილი ვიყავი. მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ ჩვენ უნდა ვიამაყოთ იმ თამაშით, რაც "სტად დე ფრანსზე" ვაჩვენეთ. გარდა ამისა, პირდად ჩემზე იმ მატჩმა დიდი გავლენა მოახდინა - სწორედ ფინალის შემდეგ მივხვდი, რომ "არსენალს" ვერასოდეს დავტოვებ და მასთან ერთად აუცილებლად მოვიგებ ჩემპიონთა თასს.

**- როცა შემთხვევით მოჰკრავთ ხოლმე თვალს "ბარსელონასთან" მატჩის კადრებს, მაშინვე სხვა არხზე რთავთ ტელევიზორს?**

- მაშინვე, რადგან არ შემიძლია მშვიდად ვუყურო ამ ყველაფერს. აეროპორტშიც კი, როცა ეკრანზე "სტად დე ფრანსის" სიუჟეტი გადიოდა, ეკრანს ზურგი შევაქციე.

**- რა ხდებოდა "არსენალის" გასახდელში ფინალური სასტვენის შემდეგ?**

- სამარისებური სიჩუმე იყო. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რაც შეგვეძლო. ლემანი რომ არ გაეძევებინათ, დარწმუნებული ვარ, თასს "ბარსელონას" არ დავუთმობდით.

**- კი მაგრამ, ნორვეგიელმა მსაჯმა ლემანს დამსახურებულად აჩვენა წითელი ბარათი. არა?**

- ლემანი კი იმსახურებდა წითელ ბარათს, მაგრამ უკეთესი იქნებოდა, ჰაუგეს ჟიულის გოლი ჩაეთვალა და ჩვენი მეკარე არ გაეგდო.

**- ვენგერმა რა გითხრათ?**

- მადლობა გადაგვიხადა ღირსეული თამაშისთვის. მათ ვინც მსოფლიო ჩემპიონატზე მივემგზავრებით, წარმატება გვისურვა. დანარჩენებს კი - კარგი დასვენება და ამ კოშმარის დავიწყება.

**- პირადად თქვენს თამაშზე რას იტყვით?**

- ახლა ამის განხილვას აზრი აღარა აქვს. ბოლომდე ვიბრძოდი, რამდენიმე რეალური საგოლე მომენტიც შევქმენი, მაგრამ გოლი ვერ გავიტანე. ერთი სიტყვით, წავაგეთ და ამით ყველაფერია ნათქვამი.

**- როგორ ფიქრობთ, მაინც რა დაგაკლდათ გამარჯვებისთვის?**

- მეორე გოლი. საკუთარ თავს ვერ ვპატიობ, რომ ვალდესის კარში გოლი ვერ გავიტანე. არც მსაჯმა დაგვაკლო. გამეორებაზე ეტო`ოს გოლს რომ ვუყურე, ასპროცენტიანი თამაშგარე იყო.

**- ვერც ალმუნიამ გაგიმართლათ...**

- ერთი მხრივ, ჰო, მეორე მხრივ კი, შეიძლება ნებისმიერი ფეხბურთელი დაადანაშაულო. ვიღაცამ ვერ გაამართლა, ვიღაცამ გოლი ვერ გაიტანა, ვიღაცამ დაცვაში ვერ ითამაშა კარგად.

**- თამაშის მერე რონალდინიოზე თქვით, მოედანზე არ დამინახავსო. ცხელ გულზე თქვით თუ ახლაც ასე ფიქრობთ?**

- ცხელ გულზე არ მითქვამს, მართლა ასე იყო. ვერ ვიტყვი, რომ რონალდინიომ რაიმეთი გამაოცა. ვნახე ის, რის ნახვასაც ველოდი. რონალდინიო რომ უმაღლესი კლასის ოსტატია, ამას წყალი არ გაუვა, მაგრამ პარიზში ვერ ბრწყინავდა.

# რა ღირს ლამპარდი?



ლონდონის "ჩელსის" ხელმძღვანელებმა დაიწყეს მოლაპარაკება ფრენკ ლამპარდის აგენტთან, რათა ფეხბურთელი შეინარჩუნონ. საქმე ისაა, რომ მიხაელ ბალაკის ყიდვის შემდეგ გუნდში ოდნავ უცნაური ვითარება შეიქმნა. როგორც იცით, გერმანელ ნახევარმცველს ლონდონელებმა ხელფასის სახით კვირაში 130 000 გირვანქა სტერლინგი შესთავაზეს. ამ დროს ლამპარდის ხელფასი გაცილებით ნაკლებია. ცხადია, ლონდონელთა აღიარებული ლიდერი ასეთ ვითარებას არ შეეგუება და მანაც ხელფასის გაზრდა ითხოვა.

ამავე დროს გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი დეტალი. ფრენკის შეძენა "ბარსელონას" სურს. მართალია, კონტრაქტი ფეხბურთელს კიდევ ორი წლით ავალდებულებს "ჩელსიში" დარჩენას, მაგრამ ფიფას კანონმდებლობის ერთ-ერთი მუხლის თანახმად, თუ ლამპარდი და "ბარსელონა" შეთანხმდებიან, ტრანსფერი საკმაოდ რეალური ხდება. საქმე ისაა, რომ 28 წელს მიღწეულ ფეხბურთელს თავად შეუძლია კლუბიდან კონტრაქტის გამოსყიდვა, გამოსასყიდი თანხა კი სულ რაღაც 10 მილიონ გირვანქა სტერლინგს შეადგენს. თავადაც ხვდებით, რომ ამ თანხის გადახდაზე "ბარსელონა" უკან არ დაიხევს.

მოკლედ, საქმის ვითარება ნათელია: თუ "ჩელსი" ფეხბურთელს ხელფასს არ გაუზრდის, ლამპარდმა შესაძლოა გუნდი დატოვოს.

გუშინ ფრენკ ლამპარდის აგენტი შეხვდა პიტერ კენიონს. ლონდონური კლუბის ერთ-ერთმა მესვეურმა ახალი საკონტრაქტო პირობები შესთავაზე ლამპარდს, რომლის თანახმადაც ფრენკი კვირაში 140 000 გირვანქა სტერლინგს მიიღებს. ფეხბურთელის აგენტის თქმით, ასეთი პირობები ლამპარდისთვის მისაღები იქნება და უახლოეს პერიოდში ახალი კონტრაქტიც უნდა გაფორმდეს.

აღსანიშნავია, რომ კონტრაქტის გაფორმების შემდეგ ფრენკ ლამპარდი მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებად ფეხბურთელად იქცევა. ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ "ჩელსიში" არსებობს ჯონ ტერიც, რომლის ხელფასი ამჟამად კვირაში 100 000 გირვანქა სტერლინგია. სავარაუდოა, რომ ხელფასის გაზრდას კაპიტანიც მოითხოვს.

"ჩელსისთან" დაკავშირებით კიდევ ერთ ინფორმაციას მოგაწვდით. უკვე გადაწყდა, რომ გუნდს დატოვებს ერნან კრესპო. ჯერჯერობით გაურკვეველია შეძლებენ თუ არა "არისტოკრატები" შევჩენკოს შეძენას. სამაგიეროდ ლონდონელებს რუუდ ვან ნისტელროის გადაბირება სურთ. კენიონის თქმით, მან უკვე დაიწყო მუშაობა ამ ტრანსფერზე.

# სისინიო: "ლოპეს კაროზე ნაწყენი არ ვარ"

მარი ჭავახიშვილი

ზამთარის სატრანსფერო სეზონში ბრაზილიელი მცველის სისინიოს შეძენა მადრიდის "რეალის" ტრანსფერთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო იყო. სისინიოს დამატებით კლუბის ხელმძღვანელობას, ისევე როგორც გულშემატკივრებს, იმედი გაუჩნდათ, რომ "სანტიაგო ბერნაბეუზე" მისი მისვლით გუნდის წარუმატებლობას წერტილი დაესმებოდა. მაგრამ მადრიდელთა იმედი იმედად დარჩა - "რეალს" ვერც სისინიომ უშველა.

26 წლის მცველი ფიქრობს, რომ მომავალი სეზონიდან ყველაფერი თავის ადგილზე დადგება და გუნდთან ერთად აუცილებლად მიაღწევს დიდ გამარჯვებებს.

ბრაზილიელ ფეხბურთელს ესპანური "ას"-ის ჟურნალისტები "მალაგასთან" გასამართი პრიმერადივიზიონის უკანასკნელი მატჩის წინ შეხვდნენ და სეზონსა და სამომავლო გეგმებზე ესაუბრნენ:

**- "რეალში" გატარებულ ამ სეზონს როგორ შეაფასებთ?**

- ეს სეზონი გუნდისთვის წარუმატებელი გამოდგა, თუმცა "რეალში" გადმოსვლა პირადად ჩემთვის ჩემს სპორტულ კარიერაში საუკეთესო მოვლენა იყო. მიხარია, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის მაისურა მაცვია. გარწმუნებთ, მომავალი სეზონიდან გაცილებით მაღალ დონეზე ვითამაშებთ. თუმცა, არც წლევანდელი შედეგია მაინცდამაინც ცუდი - გათამაშების ცხრილში მხოლოდ პრიმერას ჩემპიონ "ბარსელონას" ჩამოვრჩით.

**- "სანტიაგო ბერნაბეუზე" ბრწყინვალედ დაიწყეთ თამაში. თავიდან მუდმივად ძირითადში ხვდებოდით, მაგრამ ბოლოს რატომღაც ხშირად გიწევდათ სკამზე ჯდომა...**

- ეს მხოლოდ მწვრთნელის გადაწყვეტილებაა და მე არაფერი დამრჩენია, გარდა იმისა, რომ პატივი ვცე მის გადაწყვეტილებას. როდესაც ძირითადში ვერ ვხვდებოდი, იმის ნაცვლად, რომ გავბრაზებულიყავი და მწვრთნელი გამერიტიკებინა, პირიქით, გაორმაგებული ძალით ვვარჯიშობდი, რათა ხშირად არ დავრჩენილიყავი სკამზე.

**- როგორ ფიქრობთ, როგორი იქნება მომავალი სეზონი?**

- მადრიდის "რეალი" ევროპული ფეხბურთის ერთ-ერთი გრანდია და იმედი მაქვს, ის აუცილებლად მოიპოვებს ახალ ტიტულებს. მას უბრალოდ უფლება არა აქვს სხვანაირად მოიქცეს.

**- კლუბის მომავალ სატრანსფერო პოლიტიკაზე რას გვეტყვით - უნდა გაძლიერდეს "რეალი" ახალი ფეხბურთელებით თუ არა?**

- ამის საჭიროებას ვერ ვხედავ. "რეალი" ისედაც უმაღლესი რანგის ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდია. საერთოდ, მიმაჩნია, რომ ფეხბურთელების საქმე ვარჯიშია და არა სატრანსფერო ჭორების განხილვა.

**- გუნდში ახალი მწვრთნელის დანიშვნა თქვენ რომ მოგანდონ, ვის აირჩევდით?**

- არავის. ხელმძღვანელობასაც იგივეს ვურჩევ - ახალი მწვრთნელის ძიებას, ჯობს ახლანდელ თავკაცს მისცენ დრო. ლოპეს კარო შესანიშნავი სპეციალისტია და ვფიქრობ, სულ ცოტა, კიდევ ერთი წელი უნდა ვაცალოთ.

**- ამას ამბობს ფეხბურთელი, რომელიც ლოპეს კარომ მაშინ დასვა სკამზე, როდესაც ის ბრწყინვალე ფორმაში იყო. ყოჩაღ, ნამდვილი ჯენტლმენი ყოფილხართ1**

- მართალია, მაგრამ სკამზე ჯდომა ჩემთვის ტრაგედია არ ყოფილა. ყოველთვის მზად ვარ, გუნდს გამოვადგე. მნიშვნელობა არა აქვს, ამას ძირითადში თამაშის დაწყებით შევძლებ და შუა მატჩში შესვლით. უკვე გითხარით, რომ ლოპეს კაროზე ნაწყენი არ ვარ. ის კარგი სპეციალისტია და ხელმძღვანელობამ მისი გაშვებისგან თავი უნდა შეიკავოს.

**- რას ეტყვით გულშემატკივრებს?**

- მოთმინებას ვთხოვ და ვეტყვი, რომ მომდევნო წელს აუცილებლად მოვიპოვებთ ტიტულებს, რადგან ძალიან გვინდა მოლოდინი ავუსრულოთ და სიხარული მოვუტანოთ.

## რონალდო მიულერის რეკორდს ემუქრება

ბრაზილიის ნაკრების ფორვარდი რონალდო გერდ მიულერის რეკორდის დამხობას აპირებს. ამჟამად მსოფლიო ჩემპიონატების საუკეთესო ბომბარდირია გერდ მიულერი, რომელსაც ოთხწლეულის უმნიშვნელოვანეს საფეხბურთო ტურნირებზე 14 გოლი აქვს გატანილი. რონალდოს აქამდე გამართულ ორ მუნდიალზე უკვე 12 გოლი აქვს გატანილი და გერდ მიულერს სულ ცოტათი ჩამორჩება. ბრაზილიელის განცხადებით, გერმანიაში იგი ლეგენდარული მიულერის რეკორდს დაამხობს.

## ბერლუსკონი "მილანში" დაბრუნდა

იტალიის ყოფილმა პრემიერმა სილვიო ბერლუსკონიმ აღნიშნა, რომ "მილანის" პრეზიდენტის პოსტზე აპირებს დაბრუნებას. შეგახსენებთ, რომ "მილანი" ბერლუსკონის კლუბია, მაგრამ მას შემდეგ, რაც ბატონი ბერლუსკონი პრემიერ-მინისტრი გახდა, მან კლუბის "პრეზიდენტის" პოსტი დატოვა, ახლა კი, როცა აქტიურ პოლიტიკას ჩამოაცილეს, ისევ თავის გუნდს უბრუნდება და პრეზიდენტის პოსტს ოფიციალურად დაიკავებს.

## დორტმუნდელთა პრობლემები

2004 წელს დორტმუნდის "ბორუსია" გაკოტრებას გადაურჩა. ბოლო ორი წლის განმავლობაში კლუბის ფინანსური მდგომარეობა თითქოს მოგვარდა, თუმცა გუშინ გერმანულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმად "ბორუსიაში" კვლავ ფინანსური კრიზისია.

როგორც ამბობენ, ამ საფინანსო წელს დორტმუნდელებმა 11.6 მილიონი ევრო იზარალეს და გუნდი ისევ გაკოტრების პირასაა.

## რუი კოშტა სამშობლოში ბრუნდება

"მილანის" პორტუგალიელი ნახევარმცველი რუი კოშტა სამშობლოში ბრუნდება და "ბენფიკაში" გააგრძელებს საფეხბურთო კარიერას. ფეხბურთელის განცხადებით, ჯერჯერობით არაფერია გადაწყვეტილი, მაგრამ თუ "ბენფიკას" ხელმძღვანელები კონტრაქტს შესთავაზებენ, ამ წინადადებას აუცილებლად მიიღებს.

"არ ვიცი რა მოხდება. "ბენფიკადან" შემოთავაზებას ველი. ალბათ დროა სამშობლოში დავბრუნდე და კარიერა ჩემს საყვარელ კლუბში დავასრულო", - აცხადებს პორტუგალიელი.

## 178 ქულა ერთ მატჩში

ახალგაზრდა ხორვატმა კალათბურთელმა მარინ ფედენჩევიჩმა ერთ მატჩში 178 ქულა დააგროვა. ხორვატიის ბავშვთა ლიგაში "ვიტროვიცასა" და "გრამინეას" შეხვედრაში 14 წლის კალათბურთელმა 178 ქულას 22 მოხსნა და 16 ჩაჭრაც დაუმატა. მატჩი "ვიტროვიცამ" 187:70 მოიგო. სულ რაღაც ერთი თვის წინ მარინმა ასევე რეკორდული შედეგი აჩვენა და ერთ მატჩში 101 ქულა დააგროვა. თავის გუნდში ის ყველაზე მაღალია. მიუხედავად ამისა, გამთამაშებლის პოზიციაზე თამაშობს.

## "ანდერლეხტი" არგენტინელით გაძლიერდა

ბელგიურმა "ანდერლეხტმა" შეიძინა 20 წლის არგენტინელი ნახევარმცველი ლუკას ბიგლია. "ანდერლეხტმა" 4 მილიონი ევრო გადაუხადა ნახევარმცველში "ინდეპენდიენტეს", რომლის ღირსებასაც იცავდა ეს ფეხბურთელი და მასთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

## ინგლისს კიდევ ერთი ფეხბურთელი დააკლდა

მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე კვირით ადრე ინგლისის ეროვნულ ნაკრებს კიდევ ერთი ფეხბურთელი გამოეთიშა.

"ჩარლტონის" მცველი ლიუკ იანგი, რომელიც სვენ-გორან ერიქსონის გუნდში სათადარიგო ფეხბურთელად ირიცხებოდა, ტერფის ტრავმის გამო გერმანიაში ვერ წავა. ინგლისელმა მცველმა ტრავმა აპრილში მიიღო, მაგრამ ნაკრებთან ერთად პორტუგალიაში შეკრებაზე გაემგზავრა, წინა კვირას კი სრულყოფილი ვარჯიში განაახლა.

თუმცა, 26 წლის მცველმა დატვირთვას ვერ გაუძლო. მთავარ მწვრთნელთან საუბრის შემდეგ ორივემ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომ იანგისთვის უმჯობესი იქნება, თუ მის კანდიდატურას განაცხადიდან ამოიღებენ.

ინგლისის ნაკრებში ლიუკ იანგის დებიუტი ერთი წლის წინ, ამერიკაში ტურნეს დროს შედგა. მთლიანობაში მან ხუთი მატჩის გამართვა მოასწრო.

## ენდი კოული უარზეა

"მანჩესტერ იუნაიტედის" ექსთავდამსხმელმა ენდი კოულმა უარი თქვა განის ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბში მუშაობზე.

"ვიცი, რომ განის ნაკრების თავკაცობას უნდოდა გუნდის გაწვრთნაში მიმეღო მონაწილეობა, მაგრამ იმის გამო, რომ ტრავმირებული ვარ, ამ წინადადებას ვერ მივიღებ", - განაცხადა ენდი კოულმა "მანჩესტერ იუნაიტედის" ოფიციალური ვებგვერდისთვის მიცემულ ინტერვიუში.

არსებობის ისტორიაში განის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატზე წელს პირველად იასპარეზებს.

## ვიდუკა ავსტრალიის ნაკრების კაპიტანია

ავსტრალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გუს ჰიდინკმა გუნდის კაპიტნობა ოფიციალურად მიანდო "მიდლსბროს" თავდამსხმელს მარკ ვიდუკას.

30 წლის ვიდუკამ ეროვნული გუნდის კაპიტნის სამკლაური პირველად ურუგვაისთან საპლეიოფო მატჩში მოირგო. მანამდე ავსტრალიელთა კაპიტანი იყო გამოცდილი კრეიგ მური.

"მარკმა კარგად წარმოაჩინა საკუთარი თავი პლეიოფის მატჩებში და კაპიტნის მოვალეობასაც კარგად გაართვა თავი. რაც შეეხება კრეიგს, მისთვის ასე უკეთესი იქნება: ის ახლა უფრო მეტად იბრძოლებს ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად", - განაცხადა ავსტრალიელთა თავკაცმა გუს ჰიდინკმა.

ავსტრალიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატზე F ჯგუფში ბრაზილიასთან, ხორვატიასთან და იაპონიასთან ერთად იასპარეზებს.

## "ბენფიკას" ახალი მწვრთნელი ჰყავს

პორტუგალიის "ბენფიკას" ხელმძღვანელობამ გუნდის ახალი მწვრთნელის ვინაობა დაასახელა.

მომავალი სეზონიდან "ბენფიკას" 51 წლის პორტუგალიელი სპეციალისტი ფერნანდო სანტუში ჩაუდგება სათავეში.

ფერნანდო სანტუშმა ამ პოსტზე შეცვალა ჰოლანდიელი რონალდ კუმანი, რომელმაც მაისის დასაწყისში დატოვა "ბენფიკა" და სამშობლოში დაბრუნდა, სადაც მომავალი სეზონიდან "პსვ ეინდჰოვენს" გაწვრთნის. წლევანდელი სეზონი "ბენფიკამ" პორტუგალიის სუპერლიგის გათამაშების ცხრილში მესამე ადგილზე დაასრულა, რის გამოც ჩემპიონთა ლიგაზე ავტომატურად ვერ ითამაშებს. ცნობისთვის: მანამდე ფერნანდო სანტუში პორტუგალიურ "სპორტინგს", "პორტუსა" და ათენის აეკ-ს ედგა სათავეში.

## კასანო სამშობლოში არ ბრუნდება

მადრიდის "რეალის" იტალიელი თავდამსხმელის ანტონიო კასანოს აგენტის განცხადებით, მისი კლიენტი ამ ზაფხულს სამშობლოში არ დაბრუნდება.

"ანტონიო "სამეფო კლუბში" დარჩება, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ვერ ხვდება ძირითად შემადგენლობაში. ეს მისი საბოლოო გადაწყვეტილებაა, რომელიც რამდენიმე დღის წინ ერთად მივიღეთ", - განაცხადა ფეხბურთელის აგენტმა ჯუზეპე ბოცომ.

შუა სეზონში ესპანურ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ იტალიური კლუბები "იუვენტუსი" და "ინტერი" კასანოს სამშობლოში დაბრუნებას ცდილობდნენ, თუმცა, კასანოს იმედი აქვს, რომ "რეალის" ძირითად შემადგენლობაში ადვილად დაიმკვიდრებს ადგილს მას შემდეგ, რაც კლუბს დატოვებს ფრანგი გამთამაშებელი ზინედინ ზიდანი.

## მექსიკელი ფეხბურთელები კარდინალმა დალოცა

მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრების წინ მექსიკის რელიგიურმა წარმომადგენლებმა ქვეყნის ნაკრების ფეხბურთელები დალოცეს.

"თქვენ მთელი მექსიკა აღტაცებით შემოგყურებთ. გისურვებთ, ღირსეულად დაიცვათ ის ქვეყანა, რომლის დროშის ფერებშიც ახლა ხართ ჩაცმული", - მიმართა კარდინალმა ნორბერტო რივერამ ეროვნული გუნდის მოთამაშეებს.

სიტყვით გამოსვლის შემდეგ კარდინალმა ფეხბურთელები ხატებით დაასაჩუქრა. თავის მხრივ, ფეხბურთელებმა კარდინალს მიართვეს ფეხბურთის ბურთი, რომელზეც ნაკრების ყველა წევრის ავტოგრაფი იყო დატანილი.

მექსიკის ეროვნული ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატზე D ჯგუფში ითამაშებს პორტუგალიის, ირანისა და ანგოლის გუნდებთან ერთად.

## პლუშენკო ბიზნესით დაინტერესდა

ტურინის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ფიგურულ სრიალში რუსი ევგენი პლუშენკო ამბობს, რომ მომავალი სეზონიდან ყველა ოფიციალურ ტურნირს გამოტოვებს და მხოლოდ კომერციულ შოუპროექტებში მიიღებს მონაწილეობას.

"ჯერჯერობით საბოლოოდ არ გადამიწყვეტია, რას ვიზამ ერთი წლის შემდეგ - გავაგრძელებ თუ არა სპორტულ კარიერას. მინდა მომავალში ბიზნესში ვცადო ბედი - მოსკოვში სასტუმროების ქსელი ავაშენო", - განაცხადა მსოფლიოს სამგზის ჩემპონმა.

## კლინსმანი ლამას არ ცვლის

გერმანიის ნაკრების მცველმა ფილიპ ლამამ, რომელმაც "გლიუკენვალდესთან" საკონტროლო მატჩში მიიღო ტრავმა, ორიოდე დღის წინ ეროვნული გუნდის შეკრებაზე პირველად ივარჯიშა სარდინიაში.

გერმანული პრესის ცნობით, ლამას, რომელსაც ხელზე ოპერაცია ჩაუტარდა, ექიმებმა კატეგორიულად აუკრძალეს ბურთით ვარჯიში, ხელზე დაადეს თაბაშირი, რომელიც 12 დღე ექნება.

ბუნდესნაკრების მთავარი მწვრთნელის იურგენ კლინსმანის განცხადებით, იგი არ აპირებს ლამას სხვა ფეხბურთელით შეცვლას, რადგან დარწმუნებულია, რომ 9 ივნისამდე ფილიპი სრულად გამოჯანმრთელდება.

## ერიქსონი ნანობს

ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, შვედი სვენ-გორან ერიქსონის განცხადებით, იგი ნანობს, რომ ძალიან ადრე განაცხადა უარი ინგლისიდან წასვლის თაობაზე.

"ერთადერთი, რასაც ვნანობ, ის არის, რომ გადაწყვეტილების მიღებისას ავჩქარდი. მაშინ მეგონა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ნაკრებიდან წასვლა სწორი იქნებოდა. ახლა მივხვდი, რომ ვიჩქარე, მაგრამ რას იზამ"... - განაცხადა შვედმა სპეციალისტმა.

შეგახსენებთ, რომ სვენ-გორან ერიქსონმა ინგლისის ნაკრებიდან წასვლის თაობაზე იანვარში განაცხადა, როცა იგი არაბებთან ფარულ მოლაპარაკებაში დაადანაშაულეს.

## გლეიზერი საავადმყოფოშია

"მანჩესტერ იუნაიტედის" მფლობელი ამერიკელი მილიარდერი მალკოლმ გლეიზერი გულის შეტევით საავადმყოფოში გადაიყვანეს. ბოლო ორი თვის განმავლობაში 77 წლის გლეიზერს მეორედ დაემართა გულის შეტევა.

მილიარდერის ვაჟის განცხადებით, საგანგაშო არაფერია. ექიმებმა იგი დაამშვიდეს და უთხრეს, რომ ერთ კვირაში მამამისს საავადმყოფოდან გაწერენ.

## მონაკოში ორი ფავორიტია

მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ტოტალიზატორის "უილიამ ჰილის" ბუკმეიკერების აზრით, მონაკოში ფორმულა 1-ის მორიგი ეტაპის მოგების ყველაზე მეტი შანსი ფერნანდო ალონსოსა და მიხაელ შუმახერს აქვთ. მათ მოგებაზე ფსონი 1-2.5-თანაა.

## 6 ტრავმირებული ბუნდესნაკრებში

გერმანიის ნაკრები მუნდიალისთვის შვეიცარიაში ემზადება. გუშინ კლინსმანის გუნდი ჟენევაში ჩავიდა. აღსანიშნავია, რომ ბუნდესნაკრების 23 ფეხბურთელიდან 6 ტრავმირებულია. ესენი არიან: ლამი, პოდოლსკი, კელი, ბოროვსკი, ჰანკე და ლემანი. იურგენ კლინსმანი იმედოვნებს, რომ ექვსივე მალე დაიწყებს ვარჯიშს. ყველაზე მძიმე მდგომარეობა ჰქონდა ფილიპ ლამს, თუმცა, როგორც ჩანს, "ბაიერნის" მცველი უკვე მწყობრშია.

# ტერაქტების საფრთხე რეალურია

"ალ ქაიდას" ტერორისტებმა შესაძლოა იერიში მიიტანონ მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც სულ ცოტა ხანში გერმანიაში აიღებს სტარტს. იმის ნაცვლად, რომ ტერაქტები სტადიონებზე მოეწყოს, ტერორისტებმა მიზანში ამოიღეს თავად ის ქალაქები, სადაც მატჩები გაიმართება. კერძოდ, ხალხის თავშეყრის ადგილები, ქალაქის ის მოედნები, სადაც გულშემატკივრებისთვის დიდი ეკრანები იქნება დამონტაჟებული.

ასეთ პოტენციურ საფრთხეზე ითქვა გერმანული სპეცსამსახურების მოხსენებაში, რომელიც ბრიტანულ გაზეთ Times-ში გამოქვეყნდა.



მუნდიალს ტერორისტები ემუქრებიან

სპეცსამსახურებმა ასევე შეადგინეს იმ 21 მატჩის სია, რომლებიც მაღალი რისკის კატეგორიას განეკუთვნებიან. ასეთი ტიპის მატჩი იქნება იტალიისა და აშშ-ს ნაკრები გუნდების დაპირისპირებაც, რომელიც 17 ივნისს კაიზერსლაუტერნში უნდა გაიმართოს. გერმანული სპეცსამსახურების მოხსენებაში მიუთითებენ ორი სახის საფრთხეზე. პირველი ისლამური ფუნდამენტალისტებისგან მოდის. ბინ ლადენის დროშის ქვეშ შეკრებილმა ექსტრემისტებმა შესაძლოა ევროპის ცენტრში გასამართი მასშტაბური ღონისძიება სისხლიანი ტერაქტებისთვის გამოიყენონ. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების განმავლობაში გერმანულმა პოლიციამ უკვე მოახერხა რამდენიმე ტერორისტული დაჯგუფების ნეიტრალიზება. მოხსენებაში ნათქვამია, რომ იმ ქვეყნების ნაკრები გუნდები, რომელთა ჯარები ამჟამად ერაყში ან ავღანეთში მოქმედებენ, რისკის ფაქტორს განეკუთვნებიან.

მეორე საფრთხე, ტერორიზმთან მებრძოლების თქმით, ნეოფაშისტებიდან და ულტრამემარჯვენეებიდან მოდის. ანალიტიკოსთა მტკიცებით, ტერორისტები სწორედ ქალაქების მოედნებს აირჩევენ, სადაც მსოფლიო ჩემპიონატის დროს ხალხმრავლობა იქნება. აღსანიშნავია, რომ ასეთი მოედანი 300-მდეა და ყველაზე რთული სწორედ მათი დაცვაა.

გთავაზობთ იმ მატჩების სიას, რომლებიც, გერმანული სპეცსამსახურების აზრით, ტერორისტებისთვის ყველაზე მიმზიდველი იქნება.

**პოლონეთი - ეკვადორი**
**ინგლისი - ურუგვაი**
**მექსიკა - ირანი**
**ავსტრალია - იაპონია**
**აშშ - ჩეხეთი**
**ესპანეთი - უკრაინა**
**ტუნისი - საუდის არაბეთი**
**გერმანია - პოლონეთი**
**ინგლისი - ტრინიდადი**
**პორტუგალია - ირანი**
**იტალია - აშშ**
**ბრაზილია - ავსტრალია**
**საუდის არაბეთი - უკრაინა**
**ესპანეთი - ტუნისი**
**კოსტა რიკა - პოლონეთი**
**შვედეთი - ინგლისი**
**ირანი - ანგოლა**
**განა - აშშ**
**ხორვატია - ავსტრალია**
**საუდის არაბეთი - ესპანეთი**
**უკრაინა - ტუნისი**

ასევე გახსნის მატჩი გერმანია - კოსტა რიკა და, ცხადია, ფინალი, რომელიც 9 ივლისს უნდა გაიმართოს.

# ჟიული განრისხებულია

ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულმა "ბარსელონას" ფრანგმა ფეხბურთელმა ლუდოვიკ ჟიულიმ კიდევ ერთხელ გამოთქვა უკმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ რეიმონ დომენეკმა იგი საფრანგეთის ნაკრებს მიღმა დატოვა.



ჟიული მუნდიალს მიღმა დატოვეს

"ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული ვერ ხვდება საკუთარი ქვეყნის ნაკრებში და მსოფლიო ჩემპიონატს მიღმა რჩება - ეს წარმოუდგენელია. ამის ანალოგი ფეხბურთის ისტორიაში არ არსებობს, - ამბოს ჟიული ფრანგულ გაზეთ "ეკიპის" ჟურნალისტთან საუბარში, - ვფიქრობ, ყველა იმ კრიტერიუმს ვაკმაყოფილებდი, რომელზეც დომენეკმა ამასწინდელ სატელევიზიო ინტერვიუში ისაუბრა. მაგალითად, ითხოვს, რომ ნაკრების ფეხბურთელი გამოცდილი უნდა იყოს. რა, გამოცდელი ვარ? ამბოს, რომ ფეხბურთელი არ უნდა აცხადებდეს პრეტენზიას, თუ სათადარიგოთა სკამზე მოხვდა. ოდესმე მაინც თუ გაუგია ვინმეს, რომ სათადარიგოთა სკამზე დარჩენის გამო პრეტენზია გამომეთქვას? ითხოვს, რომ ფეხბურთელი დიდ კლუბში უნდა თამაშობდეს. ახლა არ მითხრათ, "ბარსელონა" პატარა კლუბიაო."

ჟიული ვერ ხვდება, თუ რატომ არ მოხვდა დომენეკის სიაში. მეტიც, ფეხბურთელი გაოგნებულია, რომ საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა ის გუნდის გაფართოებულ შემადგენლობაშიც კი არ დასახელა.

"ყველაზე გასაკვირი ის არის, რომ ჩემი გვარი ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაშიც ვერ ამოვიკითხე.

ძლივს ვიკავებ თავს უცენზურო გამონათქვამებისგან. ვფიქრობ, ოდნავ უფრო მეტ პატივისცემას ვიმსახურებ. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ დომენეკი არც 70-კაციან სიაში დამასახელებდა. რომ ეთქვა, ამა და ამ მიზეზის გამო არ მიმყავხარ ნაკრებშიო, ამას კიდევ გავიგებდი, მაგრამ საერთოდ ხმას არ იღებს. ნუთუ იმის ღირსიც არა ვარ, რომ ამიხსნან, რატომ არ მოვხვდი ნაკრებში", - აცხადებს ფეხბურთლი.

რეიმონ დომენეკი თავის 23 ფეხბურთელთან ერთად ხუთ დღეს პატარა საკურორტო ქალაქში გაატარებს. ნაკრების ფეხბურთელები სამუნდიალო სამზადისის პირველ ეტაპზე მეუღლეებთან ერთად გაემგზავრნენ.

# "მკვლელი ჩვილის იერით" ჩემპიონად დარჩა

### ბარერამ ხუარესთან ტიტული შეინარჩუნა

გიგა გურასაშვილი

*შარშან, აგვისტომდე, სანამ მექსიკელ უმბერტო სოტოსთან WBC-ს ნახევრად მსუბუქი წონის შუალედური ჩემპიონის ტიტულს წააგებდა, 25 წლის ამერიკელ რიკარდო როკი ხუარესს, როგორც ჩვენში უყვართ თქმა, პერსპექტიულ მოკრივედ მიიჩნევდნენ. მექსიკელთან მარცხი კი მოულოდნელობად ჩათვალეს. უფრო დიდ მოულოდნელობად აღიქვეს ორიოდე თვის წინ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს რიკარდო ხუარესი უნდა შეხვედროდა პირველ მსუბუქ წონაში კრივის მსოფლიოს საბჭოს (WBC) ჩემპიონს, ასევე მექსიკელ (მეტსახელად "მკვლელი ჩვილის იერით") მარკო ანტონიო ბარერას. გუშინ, გამთენიისას, ლოს ანჯელესის "სტეპლ სენთერზში" 11 ათასამდე მაყურებლის წინაშე ბარერასა და ხუარესს შორის დაპირისპირება რეალობად იქცა. თუმცა მოვლენები ისე განვითარდა, რომ საბოლოო შედეგის გამოცხადებისას ბევრს მის სამართლიანობაში შეეპარა ეჭვი.*





ბარერას ხუარესმა არაქათი გამოაცალა, მაგრამ ტიტული ვერ წაართვა

WBO-ს (კრივის მსოფლიო ორგანიზაცია) პირველი ნახევრად მსუბუქი წონის (1995-96, 1998-2000) ჩემპიონს მარკო ანტონიო ბარერას ამერიკელ პრეტენდენტთან შეხვედრამდე ეჭვი არ ეპარებოდა, რომ გაიმარჯვებდა და ტიტულსაც დაიცავდა. მატჩის წინ მოწყობილ პრესკონფერენციაზე 32 წლის ბარერამ მომავალ მეტოქეზე თქვა, ძლიერი დარტყმა აქვს და კარგი მოკრივეაო. თავის მხრივ, ხუარესმა პირობა დადო, ჩემს შესაძლებლობებს ბოლომდე წარმოვაჩენ, რათა ყველამ დაინახოს, ვინაა როკი ხუარესიო. ხუარესის პირობას ბარერას კონტრ-პირობა მოჰყვა: "გამარჯვებას ვაპირებ. არ მინდა წინასწარ რამე ვთქვა, მაგრამ იცოდეთ: რინგს ტრიუმფატორის რანგში დავტოვებ".

ბუკმეიკერთა კანტორების თვალში ბარერასა და ხუარესის შერკინებაში უდავო ფავორიტი მექსიკელი იყო. ასეთი სტატუსის მიუხედავად, მარკო ანტონიოსთვის გამარჯვება ხონჩით არ მიურთმევიათ. მაიორგას ხუარესთან ძალზე გაუჭირდა.

ტიტულის მფლობელი ბარერა საწყის რაუნდებში ამერიკელზე უკეთ გამოიყურებოდა, მაგრამ მოგვიანებით ბრძოლის ველზე ვითარება გათანაბრდა - ჩემპიონს დაღლა დაეტყო, რაშიც გარკვეული კორექტივები მეორე რაუნდმა შეიტანა. ცხვირის ტრავმის გამო ბარერა იძულებული გახდა პირით ესუნთქა. ამასთან, პრეტენდენტის მოძალებულმა შემოტევებმაც თავის კვალი დაატყო მექსიკელის გამძლეობას. ჩხუბი გათანაბრდა. ბარერას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან რამდენიმე საჩემპიონო რაუნდი ჩაატარა. ორთაბრძოლა საყაიმო ანგარიშით დასრულდა. ოღონდ მსაჯთა დათვლით: ჩანაწერებში ქულები თანაბრად განაწილებულიყო - 115-113 ბარერას სასარგებლოდ, 115-113 ხუარესის სასარგებლოდ. მესამე მსაჯის დათვლით კი ანგარიში 114-114 იყო.

მაგრამ ისტორია ამით არ დამთავრებულა. მიუხედავად იმისა, რომ მსაჯების მიერ თანაბრად განაწილებული ქულებიც ბარერას წისქვილზე ასხამდა წყალს (ამ შემთხვევაში ტიტული ჩემპიონს რჩება და არა პრეტენდენტს.-რედ.), მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთ მსაჯს არასწორად დაუთვლია ქულები.

ერთი სიტყვით, პირველ მსუბუქ წონაში WBC უმთავრესი საჩემპიონო ქამრისთვის ჩხუბის თავდაპირველი შედეგი 15 წუთში ბარერას გამარჯვებით შეიცვალა. ირკვევა, რომ მსაჯთა ჩანაწერებში შეცდომა დაუშვიათ. გაუგებრობა იაპონელი მსაჯის კენ მორიტას ჩანაწერებში აღმოუჩენიათ, რომელსაც ჩემპიონის სასარგებლოდ 115-114 აღუნიშნავს და არა 114-114, რომელიც ბრძოლის დასრულებისთანავე გამოცხადდა.

"არ მჯერა. თუმცა ვის სჯერა? - ორთაბრძოლის დამთავრებიდან 15 წუთში გაწბილებული კითხულობდა სიდნეის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალოსანი ხუარესი, - ვფიქრობდი, ისეთ ლეგენდარულ მოკრივესთან, როგორიც ბარერაა, ჩემი სტატისტიკა - 25 გამარჯვება, ერთი ფრე და ერთიც წაგება (ბარერასთან დაპირისპირებამდე ხუარესს 25 გამარჯვება, აქედან 18 ნოკაუტით და 1 წაგება ჰქონდა.-რედ.) ურიგო არ იქნება-მეთქი, მაგრამ როდესაც გასახდელში მითხრეს, ქულებით წააგეო, საშინლად დავითრგუნე...

როდესაც ჩხუბი დამთავრდა და შედეგის მოლოდინში რინგზე ბოლთას ვცემდი, ყველა მეუბნებოდა: "კარგი ბრძოლა იყო, შენ მოიგეო". ახლა მაინტერესებს როგორი რეაქცია ექნებოდათ, მათთვის რომ ეთქვათ, მსაჯთა გადაწყვეტილებით წაგებული ბრძანდებითო".

ტიტულშენარჩუნებულმა ბარერამ (62 გამარჯვება, აქედან 42 ნოკაუტით და 4 წაგება) მსაჯთა შეცდომა ჩვეულებრივ შემთხვევად ჩათვალა. ყოველთვის პატივს ვცემდი მსაჯების შეფასებას. მართალია, თავიდან არასწორად დაითვალეს, მაგრამ ადამიანები ვართ, ჩვენთვის უცხო არ არის შეცდომის დაშვება. გადაწყვეტილებით კი ყმაყოფილი ვარო.

# მიხაელ შუმახერი: ვაკეთებ იმას, რასაც ჩემგან ელიან

ფორმულა 1-ის წლევანდელ სეზონში მიხაელ შუმახერმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მისი ჩამოწერა ნაადრევია. "ფერარისთან" ერთად "შუმიმ" ზედიზედ ორი რბოლა მოიგო და ჩემპიონობისთვის ბრძოლაში რეალურ კონკურენციას უწევს ესპანელ ფერნანდო ალონსოს. შეიძლება ითქვას, რომ ამ სეზონში ჩემპიონობისთვის სწორედ ეს ორი პილოტი იბრძოლებს.

არადა, სეზონის დაწყებამდე იმაზეც კი საუბრობდნენ, რომ შუმახერისთვის სპორტიდან წასვლა უპრიანი იქნებოდა, რადგან მორიგ ტიტულს ის უკვე ვეღარ მოიგებდა. ფორმულა 1-ის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა გერმანელი პილოტის ექსკლუზიური ინტერვიუ, რომელშიც შუმი საჩემპიონო შანსებზე და საკუთარ მოტივაციაზე საუბრობს.

**- საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ამ სეზონში ჩემპიონის ბედი თქვენსა და ფერნანდო ალონსოს დაპირისპირებაში გაირკვევა. სეზონის წინ იფიქრებდით თუ არა, რომ "ფერარი" კონკურენტუნარიანი იქნებოდა?**

- ყველა მეკითხება, მიკვირის თუ არა, რომ ჩემი ბოლიდი კონკურენტუნარიანია? არ მესმის, რატომ ებადებათ ასეთი შეკითხვები... ჯერ კიდევ სეზონის დაწყებამდე ვამბობდი, რომ ბოლიდი კარგად მოვამზადეთ და ჩემპიონობისთვისაც ვიბრძოლებდით. ასე რომ, მოულოდნელი არაფერია.

**- იმოლაში და ნიურბურგრინგზე მოპოვებული ორი გამარჯვება კარგად შერჩეული ტაქტიკის შედეგი იყო. რბოლის ტაქტიკის შერჩევის თვალსაზრისით "ფერარი" კვლავაც რჩება მოწინავე გუნდად, მაგრამ ელოდით თუ არა, რომ ბრძოლა ასე დრამატულად წარიმართებოდა?**

- შეუძლებელია წინასწარ იცოდე როგორ წარიმართება ბრძოლა. ერთი რამ კი შემიძლია დაზუსტებით გითხრათ. თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ ბოლიდი იდეალურად იყო მომზადებული და გამარჯვებას მოვიპოვებდით.

**- თქვენ კვლავ იმარჯვებთ. რამდენად იმოქმედა ამან თქვენს გადაწყვეტილებაზე დარჩენილიყავით სპორტში?**

- ვერ გეტყვით, რომ ჩემს გადაწყვეტილებაზე ამან იმოქმედა. უბრალოდ, სანამ რბოლა სიამოვნებას მანიჭებს, ფორმულა 1-ს არ დავტოვებ.

**- მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი უკვე ხართ. რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის მერვე ტიტული?**

- არა აქვს მნიშვნელობა რამდენგზის ჩემპიონი ხარ. როდესაც ტრასაზე გამოვდივარ, მხოლოდ გამარჯვებაზე ვფიქრობ. თუ ჩემპიონი გავხდი, მერვე ტიტულიც ისევე გამიხარდება, როგორც მანამდე მოგებული შვიდი.

**- მიხაელ შუმახერი მხოლოდ პილოტი არ არის. ის ფორმულა 1-ის სახეა. როგორ უძლებთ პასუხისმგებლობას?**

- არც კი ვიცი რა გიპასუხოთ. რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, როდესაც საკუთარ თავზე ასეთ შეფასებას ისმენ. მე კი უბრალოდ იმას ვაკეთებ, რასაც ჩემგან ხალხი ელის.